# ლელო

№025 (12 402)

1 თებერვალი პარასკევი 2008
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# 31 მაისს პორტუგალია–საქართველო



გუშინ გადაწყდა, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები 31 მაისს ამხანაგურ შეხვედრაში პორტუგალიის ეროვნულ გუნდს სტუმრად ქალაქ ვიზეუში გაეჯიბრება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს გუშინ ზაგრებში დავუკავშირდით, სადაც უეფას კონგრესზეა ჩასული და პორტუგალიის ამხანაგური მატჩის გარდა სხვაზეც ვესაუბრეთ.

ინტერვიუ 2



## ცქიტიშვილი ბირმინგემში ვერ გადავიდა

### შრომის დეპარტამენტმა ტრანსფერი ჩაშალა

ბევრს კი ეცადა „ბირმინგემის“ ხელმძღანელობა ბრიტანეთის შრომის დეპარტამენტს ლევან ცქიტიშვილისთვის ქვეყანაში მუშაობის უფლება რომ მიეცა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. საქმის განხილვა გუშინ ნაშუადღევს შედგა. კლუბის ხელმძღვანელობას იმედი ჰქონდა, რომ ცქიტიშვილს ინგლისში თამაშის ნებას დართავდნენ, მაგრამ ამ უფლების მისაღებად საფუძველს არც ნაკრების რეიტინგი იძლეოდა და არც ცქიტიშვილის მიერ ნაკრებში ჩატარებული მატჩების რაოდენობა. ჰოდა კანონი კანონიაო და შრომის დეპარტამენტი უარზე დადგა.

ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა ასეთ გარემოებათა გამო ბრიტანეთში თამაშის უფლება არ ეძლევა ქართველ ფეხბურთელს. პირველად შრომის დეპარამენტმა გოგიტა გოგუას არ მისცა „ჰართსში“ თამაშის საშუალება.

*„იმედგაცრუებულები ვართ. იმედი გვქონდა, რომ ჩვენი თხოვნა დაკმაყოფილდებოდა. ახლა სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე დარჩენილ საათებში ვეცდებით სხვის გადაბირებას, თუმცა სიმართლეს გეტყვით, ცქიტიშვილის დამატება ძალიან გვინდოდა“*, - გულდაწყვეტილი იყო „ბირმინგემის“ მწვრთნელი როი ეიტკინი.

## კობახიძემ დინამოსთან ვითარება გაარკვია და დნეპრში მიდის

2



გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge



ინტერვიუ ნოდარ ახალკაცთან

# ასი პროცენტი და უფრო მეტიც

*პირველი გვერდიდან*

- პორტუგალია ევროპის ვიცე-ჩემპიონი და ბოლო მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხეადგილოსანია და როცა ასეთ მეტოქეს ეთამაშები, ფინანსურ მოგებაზე ლაპარაკი უხერხულიც კი არის. რაც შეეხება მგზავრობის და ცხოვრების ხარჯებს, ამას პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაცია გაისტუმრებს. ამ ამხანაგური მატჩის გამართვის თაობაზე, მოლაპარაკება პორტუგალიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტ ჟილბერტო მიდაილთან შარშან ნოემბერში დავიწყეთ და დღეს წარმატებით დავასრულეთ.

**- ლატვია, ჩრდილოეთ ირლანდია, პორტუგალია, უელსი, რუმინეთი... საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ამხანაგური მატჩების საკმაოდ ტევადი განრიგი აქვს 2008 წლისთვის- ფეხბურთის ფედერაცია წლეულს კიდევ აპირებს გაუჩარხოს ეროვნულ გუნდს ამხანაგური მატჩი?**

- ვაპირებთ, კიდევ ერთ ამხანაგურ მატჩზე ვიმუშაოთ. პორტუგალიას მაშინ ვხვდებით, როცა ევროპის ჩემპიონატისწინა შეკრებაზე იქნება და კიდევ ერთი ამხანაგური მატჩის გ ამართვასაც ამ პერიოდში ვეცდებით.

**- შეიძლება ითქვას, რომ ამხანაგური მატჩების მოწყობისთვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ასი პროცენტით კარგად იმუშავა?**

- ალბათ ას პროცენტზე უფრო მეტადაც, თუ გადავხედავთ იმას, რა მეტოქეებთან მოუწევს თამაში ჩვენს ეროვნულ გუნდს.

**- ასაკობრივ ნაკრებებზეც გკითხავთ. როდის გადაწყდება 17 და 19-წლამდეთა ნაკრებების მწვრთნელის საკითხი და გელა შეყილაძის და ზაურ სვანაძის გარდა თუ განიხილება სხვა კანდიდატებიც?**

- ეს საკითხი თებერვლის პირველ ორ კვირაში გადაწყდება. კანდიდატები კი ორზე მეტია.

**- ფედერაციის ტექნიკურ დირექტორად რალფ მინგე ინიშნება და ეს იმას ნიშნავს, რომ ის მწვრთნელთა მომზადების და ლიცენზირების კოორდინატორიც იქნება?**

- რა თქმა უნდა, ტექნიკური დირექტორის პოსტი ამასაც ითვალისწინებს.

**- საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა 2008 წლიდან უნდა ამოქმედდეს. პროგრამის ერთ-ერთი პუნქტი ეროვნულ ჩემპიონატში რვა ფინანსურად მდგრადი კლუბის შექმნას ითვალისწინებს - გაქვთ ინფორმაცია, თუ როდის დაიწყება ეს პროცესი?**

- მთავარია, რომ ეს პროცესი წლეულს დაიწყება. მიმდინარე საზონში ეს საქმე ვერ დასრულდება, მაგრამ როცა პროცესი დაიწყება, ვადებიც გაირკვევა.

**- დახმარება სახელმწიფოსგან, ამხანაგური მატჩები - ჩვენი ეროვნული გუნდი დამდეგ შესარჩევ ციკლს ორგანიზაციულად კარგად შეიარაღებული ხვდება - თუ იქნება ეს იმის საფუძველი, რომ წინა შესარჩევზე მნიშვნელოვნად უკეთესი შედეგი გვქონდეს?**

- ჩვენი ამოცანაც სწორედ ეს არის. ფაქტია, ამისთვის სერიოზული სამუშაოები ტარდება.

**- და წარმატებებისთვის საქართველოს ეროვნულ გუნდს დროის კრედიტი ალარ დასჭირდება?**

- საფრანგეთს 15-20 წელი დასჭირდა მსოფლიოს ჩემპიონობისთვის. დიდ წარმატებებს შესაბამისი დრო და პირობები სჭირდება. საქართველოს ნაკრებს კი მომდევნო შესარჩევში მართლაც უკეთესი შედეგი უნდა ჰქონდეს.

**- 6 თებერვალს ლატვიასთან ამხანაგური მატჩისთვის კლაუს ტოპმიოლერმა არ გამოიძახა ზურაბ ხიზანიშვილი. ლოგიკურია ვივარაუდოთ, მწვრთნელმა გულში წყენა ჩაიდო იმისგამო, რომ ხიზანიშვილმა დავა მასსა და მწვრთნელის შორის შიდა სამზარეულოს გარეთ გამოიტანა...**

- ამხანაგური მატჩები იმისთვის უნდა გამოვიყენოთ, რომ ახალი ფეხბურთელები გამოვიძახოთ, ზურას შესაძლებლობები კი მწვრთნელმა ძალიან კარგად იცის. რაც შეეხება იმ პრობლემატურ საკითხს, ვფიქრობ ფედერაცია, მწვრთნელები და ფეხბურთელი შევძლებთ გადაწყვეტილების ერთად მიღებას. ახლა კი გვაქვს ექსპერიმენტების დრო, რათა გუნდი შესარჩევი ეტაპისთვის კარგად მოემზადოს.

**- ზაგრებში უეფას კონგრესზე ალბათ, რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი განიხილება...**

- საუბარია საინტერესო ნოვაციებზე. G14-სთვის სახელის გადარქმევაზე, საკლუბო ფორუმის ჩამოყალიბებზე, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გუნდების რაოდენობის გაზრდაზე...

დავით თავართქილაძე

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი

## საქართველო–ლატვიას ბელარუსები განსჯიან

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა საქართველი-ლატვიის ამხანაგური მატჩის მსაჯების ვინაობა გააცხადა. თამაშს ბელარუსი არბიტრები მოემსახურებიან. მთავარი მსაჯი **სერგეი შმოლიკი** იქნება, მას **დმიტრი სემიონოვი** და **ალექსეი კოლბი** დაეხმარებიან. მეოთხე მსაჯის მოვალეობას კი ქართველი არბიტრი **მამუკა ურუშაძე** შეასრულებს. შეგახსენებთ, შეხვედრა 6 თებერვალს 18 საათზე დაიწყება. ეროვნული სტადიონის საფარი უკვე ნორმალურ მდგომარეობაში ყოფილა და შესაბამისად, მატჩს „მიხეილ მესხზე" ალარ გადაიტანენ.

ამერი

## ბოლქვაძე სიმურგში გაანათხოვრეს

### დოლიძე ზესტაფონში არ გადადის

**დავით ბოლქვაძე** „ამერის" და საერთოდ ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს, მინიმუმ, შემოდგომამდე ლამაზი ფეხბურთით ველარ გაახარებს. ის კარიერას აზერბაიჯანის ჩემპიონატში გააგრძელებს. თბილისში ზაქათალის „სიმურგი" იმყოფებოდა, რომელიც საკონტროლო შეხვედრაში თბილისის „ამერსაც" გაეჯიბრა.

სტუმართა უკრაინელ მწვრთნელ **რომან კოპორას** ძალიან მოეწონა თბილისელთა ფლეიმეიქერი და მოლაპარაკებაც დაიწყო. გუშინ შევიტყვეთ, რომ „ამერის" ნახევარმცველის აზერბაიჯანში გადასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია და დათო „სიმურგს" გაყვება.

ჩვენი ინფორმაციით, გუნდები ბოლქვაძის იჯარაზე შეთანხმდენენ და დათო აზერბაიჯანში მხოლოდ მაისამდე ითამაშებს.

სამწუხაროა, რომ თბილისის „ამერი" ნამყვან ფეხბურთელს ელევა, რომელიც საქართველოს ნაკრებში **კლაუს ტოპმიოლერმა** სწორედ აზერბაიჯანის წინააღმდეგ მატჩში მიიწვია და ათამაშა.

ასეთ ფეხბურთელებს გუნდები მხოლოდ იძულებით ელევიან, სამწუხაროა, რომ ფინანსურად წელში გამართული ქართული კლუბების რაოდენობა თვალსა და ხელს შუა გვეცლება და დღეისათვის მხოლოდ თბილისის „დინამოსა" და „ზესტაფონს" შერჩათ ჩემპიონობის ამბიცია, სხვები კი ძირითადად თავის გადარჩენაზე ფიქრობენ.

ასეთივე ინფორმაცია შევიტყვეთ „ამერის" კიდევ ერთ ნახევარმცველ **გრიგოლ დოლიძეზე**, თითქოს, მას „ზესტაფონი" იწვევდა. გუშინ დოლიძეს დავუკავშირდით, მაგრამ მან ინფორმაცია უარყო, „ამერში" ვრჩები და არსად მივდივარო.

*„ზესტაფონში" ნამდვილად არ მიწვევდნენ, იყო სხვა წინადადებები, მაგრამ საბოლოოდ სერიოზული არც ერთი აღმოჩნდა და გუნდში ვრჩები,"* - გვითხრა მან.

მერაბ მამულაშვილი



დავით ბოლქვაძე

ფუტზალი

## ეროვნული ნაკრები მსოფლიოს შესარჩევში

თებერვლის ბოლოს საქართველოს ფუტზალის ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩაებმება. პირველ რაუნდში ჩვენი გუნდის მეტოქეები ესპანელები და ხორვატები იქნებიან, რომლებსაც შესაბამისად, 29 თებერვალს და 1 მარტს ვეთამაშებით. მომდევნო შესარჩევ ეტაპზე ქვეჯგუფის ორი საუკეთესო გუნდი გადის.

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



სანდრო კობახიძე

ტრანსფერი

# სანდრო კობახიძემ დინამოსთან გაარკვია

## ყველაფერი გადაწყდა, დნეპრში მივდივარ!

„დნეპრის" ოფიციალური ვებგვერდი გუშინ იუწყებოდა, რომ უკრაინული კლუბი თბილისის „დინამოსთან" სანდრო კობახიძის თაობაზე, ჯერჯერობით ვერ შეთანხმდა - სანდრო დროებით მშობლიურ კლუბს დაუბრუნდება და აფროდიტას კუნძულზე ვერ ივარჯიშებსო.

კლუბების შეუთანხმებლობა მართლა დროებითი აღმოჩნდა, ისევე როგორც კობახიძის მშობლიურ კლუბში დაბრუნება. სანდრო მალე აფროდიტას კუნძულზე „დნეპრის" სრულუფლებიანი წევრის სტატუსით ივარჯიშებს.

საკითხი გუშინ თბილისის „დინამოს" მმართველი დირექტორის, ბუბა ტყავაძისა და სანდრო კობახიძის შეხვედრის შემდეგ საბოლოოდ გაირკვა. გუშინდელ „ლელოში" დაბეჭდილი ინფორმაცია გამართლდა - თბილისური კლუბი ფეხბურთელის კარიერულ წინსვლას კი არ ეწინააღმდეგებოდა, არამედ, უკრაინელებთან ჰქონდა საკითხები გაურკვეველი და გაარკვია.

„ლელომ" ეს გუშინ შეიტო და თბილისში ჩამოსულ სანდროს გაესაუბრა:

**- სანდრო, როგორც შევიტყვეთ, „დინამომ" და „დნეპრმა" სატრანსფერო საკითხზე შეთანხმება მაინც მოახერხეს.**

- პატარა პრობლემა არსებობდა, მაგრამ უკვე ყველაფერი მოგვარდა.

**- როგორც ვიცით, „დინამოს" ხელმძღვანელებს შეხვდი და ყველაფერი ამის შემდეგ გადაწყდა.**

- „დინამო" ჩემი მშობლიური კლუბია და ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. გუნდი მე ხელს რატომ შემიშლიდა? საერთოდ, მეგონა, რომ „დნეპრში" ჩემი ჩარიცხვა თბილისში ჩემს ჩამოსვლამდე იყო გადაწყვეტილი.

რაღაც გაუგებრობა არ ნიშნავს შეუთანხმებლობას. ახლა კლუბები პირობებზე შეთანხმდნენ, ყველაფერი გაირკვა და მალე კონტრაქტს გავაფორმებთ.

**- მაშინ რატომ ჩამოხვედი?**

- რაღაც საკითხების შესათანხმებლად ჩემი ჩამოსვლა გახდა საჭირო და. უახლოესი რეისით კვიპროსში გავემგზავრები და „დნეპრთან" კონტრაქტს გავაფორმებ.

**- კონტრაქტს როდის აფორმებ?**

- ჯერ ყველა დეტალი არ ვიცი და ამიტომ, დღეს ვერ ვისაუბრებ კონტრაქტი რამდენწლიანი იქნება და როდის გაფორმდება.

**- „დნეპრი" უკრაინის ჩემპიონატის ლიდერია, მაგრამ ეს ზოგადი ინფორმაციაა. სულ სხვაა უშუალოდ ნანახი და საკუთარ თავზე გადატანილი. გუნდში როგორი ვითარება დაგხვდა?**

- ძალიან მაგარი გუნდია, პირობებზე კი რა გითხრათ, საოცრება იყო. ასეთ გუნდში უნდა ივარჯიშო და გაიზარდო. შესაძლოა, „დნეპრი" ევროპის წამყვან კლუბებს არ განეკუთვნება, მაგრამ საქართველოდან წასული ბიჭისთვის სწორედაც რომ მაგარი გუნდი და წინსვლის საშუალებაა.

დიდი იმედი მაქვს, რომ არც თავს შევირცხვენ და არც საქართველოს. ჩემთვის ორივე მნიშვნელოვანია.

**- ოლეგ პროტასოვი გასასინჯ ფეხბურთელებზე ალტაცებით არასდროს საუბრობს, მაგრამ შენ გამონაკლისი აღმოჩნდი. შენზე საუბრისას აშკარად იგრძნობოდა დიდი მოწონება. საქართველოდან წასულებს ბოლო დროს, აზერბაიჯანში აღარ იღებენ და რა დასამალია, უკრაინის ჩემპიონატის ლიდერმა რომ მოგიწონა, პატარა სენსაციაც იყო.**

- რა გითხრათ, მე რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე, გულიანად, ქართულად, ეს უკრაინაში მოსწონთ.

**- ტექნიკაში ქართველი თავს რომ გამოიჩინს, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ უმეტესობა ფიზიკურად პირველკლასელის დონეზეა მომზადებული. ჩვენი გაოცება უკრაინელი კოლეგის ნაამბობმა გამოიწვია, რომ პროტასოვი სწორედ ამით გაოცდა, კობახიძემ ფიზიკურად ლამის უკრაინის ნაკრების წევრებს აჯობაო. თუმცა თავად დაგიჩივლია, ასეთი დატვირთვები უჩვეულოაო.**

- მაგარი დატვირთვები იყო, ლამის ყოველდღე ექვს კილომეტრს დავრბოდი. ასეთი მძიმე კროსები საქართველოში არაა მიღებული. ვარჯიშიდან ქოშინით რომ გამოვვარდი, პროტასოვი მომიახლოვდა, როგორ ხარო. რა უნდა მეთქვა, ამდენი საქართველოში არასდროს მირბენია-მეთქი. პროტასოვმა ეს გაზეთს უთხრა და ისე დაწერეს, თითქოს, კინაღამ მოვკვდი.

რეალურად ასე ნამდვილად არ ყოფილა. დავიღალე, მაგრამ ძალიან მალე შევეგუე და მერე მივხვდი, რომ არაფერია ისეთი, რასაც ვერ შევეჩვევი და ვერ გავუძლებ. მთავარია, მოთხოვნებს თავიდანვე შეეჩვიო.

ისე გამოჩნდა, თითქოს, საქართველოში ფეხბურთელებს არ ამზადებენ. რა თქმა უნდა, ჩვენთან გაცილებით სუსტი ჩემპიონატი და მოთხოვნებია, მაგრამ აქ ფეხბურთელებს ზრდიან. მე სხვაგან არ მოვმზადებულვარ, „დინამოში" მოვემზადე და უკრაინაშიც არ გამიჭირდა.

სხვა მომენტია, რომ ძალიან მონდომებული ვიყავი, რა ვიცი, ამ თემაზე ხმამაღლა ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ მართლა ასე იყო - საქართველოს და „დინამოს" შერცხვენა არ მსურდა. მერე ხომ „დინამოზე" ჩემით იმსჯელებდნენ.

**- ჯაბა კანკავა რამენაირად დაგეხმარა?**

- დამეხმარა რომელია! ჩასვლისთანავე გამაცნო ფეხბურთელები, გუნდში არსებული ვითარება, რა ხდებოდა და ა.შ. ეს კი ახალწვეულისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. მარტო მე კი არა, გოგი ფიფიასაც თავს გადაყვა.

**- საქართველოს შემდეგ, უკრაინის ჩემპიონატის ლიდერში დაკვიდრება ძალიან ძნელია. როგორ მოაწონე პროტასოვს თავი და რა დაგეხმარა - „დინამოში" მომზადება, საქართველოდან გაქცევის დიდმა სურვილი თუ რა?**

- ძალიან მინდოდა, უფრო მაღალ დონეზე თამაში. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი. „დინამოშიც" ძალიან დიდი გამოცდილება შევიძინე, დიდი კლუბია და ყოველდღე რაღაცას ვიძენდი. რა თქმა უნდა, ხასიათმაც ხელი შემიწყო, ძალიან მოვინდომე და გამოვავლინე ის, რაც შემეძლო.

**- პროტასოვს, როგორც მწვრთნელს როგორ დაახასიათებდი?**

- არის თანამედროვე სპეციალისტი, ჩინებული პიროვნებაა. დისციპლინა უმაღლეს დონეზე აქვს დაყენებული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ზედმეტად მკაცრია - ფეხბურთელებთან ურთიერთობაში მეგობრულია.

**- პროტასოვს მოეწონე, მაგრამ „დნეპრის" ძირითადში მოსახვედრად სერიოზული კონკურენციის დაძლევა დაგჭირდება.**

- უნდა გავუძლო, სხვა რა გზაა. სხვათაშორის, კონკურენცია ხელს არ მიშლის, პირიქით, ეს ჩემთვის ყოველთვის დიდი სტიმული იყო, მუდმივად ვიღაცას უნდა აჯობო, არ უნდა მოეშვა და მხოლოდ ასეთ გარემოში გაზირდები.

**მერაბ მამულაშვილი**

ბათუმი

# თურმანიძე დაიმატეს

როგორც ჩანს, ჩემპიონატის აუტსაიდერი „ბათუმი" უმაღლეს ლიგაში დასარჩენად მართლაც რეალურად იბრძოლებს. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, აჭარული კლუბის დაფინანსების საკითხი დადებითად გადაწყდა, რისი წყალობითაც გუნდის გაძლიერება დაიწყო.

„ბათუმის" მთავარი მწვრთნელი **ავთანდილ კუნჭულია** იმედოვნებს, რომ ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის სტარტისთვის გუნდს რამდენიმე ძლიერი ახალწვეული ეყოლება. ერთი ღირებული ტრანსფერი კი უკვე განხორციელებულია. „ბათუმმა" ახალციხის „მესხეთიდან" გამოცდილი ნახევარმცველი **გიორგი თურმანიძე** გადაიბირა. ეს უკანასკნელი აჭარელთა ღირსებას შარშანაც იცავდა, თუმცა მძიმე ტრავმის გამო, მხოლოდ რამდენიმე მატჩში შეძლო გუნდის დახმარება.

ჯერაც არაა დღის წესრიგიდან მოხსნილი **სოსო გრიშიკაშვილის** საკითხი. კუნჭულია „დინამოს" მმართველ დირექტორ **ბუბა ტყავაძესთან** აპირებს შეხვედრას და სწორედ მაშინ გაირკვევა, გააგრძელებს თუ არა ვეტერანი მეკარე კარიერას შავიზღვისპირეთში.

დიდი შანსია, რომ „ბათუმს" მცველი **ლევან აკობია** შეუერთდეს. იგი თბილისის „დინამოს" საკუთრებაა, მაგრამ მიმდინარე სეზონის პირველი ნახევარი „ბორჯომის" შემადგენლობაში გაატარა. დღეისათვის, აკობია ერევანშია და იქაური კლუბებისთვის ცდილობს თავის მოწონებას. იგი „ბათუმში" იმ შემთხვევაში გადავა, თუ სომხეთში ვერ დარჩა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



გიორგი თურმანიძე

# მუჯირის დებიუტი

საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი **დავით მუჯირი** მოსკოვის "ლოკომოტივს" გუშინ, ესპანურ შეკრებაზე შეუერთდა. რკინიგზელთა შეკრებაზე გუნდის ახალწვეული "ლოკომოტივის" დუბლების ორ ფეხბურთელთან, 20 წლის მეკარე **ანტონ კოჩენკოვთან** და 17 წლის ნახევარმცველ **ანდრეი ვაცილჩენკოვთან** ერთად ჩაფრინდა. წესით, სამეულს გუნდის საღამოს ვარჯიშისთვის უნდა მიესწრო, მაგრამ სასტუმროში მისვლა რამდენიმე წუთით დააგვიანეს. მიზეზი მუჯირი გამხდარა. დათოს აეროპორტიდან სპორტულ მაღაზიაში შეუვლია და ამუნიცია შეუძენია, რადგან ძველი ფორმა ყოფილმა კლუბმა "კრილიამ" წაიღო ასევე ესპანურ შეკრებაზე, იმ იმედით, რომ ქართველი ისევ მას შეუერთდებოდა. "ლოკომოტივის" ტექპერსონალს კი 41 ზომის ზედმეტი ბუცები არ აღმოაჩნდა.

*"ძალიან მაგარი ბუცები ვიყიდე, ამაზე უკეთესს ვერც ვინატრებდი"* - იხუმრა მუჯირმა. სინამდვილეში კი მან მხოლოდ მოყვარული ფეხბურთელისთვის გამოსადეგი ბუცები შეიძინაო, იტყობინება რუსული "სპორტ-ექსპრესი".

გუშინვე „ლოკომოტივი" საერთაშორისო ოთხთა ტურნირის ფინალში სოფიის ცსკა-ს შეხვდა. მატჩის ძირითადი დრო უგოლოდ დასრულდა, პენალტებით კი ბულგარელებმა იმარჯვეს. არც მუჯირს და არც **მალხაზ ასათიანს** მატჩისშემდგომი თერთმეტმეტრიანი არ შეუსრულებიათ, ასათიანი იმ დროისთვის მოედანზე აღარც იყო. პენალტებამდე კი, „ლოკომოტივის" ოფიციალური ვებ გვერდის ცნობით, მუჯირს ორი მწვავე პასის გაკეთება მოუსწრია.

რკინიგზელებმა ამ შემადგენლობით ითამაშეს:

**პოლიაკოვი, იანბაევი, ეფიმოვი, სენნიკოვი, ასათიანი (46. როდოლფო), დენისოვი (46. მუჯირი), კონცედალოვი (46. ბილიალეტდინოვი), გლუშაკოვი (46. ტორბინსკი), ფინინიო, კოჩიში, კორჩაგინი (46. სიჩოვი).**

**ლევან ჯანეზაშვილი**



დავით მუჯირმა პირველი მატჩი ითამაშა



# ქეცბაია ოქროს დუბლისკენ

**თემურ ქეცბაიას** გუნდ „ანორთოსისს“ კვიპროსში შესანიშნავი სეზონი აქვს. „ანორთოსისი“ ეროვნულ ჩემპიონატში (A დივიზიონი) დამაჯერებლად ლიდერობს, ფამაგუსტელებს 18 თამაშიდან 44 ქულა აქვთ და უახლოეს მდევარ აპოელ-ს უკვე 12 ქულით უსწრებენ. ახლახან თასის ჯგუფურ ეტაპზეც გაირკვა, რომ ქეცბაიას შეგირდებმა ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ორი ტურით ადრე მოიპოვეს ნახევარფინალის საგზური.

„ანორთოსისი“ კვიპროსის თასის ჯგუფურ ეტაპზე მეორე ჯგუფშია. მეოთხე ტურის მატჩში „ანორთოსისმა“ ბულგარელი ნახევარმცველის **დეიანოვის** ერთადერთი გოლის წყალობით სტუმრად „აია ნაპა“ დაამარცხა - 1:0. სტუმართა ქართველი ფორვარდი **კლიმენტი ნიტაიშვილი** მატჩის 63-ე წუთზე შევიდა ბერძენი **ნიკოს ფრუსოსის** ნაცვლად. ქეცბაიას გუნდში 17 ლეგიონერი ჰყავს, თავდასხმის ხაზი კი მთლიანად ლეგიონერებით არის დაკომპლექტებული. ჯგუფში „ანორთოსისს“ და აპოელ-ს 10-10 ქულა აქვთ და ფინიშამდე ორი ტურით ადრე ნახევარფინალის საგზური განაღდებული აქვთ. თასის ჯგუფური ეტაპის ბოლო ორი ტურის მატჩები უკვე აპრილში გაიმართება.

პირველ ჯგუფშიც ოთხი ტურია გასული, თუმცა აქ ჯერ ყველაფერი გასარკვევია. 8 ქულით პირველ ადგილზეა **ლევან მღრაძის** „აპოლონი“, ჯგუფიდან გასვლის შანსი ჯერჯერობით ბოლო ადგილზე მყოფ „ეთნიკოსსაც“ აქვს (1 ქულა), სადაც **ლევან ქებაძე** თამაშობს. ჩემპიონატში „აპოლონი“ 30 ქულით მეოთხეა, „ეთნიკოსი“ 22 ქულით - მეცხრე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



კახა ცხადაძე

# ცხადაძემ სტანდარდს მოაგებინა

**კახა ცხადაძის** გაწვრთნილმა „სტანდარდმა“ გუშინწინ უკრაინული „ხარკოვი“ გაანადგურა ამხანაგურ მატჩში 4:0. გუნდები ანთალიაში იმყოფებიან მოსამზადებელ შეკრებაზე. ბაქოელთა მწვრთნელი კახა ცხადაძე მატჩის შემდეგ კმაყოფილი იყო შედეგით, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზი გვაქვს თამაშშიო, განაცხადა. ანთალიაში შეუერთდა გუნდა აზერბაიჯანელთა ბრაზილიელი ლეგიონერი ლეონარდო და სილვა, რომელზეც დიდ იმედებს ამყარებენ, თუმცა ცხადაძეს ის საქმეში ჯერ არ უნახავას. საქმე ისაა, რომ ბრაზილიელი სამშობლოში იყო შვებულებით და ბაქოში ჩასვლა დააგვიანდა.

# ონიანი ორ კვირაში

გერმანული პრესის ცნობით, **გიორგი ონიანი** მოედანს სავარაუდოდ, ორ კვირაში დაუბრუნდება. შეგახსენებთ, „კარლ ცაისის“ ქართველმა მცველმა ტრავმა თურქული შეკრებისას მიიღო, რის გამოც რამდენიმე ამხანაგური მატჩი გაუცდა და ვერც გერმანიის თასის მერვედფინალში ითამაშა ბილეფელდის „არმინიას“ წინააღმდეგ. მას მეორე ბუნდესლიგის მეორე წრის პირველი ტურიც გაუცდება. ორშაბათს იენელები აახენის „ალემანიას“ მასპინძლობს. **ილია კანდელაკი და გიორგი სეთურიძე** კი სრული დატვირთვით ვარჯიშობენ.



# სომეხი მწვრთნელი, რომელიც სერია A-ს უმიზნებს

**მანველ აირაპეტიანი** თბილისში იმისთვის ჩამოვიდა, რომ მეგობრები მოენახულებინა. ამ სომეხ მწვრთნელს ჯერ მხოლოდ ვიწრო წრე თუ იცნობს, თუმცა ამბიციურია და ვინ იცის, როდის სად ამოჰყოფს თავს. აირაპეტიანმა სამწვრთნელო განათლება იტალიაში, კოვერჩიანოს სკოლაში მიიღო. თბილისში ის, რა თქმა უნდა, საფეხბურთო მილეთშიც გაერია - შეხვდა ალექსანდრე ჩივაძეს, მოინახულა თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემია. ფეხბურთელობისას მას საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში გაუგორებია ბურთი.

- სომხეთიდან მოსკოვის ცსკას დუბლებში მოვხვდი, შემდეგ კიევის სკა-ში გადავედი და პირველ ლიგაში ვთამაშობდი. მერე იყო ლენინგრადის „დინამო“. კიდევ ვაპირებდი თამაშს, მაგრამ წელის ტრავმის გამო ველარ მოვახერხე. მწვრთნელობა ძალიან ადრე, ოცი წლისამ დავიწყე - ბავშვებს ვავარჯიშებდი. მოგვიანებით კი ბავშვთა პირველი პროფესიული კლუბი „პეტერბურგი“ დავაფუძნე და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშიც ვიყავი ტურნირებზე. ჩვენ არცთუ ცოტა კარგი ფეხბურთელი ალვზარდეთ, მაგალითად, ნალჩიკის „სპარტაკის“ ვალენტინ ფილატოვი.

**- თქვენს სამშობლოში მწვრთნელად არ გიმუშავიათ?**

- საკუთარი სახსრებით შევქმენი კლუბი „კაჰან 81“. სწორედ მე ჩავიყვანე სომხეთის ჩემპიონატში პირველი ლეგიონერები - იური ჟელუდკოვი და დოლგოპოლოვი. მათ ბევრი სასარგებლო რამ ასწავლეს დამწყებ ფეხბურთელებს. შემდეგ „კაჰანი“ დაიშალა, რადგან, მოგეხსენებათ, სომხეთში საფეხბურთო ინდუსტრია დიდად განვითარებული ვერ იყო. ამის მერე წავედი შვედეთში.

**- იტალიაში როგორ აღმოჩნდით?**

- 1992 ნელს „პეტერბურგი“ იტალიაში წავიყვანე ტურნირზე, გავიმარჯვეთ იქ და მიმიწვიეს. ამ კლუბს ფეხბურთელები უნდა მოემზადებინა „ჯენოასთვის“. მე ვიყავი ამ სკოლის დირექტორი და მწვრთნელი.

**- მერე სად მუშაობდით?**

- იტალიის სამოყვარულო ლიგებში. შარშან ავიღე B ლიცენზია, მერე კი A. ჩემთან ერთად სწავლობდნენ ისეთი ცნობილი ხალხი, აბელ ბალბო და ფაბრიციო რავანელი რომ არიან. უმაღლესი, „მასტერ“ ლიცენზიაც უნდა ავიღო, თუმცაჯერ რაც მაქვს, იმ დიპლომით ვაპირებ მუშაობას.

**- გაქვთ შემოთავაზებები?**

- წელის ტკივილმა შემიშალა ხელი და ერთი წელი უქმად ვიყავი. მაქვს კონკრეტული შემოთავაზებები და იტალიაში ვაპირებ მუშაობას, რადგან „მასტერის“ დიპლომი არ მაქვს, ჯერ მხოლოდ სამოყვარულო გუნდების მთავარი მწვრთნელობა შემიძლია. სხვათა შორის, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან მხოლოდ მე და სერგეი ოლეინიკოვს გვაქვს კოვერჩიანაში აღებული დიპლომები.ოილეინიკოვს კი უკვე „მასტერის“ ლიცენზიაც აქვს.

**- იტალიის სამოყვარულო გუნდების წლიური ბიუჯეტი დაახლოებით რამდენია?**

- ერთი მილიონი ევრო.

**- ლეგიონერებს აქვთ უფლება იტალიის სამოყვარულო გუნდებში ითამაშონ?**

- იტალიის სამოყვარულო გუნდს მხოლოდ ერთი ლეგიონერის აყვანის უფლება აქვს. რაც შეეხება იტალიის პროფესიულ ლიგებს, სერია A-ს გარდა ქვედა ოთხ ლიგას არც ერთი უცხოელის აყვანის უფლება არ აქვს.

**- ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე ქვეყანაში ეროვნული ნაკრების მწვრთნელებად უცხოელები ინიშნებიან - რას ფიქრობთ ასეთ ტენდენციაზე?**

- წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ ეროვნული ნაკრები უცხოელმა გაწვრთნას. ვფიქრობ, უცხოელი მწვრთნელები მხოლოდ კლუბებში უნდა ამუშაონ, ეროვნულ გუნდს კი თავისი ქვეყნის შვილი უნდა ხელმძღვანელობდეს. ვერ წარმომიდგენია, რომ საქართველომ ვერ გამონახა კარგი მწვრთნელი ეროვნული ნაკრებისთვის - საქართველო ხომ პატარა ბრაზილიაა. ინტერვიუს ბოლოს მინდა მივესალმო ქართველ გულშემატკივრებს, ქართულ საფეხბურთო სამყაროს და გისურვებთ, რომ საქართველოში დაბრუნებულიყოს ისეთი ფეხბურთი, როგორიც იყო 1981 ნელს, როცა „დინამომ“ თასიების თასი მოიგო. თუმცა ყველაფერს პირობები სჭირდება. ვიყავი თენგიზ სულაქველიძის აკადემიაში, სადაც რამდენიმე მოედანი კი არის, მაგრამ მათი ხარისხი საუკეთესო ნამდვილად არ არის, ბავშვებს კი პირველ რიგში კარგი მოედნები სჭირდებათ...

**დავით თავართქილაძე**



მარცხნიდან მარჯვნივ: ლადო ხარაიძე, თორნიკე ჩიხრაძე, ნიკო პატარქალიშვილი, გიორგი გოგოლაშვილი და გიორგი კიკნაძე.

# ოთხი ფეხბურთელი არგენტინაში მიდის ედუარდო დელგადოსთან

## პროექტი „ARGENT-GEORGIA“ 2010-2014

საფეხბურთო დონის ასამაღლებლად ხვიჩა მურღულიას, ვასილ აფციაურს, გიგი თარყაშვილსა და ვალერი აგაჯანოვს, არგენტინაში კიდევ ოთხი ფეხბურთელი დაემატებათ:

1. გოგოლაშვილი გიორგი, დაბადებული 1990 ნლის 1 იანვარს. ცენტრალური მცველი. ფეხბურთის თამაში დაიწყო 10 წლისამ საფეხბურთო კლუბ „ნორჩ დინამოელში“. მისი მწვრთნელი იყო თამაზ სამხარაძე;
2. კიკნაძე გიორგი, დაბადებული 1991 წლის 22 სექტემბერს. მარჯვენა ნახევარმცველი. ფეხბურთის თამაში დაიწყო, საფეხბურთო კლუბ „მთვარის გლობუსში“ 9 წლისამ. მისი მწვრთნელი იყო რევაზ გვარაკიძე;
3. ხარაიძე ლადო, დაბადებული 1988 წლის 4 ივლისს. ცენტრალური ნახევარ მცველი. ფეხბურთის თამაში დაიწყო საფეხბურთო კლუბ „ნორჩ დინამოელში“, ნოდარ ხიზანიშვილის მწვრთნელობით.
4. ჩიხრაძე თორნიკე, დაბადებული 1992 წლის 8 ივლისს. ნახევარმცველი. 9 წლის ასაკიდან თამაშობს ფეხბურთს. მისი მწვრთნელები იყვნენ მამუკა მურჯიკნელი და კახა ბექაური.

ამ ფეხბურთელებმა ამა წლის 23 იანვარს, მიიღეს არგენტინის ვიზები და 2 თებერვალს გაემგზავრებიან არგენტინაში.

პროექტი „Argent-Georgia“ 2010-2014 ითვალისწინებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს ნაკრები გუნდების გაძლიერებას და წარმატებით მონაწილეობას ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატების შესარჩევ მატჩებში.

მიმდინარე წლის მარტსა და მაისში ედუარდო დელგადო კიდევ მიიწვევს ფეხბურთელებს მოსამზადებლად.

**ნიკო პატარქალიშვილი**

პროექტის „ARGENT-GEORGIA“ 2010-2014ხელმძღვანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ნაკრები

# ბექჰემი თამაშგარეთ

## კაპელომ გალაქტიკო ზედმეტად მიიჩნია, მას არც ოუენი სჭირდება...

**დევიდ ბექჰემი** შვეიცარიასთან ამხანაგურ მატჩში არ ითამაშებს. ფაბიო კაპელომ მისი გამოძახება ზედმეტად მიიჩნია. იტალიელი მწვრთნელი პირადად დაუკავშირდა ფეხბურთელს და განუცხადა, რომ სიაში არ იქნება. კაპელომ მიზეზად ბექჰემის სათამაშო პრაქტიკის უქონლობა დაასახელა. დევიდს რამდენიმე თვეა, არ უთამაშია. მისი გუნდი, "ლოს ანჯელეს გალაქსი" MLS-ის ფლეი ოფში ვერ გავიდა. ამიტომ სეზონი ნაადრევად დაასრულა. ამერიკის ჩემპიონატი აპრილში განახლდება. ბექჰემმა ფორმის შესანარჩუნებლად "არსენალის" ბაზას მიაშურა. ინტენსიური ვარჯიში ნაკრებში მოსახვედრად საკმარისი არ აღმოჩნდა, თუმცა კაპელომ ბექჰემს აუწყა, რომ მისთვის ეროვნული გუნდის კარი ღიაა და მომავალ მატჩებში შეუძლია, გამოძახების იმედი იქონიოს.

შვეიცარიასთან თამაშს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. დევიდი ნაკრებში მე-100 მატჩის ჩასატარებლად ემზდებოდა. მას შეეძლო, გამხდარიყო მეხუთე ფეხბურთელი, რომელსაც ინგლისის ნაკრებში 100 და მეტი მატჩი აქვს ჩატარებული - **პიტერ შილტონის** (125), **ბობი მურის** (108), **ბობი ჩარლტონისა** (106) და **ბილი რაიტის** (105) შემდეგ.

იუბილე გაურკვეველი ვადით გადაიდო. სანამ კაპელოს გადაწყვეტილების შესახებ გახდებოდა ცნობილი, ინგლისურ მედიაში გაჩაღდა ფართომასშტაბიანი კამპანია ბექჰემის მხარდასაჭერად. ფეხბურთელები, მიმომხილველები და გულშემატკივრები იტალიელ მწვრთნელს ერთხმად მოუწოდებდნენ, დევიდისათვის მე-100 მატჩის ჩატარების საშუალება მიეცა. კაპელო შეუვალი აღმოჩნდა. მან სადებიუტო მატჩისათვის მხოლოდ საუკეთესო ფეხბურთელები შეარჩია. დონ ფაბიოს ბექჰემის პოზიციაზე ჩელსელი **შონ რაიტ-ფილიპსი** და ბლექბერნელი **დევიდ ბენტლი** ჰყავს. ისინი თავიანთი კლუბების ძირითადში თამაშობენ და ბრწყინვალე ფორმაში არიან.

რამდენიმე დღის წინ ბექჰემმა ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ნაკრებში გამოძახება განსაკუთრებული მოვლენაა. იმის გამო, რომ მე-100 მატჩი უნდა ჩავატარო, ამ ფაქტს ჩემთვის ორმაგად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მწვრთნელის ზარს მოუთმენლად ველოდები. იმედია, სიაში მოვხვდები, მაგრამ თუ ვერა, არაუშავს. ესეც ცხოვრების ნაწილია. ნაკრებში თამაშისათვის ყველაფერი გავაკეთე. ბოლო თვენახევრის განმავლობაში მუხლჩაუხრელად ვემზადებოდი. ფაბიო კაპელოსთან არ მილაპარაკია. ვხედავ, რომ ის ძალიან დაკავებულია. ქვეყნის გარშემო ბევრს მოგზაურობს და უთვალავ თამაშს ესწრება. იმედია, მას ნაკრების შეკრებაზე შევხვდები."*

ბექჰემის იმედი არ გამართლდა, მაგრამ ის მსგავს სიტუაციაში ადრეც მოხვედრილა. მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ნაკრების ახალმა მწვრთნელმა **სტივ მაკლარენმა** დევიდი ზედმეტად მიიჩნია და თითქმის ერთი წლის განმავლობაში მის სამსახურზე უარი თქვა. როცა გუნდს ძალიან გაუჭირდა, მაკლარენმა გალაქტიკოს უხმო და მანაც რამდენიმე შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა. ბექჰემის ბოლო თამაში გასული წლის ოქტომბრით თარიღდება. მან ხორვატებთან შესარჩევ შეხვედრაში შეცვლაზე ითამაშა. ინგლისმა სენსაციურად წააგო, 2:3 და ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩა.

დევიდი ზუსტად ანალოგიური ვითარებაში აღმოჩნდა მადრიდის "რეალშიც", სადაც მისი მწვრთნელი ფაბიო კაპელო იყო. 2007 წლის იანვარში, "გალაქსისთან" კონტრაქტი გაფორმების შემდეგ, კაპელომ ის შემადგენლობიდან გაიყვანა. დევიდი თითქმის ორი თვის განმავლობაში მადრიდელთა თამაშებს ტრიბუნიდან უყურებდა. მერე "რეალსაც" გაუჭირდა. კაპელომ ის გუნდში დააბრუნა. ბექჰემის საუცხოო თამაშის წყალობით, სამეფო კლუბმა არა ერთი მნიშვნელოვანი ქულა მოიპოვა და საბოლოოდ, ოთხწლიანი პაუზის შემდეგ, ესპანეთის ჩემპიონი გახდა.

გალაქტიკოს მიაჩნია, რომ უმაღლეს დონეზე თამაშს მინიმუმ 2010 წლამდე შეძლებს. მას სურს, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში, შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონატში მიიღოს მონაწილეობა. ინგლისური მედია წერს, რომ კაპელო ამერიკული ლიგის მიმართ სკეპტიკურადაა განწყობილი და სულაც არ ჰგონია, რომ ფეხბურთელს იქ თამაშით საუკეთესო სპორტული ფორმის შენარჩუნება შეუძლია. დრო და დრო, ბრიტანული გაზეთები წერენ იმის შესახებ, რომ ბექჰემი შეიძლება ინგლისში დაბრუნდეს. "არსენალში" მის დროებით ყოფნასაც ბევრი კუდი გამოაბეს, მაგრამ ბექჰემი ამბობს, რომ ამერიკელებთან კონტრაქტის განყვეტას არ გეგმავს.

დასასრულს შემადგენლობა, რომელიც კაპელომ გუშინ, ინგლისის დროით, ოთხის ნახევარზე დაასახელა. მასში ორი ახალი სახეა, ორივე "ასტონ ვილიდან" - **გაბრიელ აგბონლაორი** და **კერტის დევისი**. აგბონლაორი თავდამსხმელია. მან პრემიერლიგის მიმდინარე სეზონში 24 მატჩში შვიდი გოლი გაიტანა. დევისი "ვესტ ბრომვიჩის" საკუთრებაა და ბირმინგემში ერთწლიანი იჯარით თამაშობს. "ასტონ ვილიდან" ეროვნულ გუნდში ერთბაშად ცუთი ფეხბურთელი მოხვდა. ეს ბირმინგემელთა საუცხოო სეზონის გამოძახილია. **მარტინ ონილის** გუნდი სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილზე იმყოფება.

სპეკულაციების მიუხედავად, სიაში მოხვდა **მაიკლ ოუენი**. მან ტრავმა ახლახანს მოიშუშა. მაიკლი "ნიუკასლის" ბოლო მატჩებში შეუცვლელად თამაშობს. მას ეროვნულ გუნდში 88 მატჩი აქვს ჩატარებული. ოუენის ანგარიშზე 40 გოლია. ის ინგლისის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირთა შორის მეოთხე ადგილზე იმყოფება. ჯორდების ვარსკვლავს ბობი ჩარლტონისაგან ათი გოლი აშორებს. კაპელო ამ კვირაში "არსენალისა" და "ნიუკასლს" ორ მატჩს დაესწრო. "მეთოფეებმა" ჯორდებს ექვსი უპასუხო გოლი გაუტანეს. ოუენმა, ისევე, როგორც მთელმა მისმა გუნდმა, საკმაოდ უსახურად ითამაშა, მაგრამ კაპელომ ის მაინც საჭირო ფეხბურთლად მიიჩნია.



კაპელომ ბექჰემი არ გამოიძახა, მაგრამ დააიმედა

**მეკარეები** - სკოტ კარსონი (ასტონ ვილა), დევიდ ჯეიმსი (პორტსმუთი), კრის კერკლანდი (ვიგანი);

**მცველები** - უეინ ბრიჯი (ჩელსი), ვესლი ბრაუნი (მანჩესტერ იუნაიტედი), ეშლი კოული (ჩელსი), კერტის დევისი (ასტონ ვილა), რიო ფერდინანდი (მანჩესტერ იუნაიტედი), გლენ ჯონსონი (პორტსმუთი), ლედლი კინგი (ტოტენჰემი), ჯოლეონ ლესკოტი (ევერტონი), მიკა რიჩარდსი (მანჩესტერ სიტი), ნიკი შორი (რედინგი), მეტიუ აპსონი (ვესტ ჰემი), ჯონათან ვუდგეიტი (ტოტენჰემი);

**ნახევარმცველები** - გარეთ ბერი (ასტონ ვილა), დევიდ ბენტლი (ბლექბერნი), მაიკლ ქერიკი (მანჩესტერ იუნაიტედი), ჯო კოული (ჩელსი), სტიუარტ დაუნინგი (მიდლსბრო), სტივ ჯერარდი (ლივერპული), ოუენ ჰარგრივსი (მანჩესტერ იუნაიტედი), ჯერმეინ ჯენასი (ტოტენჰემი), შონ რაიტ-ფილიპსი (ჩელსი), ეშლი იანგი (ასტონ ვილა);

**თავდამსხმელები** - გაბრიელ აგბონლაორი (ასტონ ვილა), პიტერ კრაუჩი (ლივერპული), ემილ ჰესკი (ვიგანი), მაიკლ ოუენი (ნიუკასლი), უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი).

საფრანგეთის ნაკრები

# ტრეზეგე ზედმეტია

## დომენეკი შემადგენლობის გადახალისებას აგრძელებს...

**რაიმონ დომენეკმა** დავიდ ტრეზეგე არ გამოიძახა. საფრანგეთის ნაკრების თავკაცმა ესპანეთსა და კონგოს რესპუბლიკასთან ამხანაგური მატჩებისათვის 36-კაციანი (!) შემადგენლობა დაასახელა. ტრეზეგეს ადგილი გაფართოებულ სიაშიც კი ვერ მოინახა. დომენეკი ამგვარ საკადრო პოლიტიკას გუნდის გადახალისების სურვილით ხსნის. ტრეზეგე "იუვენტუსში" საუცხოო სეზონს ატარებს. მან უკვე 15 გოლი გაიტანა. დომენეკს ამ ფეხბურთელთან ყოველთვის პრობლემები ჰქონდა. მოსიე რაიმონი დავიდსაც არასოდეს ეხატებოდა გულზე. გასულ ზაფხულს ტრეზეგემ თავი შეურაცხყოფილადაც კი მიიჩნია, როდესაც სლოვაკეთთან მატჩისათვის მეორე გუნდის შემადგენლობაში გამოიძახეს.

საქმეს ისეთი პირის უჩანს, რომ ტრეზეგე ევროპის ჩემპიონატზე არ გაემგზავრება. მას 1998 წელს მოპოვებული მსოფლიოსა და ჩემპიონისა და 2000 წელს მოპოვებული ევროპის ჩემპიონის ტიტულებით მოუწევს დაკმაყოფილოება. იუვენტუსელი ვარსკვლავის ადგილზე **ნიკოლა ანელკას** უხმეს. "ჩელსის" ახალწვეულმა ზემოთ ნახსენებ ტურნირებში მწვრთნელებთან უთანხმოების გამო არ ითამაშა. სიაში არიან ფრანგული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავები - **ჰატემ ბენ არფა** და **ქარიმ ბენზემა**. ფრანგების თავდასხმას, ანელკასა და **ჯიბრილ სისესთან** ერთად, სწორედ ისინი გაუძღვებიან.

"ლურჯების" შემადგენლობაში სამი ახალწვეულია: "მარსელის" მეკარე **სტივ მადანდა**, "არსენალის" მცველი **გაელ კლიში** და "მონაკოს" თავდამსხმელი **ჟერემი მენეზი**. გამოძახებულია კლიშის თანაკლუბელი **ბაკარი სანია**. 6 თებერვალს საფრანგეთი ესპანეთს მალაგაში შეხვდება, 5 თებერვალს კი - ესპანეთის საკურორტო ქალაქ მარბელიაში კონგოს გაავარჯიშებს. განვმარტავთ, რომ 5 რიცხვში ფრანგები სარეზერვო გუნდით ითამაშებენ. დომენეკს ამხელა სიის გამოქვეყნებაც ამიტომ დასჭირდა.



დავიდ ტრეზეგე

**მეკარეები:** - გრეგორი კუპე (ლიონი), სებასტიან ფრეი (ფიორენტინა), მიკაელ ლანდრო (პარი სენ ჟერმენი), სტივ მადანდა (მარსელი);

**მცველები** - ერიკ აბიდალი (ბარსელონა), ჟან ალენ ბუმსონგი (ლიონი), ფრანსუა კლერი (ლიონი), სებასტიან სკილაჩი (ლიონი), გალ კლიში (არსენალი), ვილიამ გალასი (არსენალი), ბაკარის სანია (არსენალი), ჟულიენ ესკუდე (სევილია), პატრის ევრა (მანჩესტერ იუნაიტედი), გაელ ჟივე (მარსელი), ფილიპ მექსე (რომა), ვილი სანიოლი (ბაიერნი), ლილიან ტურამი (ბარსელონა);

**ნახევარმცველები** - აბუ დიაბი (არსენალი), ალუ დიარა (ბორდო), ლასანა დიარა (პორტსმუთი), მატიო ფლამინი (არსენალი), კლოდ მაკელელე (ჩელსი), სამირ ნასრი (მარსელი), ჟერომ როტენი (პარი სენ ჟერმენი), ჟერემი ტულალანი (ლიონი), პატრიკ ვიეირა (ინტერი);

**თავდამსხმელები** - ნიკოლა ანელკა (ჩელსი), ჰატემ ბენ არფა (ლიონი), ქარიმ ბენზემა (ლიონი), სიდნი გოვუ (ლიონი), ჯიმი ბრიანი (რენი), ჯიბრილ სისე (მარსელი), ტიერი ანრი (ბარსელონა), ფლორან მალუდა (ჩელსი), ჟერემი მენეზი (მონაკო), ფრანკ რიბერი (ბაიერნი).

## ფერგი მინდვრის გამოცვლას ითხოვს

**სერ ალექს ფერგიუსონი** "ოლდ ტრეფორდზე" მინდვრის გამოცვლას ითხოვს. "ეშმაკების" თავკაცს მოთმინების ფიალა გასულ უქმეებზე, "ტოტენჰემთან" სათასო მატჩისას აევსო. მისმა შეგირდებმა 3:1 გაიმარჯვეს. თამაშის შემდეგ, პრესკონფერენციაზე, მწვრთნელმა უმთავრესად მინდორზე ისაუბრა. მან თქვა, ასეთი ბალახი, შეიძლება, ჩემპიონობის ფასად დაგვიჯდესო. დირექტორებს არჩევანი არ აქვთ. ბლომად ფულს უნდა ჩამოვიდნენ და მწვრთნელის მოთხოვნა შეასრულონ. ფერგი რომ ტყუილად არ ჩივის, ეს "პორტსმუთთან" ოთხშაბათის მატჩის დროსაც გამოჩნდა. "იუნაიტედმა" ამჯერადაც გაიმარჯვა, 2:0. 11 დღის შემდეგ "ოლდ ტრეფორდზე" მანჩესტერული დერბი გაიმართება. სერ ალექსს იმედი აქვს, რომ გუნდები უკვე ახალი ბალახზე გავლენ.

## დეფო პორტსმუთში 9 მილიონად?

სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს "პორტსმუთმა" "ტოტენჰემს" გარიგება შესთავაზა. მან 9 მილიონი გირვანქა გაამზადა **ჯერმეინ დეფოს** სანაცვლოდ. "შპორმა" გვაუწყა, "პორტსმუთის" თავკაცმა **ჰარი რედნაპმა** და აღმასრულებელმა დირექტორმა **პიტერ სტორიმ** მთელი ხუთშაბათი ლონდონში გაატარეს. ისინი "ტოტენჰემის" წარმომადგენლებს დახურულ კარს მიღმა ხვდებოდნენ. საუბრის საგანი დეფოს ტრანსფერი იყოო, წერს ტაბლოიდი. ერთი დღით ადრე რედნაპმა "მანჩესტერ სიტის" მიჰყიდა ზიმბაბველი თავდამსხმელი **ბანჯამინ მვარუვარი**. მანჩესტერელებმა მის სანაცვლოდ 6 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. მვარუვარიმ "პორტსმუთის" შემადგენლობაში 69 მატჩი ჩაატარა და 19 გოლი შეაგდო. აქედან, 10 გოლი მიმდინარე სეზონში. ის კლუბის საუკეთესო ბომბარდირი იყო. მის შემცვლელად დეფო მოიაზრება. შეგახსენებთ, ორიოდე დღის წინ მამლებმა ჯერმეინს ახალი კონტრაქტი შესთავაზეს, თუმცა შეთანხმება იურიდიულად გაფორმებული ჯერ კიდევ არ იყო.

## ფერარის მილანსა და ტურინში უხმეს

გუშინ "მილანმა" და "იუვენტუსმა" "რომასთან" ურთიერთობის გარკვევა სცადეს. ორივე გრანდს ჯალოროსის მცველი, **მატეო ფერარი** სურს. რომაელები ფერარის ახალი კონტრაქტს სთავაზობენ. ფეხბურთელი ხელფასის მომატებას ელოდება. თუ მას პირობები არ დააკმაყოფილებს, ახალ სამსახურზე დაიწყებს ფიქრს. მატეო მიმდინარე სეზონს "რომაში" ჩაამთავრებს. "მილანსა" და "იუვეს" დედაქალაქელებთან წინასწარი ხელშეკრულების გაფორმება სურთ. "რომა" კიდევ ორ ნამყვან ფეხბურთელთან - **ალბერტო აკილანისა და ამანტინო მანსინისთან** ცდილობს კონტრაქტების გაგრძელებას, მაგრამ "ჯალოროსის" სახელფასო სისტემის შეცვლა არ სურთ. მათ გუნდში მაქსიმალური წლიური ხელფასი 1.75 მილიონი ევროა. ამ თანხად საუკეთესო ფეხბურთელების შენარჩუნება ადვილი არ იქნება.

## ჟილბერტო ბერლინში დაბრუნდა

ბრაზილიელი მცველი ჟილბერტო "ტოტენჰემში" არ გადავა. ფებურთელმა განმეორებითი სამედიცინო შემოწმებაც ვერ გაიარა. ამიტომ ბერლინში მოუხდა დაბრუნება. ის "ჰერტას" ეკუთვნის. ლონდონელები მის სანაცვლოდ 4 მილიონი ევროს გადახდას აპირებდნენ. "მამლებს" ახალგაზრდა მცველი **გარეთ ბეილი** ჰყავთ დაშავებული. გუნდმა ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ორი უკანახაზელი შეიძინა: "მიდლსბროს" ცენტრალური მცველი **ჯონათან ვუდგეიტი** (ფაბიო კაპელომ ის ნაკრებში გამოიძახა) და "რეინჯერსის" მარჯვენა მცველი **ალან ჰატონი**. ასე რომ ჟილბერტოს ტრანსფერის ჩაშლა ძალიან არ შეემჩნევათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იუვეს დამაქცევარი მარიო ბალოტელი

იტალიის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

# ყმაწვილი და ქალბატონი

## იუვე გავარდა, უკვე ნანახი ფინალის გამეორება რეალურია

**იტალიის თასზე ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ. ტროფეის მოქმედი მფლობელი "რომა" შემდგომ ეტაპზეა და შანსი აქვს, მიღწევა გაიმეოროს. ასევე არის შანსი იმისა, რომ განმეორდეს შარშანდელი ფინალი, რომელშიც "ჟალოროსიმ" "ინტერი" გაანადგურა (6:2, 1:2)...**

**ამანტინო მანსინის** გოლმა "რომას" ნახევარფინალის საგზური გამოუწერა. როგორც ჩანს, **ლუჩანო სპალეტისთვის** თასი მეორეხარისხოვანი ტურნირი არ არის. სამშაბათს მან საბრძოლო შემადგენლობა დააყენა იმ გუნდის წინააღმდეგ, ვისთანაც პირველ მატჩში ფრე (1:1) ჰქონდა ნათამაშები. უნდა ითქვას, რომ მანსინის გადამწყვეტ დარტყმამდე "რომამ" ბევრი ინერვიულა. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლები საგრძნობ უპირატესობას ფლობდნენ, "სამპი" მწვავე კონტრშეტევებს ახორციელებდა და **ბელუჩის** გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ მეკარე **დონიმ** და **დე როსიმ** ხიფათი ერთობლივი ძალებით გაანეიტრალეს. მეორე ტაიმის დასაწყისში კი **კამპანიარო** ურტყამდა თავით, მაგრამ **ტადეიმ** ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა. დავამატოთ ამას **ვოლპის** მეტად სახიფათო ჯარიმაც, რომელიც მის თანაგუნდელ **ლუკინის** მოხვდა და ძელს ჩაუქროლა...

მეორე მხრივ, გოლების გატანა შეეძლოთ იმავე მანსინისა და **აკვილანის**, მაგრამ ორივე შემთხვევაში გენუელთა მეკარე **მირანტემ** იყოჩაღა. ამასობაში, გოლმაც მოაწია და რომაელებიც შედარებით დაწყნარდნენ. მანსინიმ ფლანგზე თავგზა აუბნია **სალას** და მახვილი კუთხიდან გოლკიპერიც მშრალზე დატოვა.

თამაში გაიხსნა. **ვალტერ მაძარის** შეგირდებს დასაკარგი აღარაფერი ჰქონდათ და თამამად გადავიდნენ შეტევაზე, "რომას" კი კონტრთამაშისთვის გაეხსნა სივრცე. ამ ვითარებაში ანგარიშის გაზრდა შეეძლოთ **ჟიულისა** და **პეროტას**, მაგრამ "რომამ" 1:0 იკმარა.

ხუთშაბათს, ყურადღების ცენტრში იყო ტურინული მატჩი, რომელშიც "იუვენტუსი" "ინტერს" მასპინძლობდა. პირველი დაპირისპირების შედეგიდან (2:2) გამომდინარე, ფავორიტად თითქოს "ქალბატონი" ითვლებოდა, მაგრამ კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ სათასო შეხვედრებში მსგავსი რამ გასაკვირი არ არის. **რობერტო მანჩინიმ** თადარიგში დასვა **იბრაჰიმოვიჩი**, რომლის ნაცვლად ძირითადში გაამწესა 17 წლის **მარიო ბალოტელი**, შავკანიანი ფორვარდი, რომელიც პალერმოშია დაბადებული და რომელიც ხუთშაბათს მხოლოდ მეორე ოფიციალურ მატჩს ატარებდა. "იუვენტუსის" ოცნებებს, თასისთვის ბრძოლა ნახევარფინალში გაეგრძელებინა, სწორედ ამ ყმაწვილმა გამოუსვა ცელი. ცხადია, რომ თუნდაც ნაკლებად პრესტიჟული ტურნირიდან გავარდნა დიდი დარტყმაა "იუვესთვის", რომელსაც ამ სეზონში "რალაცის" მოგება აქვს მიზნად... უფრო სწორად, ჰქონდა ეს მიზანი, რადგან გუშინწინდელის შემდეგ **კლაუდიო რანიერის** ერთადერთ სამიზნედ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრა იქცა, რაც ასევე ურთულესი ამოცანა იქნება.

რაც შეეხება ბალოტელის, ანგარიში სწორედ მისი დარტყმის შემდეგ გაიხსნა. ფიზიკურად ძლიერმა ფორვარდმა ადვილად მოუგო ორთაბრძოლა **ბირინდელის** და **მანიშეს** პასი ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა. ტურინელები მალევე მოვიდნენ გონს და ამაში მათ **დელ პიეროს** გოლი დაეხმარათ. კაპიტანმა "მოჭრილი" დარტყმით ბურთი შორეულ კუთხეში გაახვია.

რანიერის ბიჭებმა მყარად იგდეს ხელთ თამაშის სადავეები და 30-ე წუთზე კიდევ ერთი გოლი იზეიმეს. დელ პიერომ ასისტენტობა გაუწია ახალ თანაგუნდელ, ექსლაციოელ მცველ **სტენდარდოს**, რომლის თავური ძელს მოხვდა, **იაკუინტა** კი იქვე იყო - 2:1. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ "სინიორამ" დაძლია ფსიქოლოგიური ბარიერი და მეტოქეს კიდევ უფრო შეავიწროვებდა. აგერ, **ტოლდომ** ძლივძლივობით მოიგერია **სალიჰამიჯიჩის** თავური, მერე კი **მაიკონმა** ბოლო წამსლა დაბლოკა **ნედვედის** დარტყმული...

...მაგრამ შემდეგ მოხდა ის, რამაც "იუვენტუსის" უპირატესობა ერთ წამში დაანგრია. **სალიჰამიჯიჩს**, რომელიც **ხიმენესის** შორეულ დარტყმას ფარავდა, ბურთი ხელში მოხვდა და არბიტრს არ უყოყმანია. **კრუსი** კი უშეცდომო იყო - 2:2.

მეორე ტაიმის დასაწყისში ყმაწვილმა ბალოტელიმ "ქალბატონს" მორიგი ალიყური გააწნა. ის კარისკენ ზურგით მდგომი შემობრუნდა და **ბელარდის** თითქმის აუღებელი დაურტყა, სტენდარდომ კი მას ხელი ვერ შეუშალა - 2:3. რანიერიმ ცოტა დააგვიანა გადაადგილებები. **ტრეზეგე** და **კამორანეზი** ერთად გავიდნენ მოედანზე, მაგრამ ამით დიდი არაფერი შეცვლილა. "იუვენტუსი" ქაოსმა შეიპყრო, მერე კი ვნებათაღელვამაც იმატა და კამორანეზის, რომელსაც ორთვენახევარი გაუცდა, წითელი ბარათი უჩვენეს. აქ უკვე ყველაფერი ნათელი გახდა. მოკლედ, ვინმე ბალოტელის დუბლმა "იუვენტუსი" თასიდან დაითხოვა. "ინტერს" ახლაც ბრწყინვალე თავდასხმა ჰყავს და ნახეთ, მომავალიც რა კარგი ეზრდება.

"ლაციო", რომელიც ჩემპიონატში ცუდად თამაშობს, თასის ნახევარფინალში გავიდა, დაამარცხა რა "ფიორენტინა" ორივე შეხვედრაში. ფლორენციაში გამარჯვება რომ ნებისმიერი გუნდისთვის დიდი პრობლემაა, ცნობილი ამბავია, "ბიანკოჩელესტემ" კი ეს პრობლემა როგორღაც მარტივად გადაწყვიტა, თანაც განმეორებით მატჩში ანგარიში მეტოქეს მიჰყავდა. **ჩეზარე პრანდელიმ** ძირითადში არ დააყენა **მუტუ** და, შეიძლება, ამაზე მწარედაც ინანა. **ვიერი-ოსვალდოს** წყვილმა წინა ხაზის ამოცანას თავი ვერ გაართვა, ვერ იყვნენ მოწოდების სიმაღლეზე **მონტოლივოცა** და **დონადელიც**. ერთადერთი, ვინც გამოირჩეოდა, **სემიოლი** იყო და გოლიც მანვე გაიტანა. ექსკიევოელი ნახევარმცველი მარჯვნიდან შეიჭრა საჯარიმოში, გვერდი აუარა რომაელთა დებიუტანტ **რადუს** და მეკარე **მუსლერაც** უკვე უძლური იყო...

სტუმრებმა ყურები გამოიბერტყეს და 34-ე წუთზე **კოლაროვის** მძლავრმა დარტყმამ **ფრეი** უსაქმოდ დატოვა. სხვათა შორის, სერბმა მცველმა პირველ მატჩშიც გაიტანა გოლი და ერთგვარად "იების" მორჯულების სპეციალისტად იქცა. მეორე ტაიმში კი **დელიო როსი** შეცვლაზე შესულმა **როკიმ** გადაარჩინა. მან **პანდევის** პასი მკერდით ჩამოიღო და ცაციათი ბურთი ახლო კუთხეში შეაგდო.

რაც შეეხება მეოთხედფინალის ბოლო მატჩს, "კატანიამ" სტუმრად გატანილი გოლის წყალობით გათამაშებას გამოთიშა "უდინეზე", რომელსაც ის **პასკუალე მარინო** წვრთნის, შარშან კატანიელებს რომ მოძღვრავდა. სიცილიური კლუბისთვის ეს ისტორიული მიღწევაა. "კატანია" ნახევარფინალში პირველად გავიდა.

**რომა-სამპდორია 1:0 (1:1)**

**რომა:** კურჩი (11. ა. დონი), სისინიო, პანუჩი, კასეტი, ტონეტო, აკვილანი, ჟიული (82. პისარო), დე როსი, ტადეი, მანსინი, ტოტი (69. პეროტა).

**სამპდორია:** მირანტე, ლუკინი (59. გასტალდელო), სალა (86. პიერი), კამპანიარო, მაჯო, ციგლერი, ვოლპი, დელვეკიო, კ. ძენონი (69. დ. ფრანჩესკინი), ბელუჩი, ბონაცოლი.

**გოლი:** 1:0 მანსინი (60)

**მაყურებელი:** 24 715

**იუვენტუსი-ინტერი 2:3 (2:2)**

**იუვენტუსი:** ბელარდი, ბირინდელი (67. კამორანეზი), ლეგროტალიე, სტენდარდო, მოლინარო, სალიჰამიჯიჩი, ნოჩერინო, კ. ძანეტი, ნედვედი (74. პალადინო), იაკუინტა (67. ტრეზეგე), დელ პიერო.

**ინტერი:** ტოლდო, მაიკონი (86. სოლარი), კორდობა, რივასი, მაქსველი, ხიმენესი (70. ხ. ძანეტი), მანიშე (54. ვიეირა), პელე, სტანკოვიჩი, კრუსი, ბალოტელი.

**გოლები:** 0:1 ბალოტელი (9), 1:1 დელ პიერო (13), 2:1 იაკუინტა (30), 2:2 კრუსი (39-პენ), 2:3 ბალოტელი (53)

**გაძევება:** კამორანეზი (85. იუვენტუსი)

**მაყურებელი:** 20 616

**კატანია-უდინეზე 2:1 (2:3)**

**კატანია:** ბიცარი, სარდო, სტოვინი, ტერლიცი, ვარგასი, კოლუჩი, ბიაჯანტი (62. ბაიოკო), იცკო, მარტინესი (62. ჯაკ. ტედესკო), სპინეზი (80. მორიმოტო), მასკარა.

**უდინეზე:** კიმენტი, კოდა, ფელიპე, ლუკოვიჩი, ფერონეტი, ინლერი, ერიომენკო (76. გ. დ'აგოსტინო), სიკეირა (58. დოსენა), კანდრევა (58. კვალიარელა), ფლორო ფლორესი, პეპე.

**გოლები:** 0:1 პეპე (1), 1:1 სპინეზი (44), 2:1 მორიმოტო (89)

**მაყურებელი:** 8 443

**ფიორენტინა-ლაციო 1:2 (1:2)**

**ფიორენტინა:** ფრეი, გობი, კროლდრუპი, დაინელი (46. გამბერინი), უიფალუში, სემიოლი, პაციენცა (52. პაცინი), დონადელი, მონტოლივო, ოსვალდო (74. იორგენსენი), ვიერი.

**ლაციო:** მუსლერა, ბეჰრამი, სივილია, რადუ, კოლაროვი, ვინიაროლი (78. არტიპოლი), მუდინგაი, მუტარელი, მაური, ბიანკი (60. როკი), პანდევი (84. ტარე).

**გოლები:** 1:0 სემიოლი (17), 1:1 კოლაროვი (34), 1:2 როკი (62)

**მაყურებელი:** 10 457

**ნახევარფინალი**

**რომა-კატანია**

**ლაციო-ინტერი**

*პირველი მატჩები 16 აპრილს გაიმართება, საპასუხო 7 მაისს*

იტალია

# კარაჩოლო ბრეშაში დაბრუნდა

## ბოლო წუთის ტრანსფერები. მაკინვა რეჯინას აფრიკის თასის შემდეგ შეუერთდება

გუშინ ზამთრის ტრანსფერების ბოლო დღე იყო. სერია A-ს მიდი-მოდი არ გამოვიდა ისეთი, როგორც სჩვევია ხოლმე, თუნდაც შარშან, **რონალდო** რომ გადავიდა "მილანში". დღესდღეობით, ყურადსაღები ტრანსფერი **ანდრეა კარაჩოლოს** დაქვეითებაა. "სამპდორიას" ფორვარდმა სერია B-ს ბინადარ "ბრეშას" მიაშურა, სადაც ის 2001-02 და 2003-05 წლებში თამაშობდა. ლომბარდიულმა კლუბმა 5-მილიონგირვანქიან შეთანხმებას მიაღწია "სამპთან" და "პალერმოსთან", რომლებიც კარაჩოლოს სატრანსფერო უფლებებს სანახევროდ აკონტროლებდნენ. ახლა, ფეხბურთელი მხოლოდ "ბრეშას" საკუთრებაა.

"ლაციომ" ლამის უკანასკნელ წამს მიაღწია გარიგებას "ნიუკასლთან" და მცველი **დავიდ როზენალი** გადაიბირა. "ბიანკოჩელესტე" აყლაყუდა ჩეხს "იუვენტუსში" გადასული **გილერმო სტენდარდოს** შემცვლელად მოიაზრებს. ამავე დროს, "ლაციალემ" დაიბრუნა **უსმან დაბო**, რომელსაც "მანჩესტერ სიტიში" კარიერა არ აეწყო. ფრანგმა ნახევარმცველმა, 2006 წლის შემდეგ, ამ გუნდში მხოლოდ 13 შეხვედრა ჩაატარა.

"ნაპოლის" "რომადან" ფორვარდ **მაურო ესპოზიტოს** ტრანსფერი ჩაეშალა. გარიგება თითქმის მიღწეული იყო, თუმცა ბოლო მომენტში ფეხბურთელმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, არადა, ესპოზიტო ნეაპოლშია დაბადებული... თუმცა წარმატებაა **მიკელე პაციენცას** ფრონტზე. ის "ფიორენტინის" ნახევარმცველი იყო, მაგრამ ბოლო ხანებში კონკურენციას ვერ უძლებდა. "ნაპოლიმ" ამ გარიგებაში 3 მილიონი გირვანქა გაიღო.

"ტორინომ" "პალერმოდან" ორი ფეხბურთელი აიყვანა. საუბარია ნახევარმცველებზე - **აიმო დიანასა** და **მარკო პიზანოზე**. ჩვენ თუ გვკითხავთ, ნორმალური ტრანსფერებია. დიანას იტალიის ნაკრებში 13 მატჩი აქვს ჩატარებული, თუმცა 30 წლის მოთამაშე ბოლო დროს "პალერმოში" ველარ ბრწყინავდა. რაც შეეხება პიზანოს, ის მარცხენა მცველია და ტურინში არენდით ითამაშებს. ექვსიშვიდი წლის წინ ის იმედისმომცემ ფეხბურთელად ითვლებოდა. პიზანოს იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებში 6 მატჩი აქვს ჩატარებული.

"ტოროს" არამარტო აჰყავს, უშვებს კიდეც. "ბრონეულებმა" "ლივორნოს" დაუთმეს ახალგაზრდა ფორვარდი **ტომაზო ვაილატი**, რომელმაც სეზონის პირველივე, მისთვის სადებიუტო მატჩში გოლი გაიტანა. იქვე ითამაშებს ნახევარმცველი **მატეო მელარაც**. "კატანიამ" კი სერია B-ში მოასპარეზე "ტრიესტინიდან" მეკარე **ჯენეროზო როსი** გადაიბირა.

"რეჯინამ" თავდასხმა გააძლიერა. კალაბრიელებმა "ლაციოს" ნიგერიელი ფორვარდი **სტივენ მაკინვა** შეიძინა. მაკინვა აფრიკის ერთა თასზე მონაწილეობს, სადაც თავის ნაკრებთან ერთად მეოთხედფინალში გავიდა. მიმდინარე სეზონში, "ლაციოს" ძირითადში, მაკინვას მხოლოდ 6 მატჩი აქვს ჩატარებული. მას შემდეგ, რაც "ბიანკოჩელესტემ" **როლანდო ბიანკი** იყიდა, 24 წლის აფრიკელის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა, ამიტომ, კლუბმა მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტა.

"ატალანტამ" "უდინეზეს" ნახევარმცველი **მიკელე პაოლუჩი** არენდით აიყვანა. "ფიორენტინამ" "ჯენოას" სენეგალელი ფორვარდი **ნდიაიე პაპა ვაიგო** წაართვა, სამაგიეროდ, გენუაში ბელგიელი მცველი **ენტონი ვანდენ ბორე** გაუშვა. "იები" დატოვა "იუვენტუსიდან" დიდის ამბით გადმოყვანილმა **ფედერიკო ბალცარეტიმ**. 26 წლის მარჯვენა მცველი "პალერმოში" ითამაშებს. "სიენამ" ფორვარდი **კრისტიან ბუკი** სერია B-ს მკვიდრ "ბოლონიას" ჩააბარა. რაკი ეს გუნდი ელიტაში დაბრუნების რეალური კანდიდატია, ბუკის ქვედა დივიზიონში ყურყუტი, ალბათ, დიდხანს არ ემუქრება.



ანდრეა კარაჩოლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის თასი. 1/8 ფინალი. ოთხშაბათის მატჩები

# გომესი ჰეთ თრიკით დაბრუნდა

## მგლების მოგებული ომი, გაწბილებული შალკე და კარლ ცაისის გმირობა



მარიო გომესი (მარჯვნივ) ჰეთ-თრიკს ზეიმობს

ოთხშაბათს, გერმანიის თასის მეოთხედფინალის კიდევ 4 მონაწილე გაირკვა. საინტერესო ის გახლავთ, რომ მომდევნო ეტაპზე გასული 8 გუნდიდან 3 მეორე ბუნდესლიგის წარმომადგენელია. თუკი სამშაბათს ქვედა ლიგიდან წარმატებას აახენის „ალემანიამ" და „ჰოფენჰაიმმა" მიაღწიეს, გუშინწინ ამ გუნდებს მეორე ბუნდესლიგიდან მათ იენის „კარლ ცაისიც" შეუერთდა, რაც ერთობ მოულოდნელი ამბავია. მით უმეტეს, რომ იენელები რეგიონალლიგაში დაქვეითების კანდიდატები არიან. „კარლ ცაისმა" ოთხშაბათს ბილეფელდის „არმინია" შეიწირა. ამას სენსაციას ვერ დავარქმევთ, მაგრამ ფაქტია, რომ მეოთხედფინალს მიღმა დარჩა ლევან კობიაშვილის „შალკე" – გელზენკირხენელებმა „ვოლფსბურგის" ბარიერი ვერ გადალახეს.

**ესსენი–ჰამბურგი 0:3**

**ესსენი:** მაზუხი, ჩიშჩონი, აუგუსტინი, ანდერსენი, ეფრენი, გორმიულტერი, მ. ლორენცი (67. კლინგერი), კოტულა (58. ბარტელსი), ბრენდი, შტოპელკამპი (20. კაციორრი), იანსი.

**ჰამბურგი:** ფ. როსტი, დემელი, კომპანი, მატიისენი, ჯ. ბოატენგი, იაროლიმი, დე იონგი (64. ბენჯამინი), ჩუპო-მოტინგი, ვან დერ ვაარტი (77. ბენჰატირა), ტროხოვსკი, ოლიჩი (69. გერერო).

**გოლები:** 0:1 ვან დერ ვაარტი (6), 0:2 ტროხოვსკი (52), 0:3 ოლიჩი (55).

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** რაფაელ ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი).

**გაფრთხილება:** 1-1.

**მაყურებელი:** 21 500.

**კარლ ცაისი–არმინია 1:1 დ.დ. 2:1**

**კარლ ცაისი:** ხომუტოვსკი, გიუნტერი (120. რიმერი), ა. მაული, ომოდიაგბე, შტეგმაიერი, კიკუჩი, ამრაინი (70. ალაგუი), ვერნერი, შიმაკი, პეტერსენი (87. კიუნე), შიდი.

**არმინია:** ჰაინი, კირხი, მიატოვიჩი (106. კორზინიტცი), გაბრიელი, შულერი, კაუფი, კუჩერა, კამპერი, ნკოსი (82. დ. კობილიკი), ბიომე (79. ტ. მარქსი), ვიხნიარეკი.

**გოლები:** 0:1 ვიხნიარეკი (42), 1:1 პეტერსენი (84), 2:1 შიმაკი (116-პენ).

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ვასილი ხომუტოვსკი (კარლ ცაისი).

**გაძევება:** ალაგუი (101. კარლ ცაისი), კამპერი (105. არმინია).

**გაფრთხილება:** 0-1.

**მაყურებელი:** 14 500.

**ვერდერი II–შტუტგარტი 2:3**

**ვერდერი II:** პელატცი, ოვომოიელა, მორი, შტალბაუმი, ერდემი, პაიტცი, ჰარნიკი, ჰაიდერი (76. არტმანი), კრუსე, შინდლერი (88. რონებურგი), ლიონინგი.

**შტუტგარტი:** რ. შეფერი, ჰილბერტი, მეირა, დელპიერი, ბეკი, პარდო, ხედირა, ჰიტცლშპერგერი, ბაშთურქი (90. ა. და სილვა), მარიკა (74. რადუ), გომესი.

**გოლები:** 0:1 გომესი (29), 0:2 გომესი (32), 0:3 გომესი (43), 1:3 ჰაიდერი (57), 2:3 პაიტცი (71).

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** მარიო გომესი (შტუტგარტი).

**გაფრთხილება:** 1-5.

**მაყურებელი:** 10 310.

**ვოლფსბურგი–შალკე 1:1 პენ. 5:3**

**ვოლფსბურგი:** ბენალიო, რიტერი (69. დეჟაგა), შიმუნეკი, მადლუნგი, კარიმოვი, გენტნერი, ჟოსუე, სანტანა (69. კრჟინოვეკი), მარსელინიო, ჯეკო, გრაფიტე (75. ლიუბოჯა).

**შალკე:** ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ჯონსი, ფ. ერნსტი, რაკიტიჩი (76. კობიაშვილი), ასამოა (87. ვარელა), ლოვენკრანდსი (70. სანჩესი), ჰალილ ალთინთოფი.

**გოლები:** 0:1 ლოვენკრანდსი (27), 1:1 კარიმოვი (91).

**პენალტების სერია:** 1:0 მარსელინიო, 1:1 რაფინია, 2:1 გენტნერი, 2:2 ვესტერმანი, 3:2 ჯეკო, 3:2 კრსტაიჩი (მეკარე), 4:2 ლიუბოჯა, 4:3 ჰალილ ალთინთოფი, 5:3 კარიმოვი.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** დიეგო ბენალიო (ვოლფსბურგი).

**გაფრთხილება:** 2-1.

**მაყურებელი:** 25 831.

„ვოლფსბურგში" სუსხიანი და წვიმიანი საღამო იყო, მაგრამ ადგილობრივი ქომაგებისთვის ეს ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო საღამო გამოვიდა. დაახლოებით 26 000-მა ვოლფსბურგელმა უსაყვარლესი გუნდის წარმატება წვიმაში და სუსხში იზეიმა. თანაც, მატჩი ძალიან საინტერესო და დრამატული გამოდგა – „ვოლფსბურგმა" და „შალკემ" ზუსტად ისეთი დაუნდობელი ბრძოლა გამართეს, როგორიც გერმანულ ფეხბურთს ახასიათებს. საბოლოოდ, გამარჯვება **ფელიქს მაგათის** შეგირდებს დარჩათ, რომლებმაც მათზე ძლიერი მეტოქე პენალტების სერიაში დაამარცხეს. ექსპერტების აზრით, ეს გახლდათ საუკეთესო მატჩი გერმანიის თასის მიმდინარე გათამაშებაში.

შეხვედრის გმირი კი „მგლების" ახალი მეკარე, მაგათის მიერ ნაყიდი **დიეგო ბენალიო** გახდა, რომელიც ვოლფებმა „მადეირადან" გადაიბირეს. სწორედ ბენალიომ მოიგერია **მლადენ კრსტაიჩის** პენალტი, რითაც თანაგუნდელებს მეოთხედფინალისკენ გზა გაუხსნა.

ყველასათვის მოულოდნელად, მაგათმა თამაში ორი თავდამსხმელით (**გრაფიტე, ჯეკო**) დაიწყო. შესაბამისად, „ვოლფსბურგმა" თავიდანვე შეუტია და საერთოდაც, „მგლებმა" მთელი მატჩის განმავლობაში შემტევი ფეხბურთი ითამაშეს, რაც ამ გუნდისთვის, განსაკუთრებით მას მერე, რაც VFL-ს „დესპოტი ფელიქსი" წვრთნის, ნამდვილად არაა დამახასიათებელი. მაგრამ ანგარიში მაინც შალკელებმა გახსნეს და ეს მათ მიერ განხორციელებულ პირველსავე კონტრშეტევას მოჰყვა: 27-ე წუთზე **ჰალილ ალთინთოფმა** მარჯვენა ფლანგზე გაილაღა და მის ჩაწოდებას **ლოვენკრანდსი** და **რიტერი** ერთად დახვდნენ, ბურთი ბენალიოს თავში მოხვდა და კარის ხაზი გადაკვეთა – 0:1. გაშვებული გოლის შემდეგ „ვოლფსბურგმა" უკანმოუხედავი შეტევები (!) წამოიწყო – სამ წუთში გრაფიტეს წონასწორობის აღდგენა მართებდა, მაგრამ ოდნავ ააცილა. „შალკე" კი, კონტრშეტევებით ცდილობდა ფონს გასვლას – ბენალიოს სამჯერ მოუხდა თავისი ოსტატობის გამოვლენა იმისათვის, რომ ანგარიში არ გაზრდილიყო. სხვათა შორის, 62-ე წუთზე ის **ვესტერმანის** უძლიერეს დარტყმას შესანიშნავ ნახტომში მისწვდა.

„მგლებმა" ანგარიში მატჩის მიწურულს, უფრო ზუსტად, მსაჯის მიერ დამატებულ პირველ წუთზე გაათანაბრეს: **მარსელინიოს** კუთხურს ახალგაზრდა **კარიმოვი** გამოეხმაურა და **ნოიერი** უშანსოდ დატოვა. დამატებით დროში ორივე გუნდი ფრთხილობდა და არცაა გასაკვირი, გოლი კი არა, სახიფათო მომენტიც რომ არ შექმნილა. დაინიშნა პენალტების სერია, რომელშიც, როგორც უკვე გითხარით, ბენალიომ კრსტაიჩის დარტყმის მოგერიება შეძლო, მაგათის შეგირდებმა კი ხუთივე თერთმეტმეტრიანი უპრობლემოდ გაიტანეს. აღსანიშნავია, რომ ბენალიოსთან ერთად მატჩის გმირის წოდებას ყაზახი კარიმოვიც იმსახურებდა, რომელსაც ვოლფსბურგელებმა "მინი-ბორატი" შეარქვეს. ანგარიში ხომ მან გაათანაბრა და გადამწყვეტი პენალტიც მის ანგარიშზეა.

...ის დაბრუნდა და "შტუტგარტი" იხსნა! 22 წლის **მარიო გომესმა** გერმანიის მოქმედი ჩემპიონები მეოთხედფინალში ფაქტობრივად მარტომ გაიყვანა – სუპერმარიომ „ვერდერის" მეორე გუნდს ჰეთ-თრიკი შეუსრულა. ბრემენელებს შეუძლიათ, უიღბლობაზე ილაპარაკონ: 24 საათის განმავლობაში გერმანიის თასის გათამაშებას „ვერდერის" ორივე გუნდი გამოეთიშა.

გომესს ბოლო თამაში 2007 წლის 24 ნოემბერს ჰქონდა ჩატარებული. მას მერე ტრავმირებული იყო და ამდენად, მისი ასეთი დაბრუნება ორმაგად ძვირფასია. 29-ე წუთი: მარიომ 20 მეტრიდან დაურტყა **პელატცს** და გაუტანა – 0:1. ეს გახლდათ შვაბების პირველი ხეირიანი შეტევა. მანამდე ბრემენელი ბავშვები უტევდნენ და ბურთი ძელსაც კი მოარტყეს (**კრუსე**). 32-ე წუთი: გომესი **ჰიტცლშპერგერის** ჩაწოდებას გამოეხმაურა და ხუთი მეტრიდან გაიტანა – 0:2. 42-ე წუთი: სუპერმარიომ ისევ ჰიტცლშპერგერის პასით იხეირა – 0:3. ბრემენელები ამ გოლს აპროტესტებდნენ, **ბაშთურქი** თამაშგარე მდგომარეობაში იყო და ჩვენს მეკარეს ხელს უშლიდაო.

რეგიონალლიგელმა „მუსიკოსებმა" მაინც იბრძოლეს და მეორე ტაიმში სხვაობა ერთამდე შეამცირეს (**ჰაიდერი, პაიტცი**), მაგრამ მეტი ველარაფერი შეძლეს და მეოთხედფინალში „შტუტგარტი" გაატარეს. შვაბები ამ წარმატებას გომესს უნდა უმადლოდენ...

„ჰამბურგმა" ძალიან მარტივად, თითქმის უპრობლემოდ დაამარცხა ესსენის „როტ-ვაისი" (3:0 - ამ წყვილში სხვა შედეგი არც იყო მოსალოდნელი) და 11 წლიანი პაუზის შემდეგ პირველად გავიდა გერმანიის თასის მეოთხედფინალში. ჩრდილოელები მე-6 წუთზე დაწინაურდნენ, როცა **ჩუპო-მოტინგის** ჩაწოდებას **ვან დერ ვაარტი** დაუხვდა და ბურთი მეტოქის კარში თავით გადაგზავნა. ჩუპო-მოტინგი გაგიგიათ? ის 18 წლისაა და მხოლოდ ნაშუადღევს ვარჯიშობს ხოლმე. რატომ ნაშუადღევს? იმიტომ, რომ დილას სკოლაში დადის და მარტიდან აბიტურიენტის სტატუსიც ექნება. ფაქტია, რომ ეს ბიჭი HSV-ში **რომეო კასტელენის** (მუხლის ტრავმა აქვს) იდეალური შემცვლელია. მეორე და მესამე გოლები კი მეორე ტაიმის დასაწყისში გავიდა: ჯერ **ტროხოვსკიმ** 18 მეტრიდან დაამწუხრა ესსენელები, მერე კი ივიცა **ოლიჩმაც** იხეირა 15 მეტრიდან. 65-ე წუთზე კი კურიოზს ჰქონდა ადგილი: სტაიონის უკან, ყველასათვის მოულოდნელად, ფეირვერკი ამოქმედდა! წესითა და რიგით, ეს საფინალო სასტვენის შემდეგ უნდა მომხდარიყო. თანაც, იმ შემთხვევაში, თუ „როტ-ვაისი" სენსაციას მოახდენდა...

გოტფრიდ **ლენცი**



ჯერალდ ასამოა შალკეს ერთგულია

შალკე

# ასამოა სულით ხორცამდე შალკელია

## ჯერალდმა ხუმარებთან კონტრაქტი 2011 წლამდე გააგრძელა

მიუხედავად იმისა, რომ „შალკემ" ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ფლანგის ორი ფეხბურთელი (**ზე რობერტო II** და **ალბერტ შტრაიტი**) გადაიბირა, **ჯერალდ ასამოამ**, რომელსაც ხსენებული ტრანსფერების გამო გელზენკირხენული კლუბიდან აბარგებას უწინასწარმეტყველებდნენ, **ლევან კობიაშვილის** გუნდთან კონტრაქტი 2011 წლამდე გააგრძელა.

29 წლის ასამოა „შალკეში" 1999 წლიდან თამაშობს და აქტუალურ შემადგენლობაში ყველაზე ძველი შალკელია. *„ასამოა ჩვენი პუბლიკის უსაყვარლესი ფეხბურთელი და გუნდისთვის, როგორც მოედანზე, ასევე მოედანს მიღმაც, ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა. ამიტომაც, მის გაშვებაზე ერთი წამითაც არ გვიფიქრია,"* – აცხადებს გელზენკირხენული კლუბის გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერი**.

ასამოა „შალკეში" 1999 წელს იმ დროს მეორე ბუნდესლიგაში მოასპარეზე „ჰანოვერიდან" გადავიდა და მას მერე, „შალკეს" მაისურით ბუნდესლიგაში 228 თამაშში 38 გოლი გაიტანა. ამ ხნის მანძილზე მან „ხუმარებთან" ერთად ორჯერ მოიგო გერმანიის თასი (2001, 2002).

*„შალკე" ჩემი გუნდია! აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ ოჯახში, როგორც თევზი წყალში. შესაბამისად, მინდა, რომ კარიერა ამ გუნდში დავასრულო,"* – ეს კი თვითონ ასამოას სიტყვებია, რომელიც წარმოშობით განელი გახლავთ და რომელსაც გერმანიის ნაკრების შემადგენლობაში ორ მუნდიალზე აქვს ნათამაშები (2002, 2006).

ბაიერნი

# კლინსმანმა ახალი ლიოვი იპოვა

## რეკორდმაისტერში კლინსის მარჯვენა ხელი მარტინ ვასკესი იქნება...

ამერიკაში 44 წლის **მარტინ ვასკესი** ძალიან პოპულარულია. მიზეზი: ის ერთადერთი ფეხბურთელი იყო, რომელმაც მექსიკის ნაკრებშიც ითამაშა და აშშ-ს პირველ გუნდშიც. ზაფხულიდან მას გერმანიაშიც კარგად გაიცნობენ, რადგან ვასკესი **იურგენ კლინსმანის** თანაშემწე იქნება - ანუ, კლინსის ახალი **ლიოვი**! გადაწყდა, რომ კლინსმანი ზაფხულში მიუნხენში წარმოშობით მექსიკელ ვასკესს ჩაიყვანს.

ისევე, როგორც კლინსმანი, ვასკესიც კალიფორნიაში ცხოვრობს – მეუღლესთან და სამ შვილთან ერთად. ამჟამად ის ამერიკულ კლუბ „დეპორტივო ჩივასის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტია. 2004 წელს ვასკესი „ლოს ანჯელეს გალაქსის" დამრიგებელ **ზიგფრიდ შმიდის** თანაშემწე გახლდათ. და აღსანიშნავია, რომ მან ის სამსახურიც კლინსის რეკომენდაციით მიიღო.

*„მარტინს 2003 წლიდან ვიცნობ. მაშინ ის საფეხბურთო კემპის მწვრთნელი გახლდათ. მისი სტილი ყოველთვის მხიბლავდა და ამის გამო „გალაქსის" შეფებს მისი კანდიდატურა ვურჩიე. ის შესანიშნავად საუბრობს ინგლისურად და ესპანურად. უკვე დაიწყო გერმანულის შესწავლაც,"* – აცხადებს კლინსმანი.



იურგენ კლინსმანი და მარტინ ვასკესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ნაკრები

# მალიორკაზე, ქალებთან ერთად

## ბუნდესგუნდის ახალი ფორმა და შემადგენლობა, რომელიც ავსტრიას დაუპირისპირდება


გერმანიის ნაკრების ახალი მეორე ფორმა

### კაიზერის გაფრთხილება: ლემანი სარისკოა!

იენს ლემანს „არსენალში" სათამაშო პრაქტიკა არა აქვს და ამის გამო გერმანიაში დისკუსია მიმდინარეობს: ღირს თუ არა უთამაშებელი კიპერის ევროპის ჩემპიონატზე წაყვანა? იოახიმ ლიოვს იენსის უთამაშებლობა კი აწუხებს, მაგრამ ჯერჯერობით ის ლემანს პირველ მეკარედ ტოვებს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მიუხედავად ყველაფრისა, ავსტრია/შვეიცარიაში მაინც 38 წლის მეკარეს ენდობა.

დისკუსიაში ფრანც ბეკენბაუერიც ჩაეთო. კაიზერი არ მალავს, რომ მისი აზრით, უთამაშებელი ლემანის ევროპის ჩემპიონატზე თამაში დიდ რისკთანაა დაკავშირებული. *„იენსმა ევროპის ჩემპიონატზე ერთი შეცდომა რომ დაუშვას, მაშინვე ყველა იტყვის, უთამაშებელია და ამის წამოყვანა როგორ შეიძლებოდაო. ეს არ არის კარგი პერსპექტივა და თანაც, დიდ რისკთანაა დაკავშირებული,"* – განაცხადა კაიზერმა უეფას კონგრესზე ზაგრებში.

სხვამხრივ ბეკენბაუერი გერმანიის ნაკრების პერსპექტივაში 100 პროცენტით დარწმუნებულია. მისი აზრით ბუნდესგუნდი ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია. ბუნდესლიგაში კაიზერ-ფრანცი დრამატულ ფინალს ელის – მისი აზრით, ჩემპიონობისთვის „ბაიერნი", „ვერდერი" და „ჰამბურგი" იბრძოლებენ.

*„ევროპის ჩემპიონატის სტარტამდე ათვლა დაიწყო. მე ვერ შეგპირდებით, რომ აუცილებლად ჩემპიონები გავხდებით, მაგრამ იმის დაპირება კი შემიძლია, რომ ისე ტურნირისთვის ჩემპიონურად მოვემზადებით,"* – ეს სიტყვები გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **იოხიმ ლიოვს** ეკუთვნის და ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია.

ბუნდესგუნდმა ფრანკფურტში ტრადიციული ვორკშოპი დაიწყო –ლიოვმა მზადების გეგმა გამოაქვეყნა. 19 მაისს ბუნდესნაკრები მალიორკაზე შეკრებას დაიწყებს და ბუნდესმწვრთნელის გადაწყვეტილებით, პირველი 4 დღის განმავლობაში ფეხბურთელებს იმის უფლება ექნებათ, რომ მეგობარი გოგონები და მეუღლეები თან იყოლიონ. ლიოვის თქმით, ეს იმისთვისაა აუცილებელი, რომ დამღლელი სეზონის შემდეგ მოთამაშეები კარგად განიტვირთონ და ევროპის ჩემპიონატის იშტაზე მოვიდნენ. ოთხი დღის შემდეგ კი ქალებმა გერმანიის ნაკრების ბანაკი უნდა დატოვონ.

რაც შეეხება ფინტესს: ლიოვმა ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების ყველა კანდიდატს ინდივიდუალური პროგრამა გადასცა. იოგი მაქსიმალურად გააკონტროლებს, თუ როგორ შეასრულებენ ფეხბურთელები მის პროგრამას. *„კვირაში ერთხელ ყველა მოთამაშეს შევეხმიანები და ყველაფერს დეტალურად გამოვკითხავ,"* - ამბობს ბუნდესმწვრთნელი და იქვე დასძენს, - *„თუკი რომელიმე მათგანს ზარმაცობას შევატყობ, სასტიკად დავსჯი!"*.

მოგეხსენებათ, ლიოვს ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრების 40 პოტენციური კანდიდატი ჰყავს შერჩეული. მისი თქმით, 23 კაციანი შემადგენლობა, რომელიც ავსტრია/შვეიცარიაში გერმანიის დროშიც ქვეშ ითამაშებს, ბუნდესლიგის ბოლო ტურის წინ გამოქვეყნდება. „ბილდის" ინფორმაციით, კანდიდატთა სიაში შალკელი **ჯერმეინ ჯონსი** და მიდლსბროელი **რობერტ ჰუთიც** არიან.

ამასობაში, გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ბუნდესგუნდის მეორე, ე.წ. გასვლითი მატჩების ფორმა წარადგინა. დიზაინი, რა თქმა უნდა, „ადიდასისაა" და ძალიან ჰგავს ფრანკფურტის „აინტრახტის" ოფიციალურ ფორმას! მაისური და ტრუსები წითელი ფერისაა. მაისურს შუაში ვერტიკალურად ჩამოსდევს შავი ზოლი (საყელოდან ბოლომდე), რომელზეც გერმანიის საფეხბურთო კავშირის ლოგოა განთავსებული. ლოგოს ქვეშ (წინა მხარეს) ფეხბურთელი ნომერი ოქროსფრად განთავსდება და „ადიდასის" სამი ზოლიც (სახლოებზე) ოქროს ფერია.

გერმანელებს მომავალ ოთხშაბათს ავსტრიას სტუმრობენ და შესაბამისად, ეს იყო შანსი, რომ ბუნდესგუნდს პირველად ეთამაშა ახალი ფორმით, მაგრამ საქმე იმაშია, ავსტრიელების პირველი ფორმაც წითელია, რის გამოც ბუნდესგუნდს ვენაში ტრადიციული, თეთრი ფორმით მოუწევს თამაში. 26 მარტს გერმანელები შვეიცარიას ესტუმრებიან და შვეიცარიის ნაკრების პირველი ფორმაც წითელია. ახლა გერმანიის საფეხბურთო კავშირის წარმომადგენლები შვეიცარიელ კოლეგებთან მოლაპარაკებებს აწარმოებენ, რომ ევროპის ჩემპიონატის მასპინძლები მეორე ფორმით თამაშზე დაითანხმონ.


ბუნდესმწვრთნელი იოხიმ ლიოვი

ვორკშოპის დასასრულს, გუშინ, იოახიმ ლიოვმა ის 20 კაციანი შემადგენლობა დაასახელა, რომელიც ავსტრიის ნაკრებს ამხანაგურად გაეჯიბრება. ბუნდესგუნდში ერთი ახალი სახეა: **კრისტოფ მეტცელდერის** ნაცვლად, რომელიც მადრიდის „რეალის" ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, ლიოვმა „შალკეს" მცველი **ჰაიკო ვესტერმანი** გამოიძახა, რომლისთვისაც ეს ქვეყნის პირველ გუნდში პირველი გამოძახებაა. თუმცა ალსანიშნავია, რომ მეტცელდერის არგამოძახება მისი უთამაშებლობით არაა გამოწვეული – მეტცეს ტრავმა აქვს. გამოძახებულთა შორის არიან „შალკეს" საყრდენი ნახევარმცველი **ჯერმეინ ჯონსი** და „ბაიერნის" გაწვალებული ფორვარდი **ლუკას პოდოლსკიც**. დაახლოებით ათთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ ბუნდესნაკრებში ბრუნდება კაპიტანი **მიხაელ ბალაკი**, რომელმაც ამ ხნის მანძილზე ორი ოპერაცია გადაიტანა. ლიოვმა ვერ უხმო ტრავმირებულებს: **ტორსტენ ფრინგსს, არნე ფრიდრიხს, მარსელ იანსენს, კლემენს ფრიტცს, კრისტიან პანდერს** და **სერდარ ტასკის**. აღსანიშნავია, რომ ლიოვმა უარი თქვა **ტიმ ბოროვსკისა** და **მაიკ ჰანკეს** გამოძახებაზე.

გერმანიის ნაკრების შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მეკარეები**: 1. იენს ლემანი (არსენალი), 12. ტიმო ჰილდებრანდი (ვალენსია).

**მცველები**: 35. გონსალო კასტრო (ლევერკუზენი), 16. ფილიპ ლამი (ბაიერნი), 24. მანუელ ფრიდრიხი (ლევერკუზენი), 17. პერ მერტეზაკერი (ვერდერი), 34. რობერტო ჰილბერტი (შტუტგარტი), 41. ჰაიკო ვესტერმანი (შალკე).

**ნახევარმცველები**: 13. მიხაელ ბალაკი (ჩელსი), 15. თომას ჰიტცლშპერგერი (შტუტგარტი), 19. ბერნდ შნაიდერი (ლევერკუზენი), 39. ჯერმეინ ჯონსი (შალკე), 38. სიმონ როლფესი (ლევერკუზენი), 7. ბასტიან შვაინშტაიგერი (ბაიერნი), 28. პიოტრ ტროხოვსკი (ჰამბურგი).

**თავდამსხმელები**: 32. მარიო გომესი (შტუტგარტი), 11. მიროსლავ კლოზე (ბაიერნი), ოლივერ ნოივილი (ბორუსია მ), 31. კევიკ კურანი (შალკე), 20. ლუკას პოდოლსკი (ბაიერნი).

**გოტფრიდ ლენცი**

ესპანეთის სამეფო თასი. მეოთხედფინალი. ოთხშაბათის განმეორებითი მატჩები

# კუმანმა შვებით ამოისუნთქა

## სათასო ნახევარფინალში მიქაელ ლაუდრუპმაც გააღწია...

**ატლეტიკო–ვალენსია 3:2 (0:1)**

**ატლეტიკო**: ფალკონი, ვალერა (69. პერნია), პერეა, ფაბიანო ელერი (55. რაულ გარსია), ანტონიო ლოპესი) ლუის გარსია (71. კუევასი), მაქსი როდრიგესი, კლებერი, რეიესი, ფორლანი, აგუერო.

**ვალენსია**: ჰილდებრანდი, კანეირა, (75. არისმენდი), ელგერა, ალბიოლი, მიგელი (46. მორეტი), ბანეგა (58. ედუ), მარჩენა, მადურო, ხოაკინი, ვილია, მატა.

**გოლები**: 1:0. მიგელი (10. საკ. კარში), 2:0. აგუერო (18), 2:1. კლებერი (28. საკ. კარში), 2:2. მატა (35), 3:2. ვალერა (60).

**მალიორკა–ხეტაფე 2:1 (0:1)**

**მალიორკა**: ლუქსი, ექტორი, ნუნიესი, რამისი, ნავარო, ვარელა (83. ტრეხო), პერეირა (14. ბასინასი), იბაგასა, ხონასი (80. ვალერო), არანგო, გუისა.

**ხეტაფე**: უსტარი, კორტესი, დიასი, მარიო (46. ტენა), ლიხტი (78. დელ მორალი), გრანერო, დე ლა რედი, კასკერო, გავილანი (61. პაბლო). **გოლები**: 1:0. იბაგასა (5. პენ), 2:0. არანგო (55), 2:1. გრანერო (81).

**გაძევება**: გრანერო (87).

**რონალდ კუმანმა** შვებით ამოისუნთქა. შესაძლოა, ჰოლანდიელ სპეციალისტს შვებამდე ძალიან ბევრი უკლია, თუმცა ფაქტია, ესპანეთის სამეფო თასის ნახევარფინალში გაღწევით მან და მისმა შეგირდებმა დიდად გაიხარეს. "ვალენსიამ" მოწინაალმდეგის მოედანზე გატანილი ორი გოლის წყალობით "ატლეტიკოს" გამარჯვებას ფასი დაუკარგა და მომდევნო ეტაპზე გავიდა. ხაზი უნდა გაესვას "როხიბლანკოს" სერიოზულ კრიზისს. მადრიდის "რეალთან" დედაქალაქურ დერბიში განცდილი მარცხის შემდეგ ამ გუნდს საშველი ალარ დაადგა. არადა, **ხავიერ აგირეს** კლუბს შესანიშნავი შანსი ჰქონდა იმისთვის, რომ 12-წლიანი პაუზის შემდეგ რაიმე ტიტული დაესაკუთრებინა. 1995\96 წლების ლეგენდარული სეზონის შემდეგ მადრიდელებს არც ერთ ტურნირზე არ გაუმარჯვიათ.

ხავიერ აგირემ **რაულ გარსიას** მიკრო ტრავმასთან თამაში არ ისურვა და რისკის თავიდან ასაცილებლად **მაქსის კლებერი** შეუწყვილა. რაც შეეხება კუმანს, მან ფაქტობრივად, სამი საყრდენი ნახევარმცველი დააყენა. **ბანეგა, მადურო** და **მარჩენა** საკმაოდ კარგად გამოიყურებოდნენ. მათი ძალისხმევით მასპინძლებს ბურთის მოპოვება უჭირდათ, მაგრამ თავგანწირული მცდელობის მიუხედავად, დაწყევლილი "ვალენსია" მე-18 წუთზე მაინც 0:2 აგებდა. **ჰილდებრანდის** საჯარიმოში შექმნილი ორი სახიფათო მომენტი ორ გოლად იქცა. ჯერ **დიეგო ფორლანის** მიერ საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი **მიგელმა** საკუთარ კარში შეაგდო. შემდეგ კი იმავე ფორლანმა **სერხიო აგუეროს** შესანიშნავი პასი მიაწოდა და ახალგაზრდა არგენტინელმაც მარცხენა ფეხით აუღებელი დაარტყა. თითქოს ამით "ვალენსია" გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ "ღამურებს" გაუმართლათ, რომ მათი მასპინძლები არანაკლებ რთულ სიტუაციაში იმყოფებიან. "ატლეტიკომ" თამაშის სააჯეები მოწინააღმდეგეს სრულიად უმტკივნეულოდ გადასცა. შედეგად **ფალკონმა** ორი გოლი მიიღო. გულშემატკივრებმა ჯერ **კლებერის** ავტოგოლი იხილეს, შემდეგ კი **მატას** ოსტატური დარტყმა. სხვათა შორის, "ვალენსიის" მაისურით მან პირველი ბურთი შეაგდო. მასპინძლებმა მეორე ტაიმში კიდევ ერთხელ იყოჩაღეს, მაგრამ **ვალერას** გოლმა "როხიბლანკო" ესპანეთის სამეფო თასის ნახევარფინალში ვერ გაიყვანა. ორი მატჩის ჯამში "ღამურები" უფრო ძლიერები აღმოჩნდნენ...

"ვალენსიის" მსგავსად ნახევარფინალში "ხეტაფემაც" მოწინააღმდეგის მოედანზე გატანილი გოლის წყალობით გააღწია. ობიექტურობა მოითხოვს აღვნიშნოს, რომ ამ შეხვედრაში ბალეარელები გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ, თუმცა ამით მათ არაფერი ეშველათ. მადრიდელებმა ზედიზედ მეორედ შეძლეს ნახევარფინალში გასვლა. მოგეხსენებათ, გასულ სეზონში ისინი ფინალამდე მივიდნენ, მაგრამ გადამწყვეტი მატჩი ვერ მოიგეს. **მიქაელ ლაუდრუპი** წარმატებით უზომოდ გახარებული დარჩა. როგორც ჩანს, დანიელი სპეციალისტი ესპანეთის სამეფო თასს სერიოზულად უმიზნებს. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, ძალიან მინდა, ნახევარფინალში "ბარსელონა" არ შეგვხვდეს, ამიტომ, ხუთშაბათს "ვილიარეალს" ვუქომაგებო. ლაუდრუპმა იქვე დასძინა, რომ თასის მოპოვება მთელი გუნდისა და ყოველი გულშემატკივრის ოცნებაა.

შეხვედრის პირველი ტაიმის მიწურულს ძალიან უსიამოვნო ფაქტი მოხდა. "ხეტაფეს" მცველმა **მარიომ** მალიორკელ **ვარელასთან** შეჯახების შემდეგ გონება დაკარგა. ექიმებმა ის საავადმყოფოში გააქანეს და საგულდაგულო შემოწმება ჩაუტარეს. გამოკვლევის ზუსტი პასუხი უცნობია, თუმცა ის კი ითქვა, რომ მარიოს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ასევე უსიამოვნო სანახავი გახლდათ **გრანეროს** მიერ ჩადენილი საქციელი. "ხეტაფისთვის" სასიცოცხლო გოლის ავტორმა **ფერნანდო ნავაროს** გამეტებით უთავაზა. **იტურალდე გონსალესმა** ყველაფერი დროულად შენიშნა და გრანეროს წითელი ბარათი აუფრიალა. ფეხბურთელი შეეცადა, თავი გაემართლებინა, თუმცა გამოცდილ არბიტრს გული ვერ მოულბო. არ გამორიცხავენ, გრანეროს ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია არ აკმაროს და ორ შეხვედრაში აუკრძალოს მონაწილეობა.


ატლეტიკო-ვალენსია. კუმანი ბანეგას მითითებას აძლევს

**ილია ნიკოლაიშვილი**

ინტერვიუ ხავიერ ირურეტასთან

# სარაგოსას სიბრძნე აკლია

## ბასკი სპეციალისტი გუნდის დაუბალანსებლობაზე წუხს

ზუსტად ცხრა დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ხავიერ ირურეტა "სარაგოსას" მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე დაინიშნა. აღსანიშნავია, რომ ბასკი სპეციალისტის წინამორბედი ანდერ გარიტანო არაგონული კლუბის თავკაცის პოსტიდან სწორედ ცხრა დღიანი მუშაობის შემდეგ გადადგა. "დიარიო ასის" კორესპონდენტს მანუელ კუევასს დააინტერესა, ცხრა დღიანი ვადა რაიმე საკრალურ დატვირთვას ხომ არ ატარებს. გაირკვა, რომ გარიტანოსგან განსხვავებით ირურეტა წასვლას არ აპირებს. პირიქით, "სარაგოსას" მწვრთნელი გულშემატკივრებს პირობას აძლევს, რომ გულმოდგინედ იმუშავებს და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა გუნდი კრიზისიდან გამოიყვანოს და უწინდებური იერსახე დაუბრუნოს.

**- ცხრა დღეა, რაც არაგონულ კლუბს ხელმძღვანელობთ. თქვენს წინაშე ის "სარაგოსაა", როგორსაც ელოდით?**

- გლობალურად თუ ვიმსჯელებთ, იმედი არ გამცრუებია. დიახ, ეს სწორედ ის გუნდია, როგორიც წარმომედგინა. "სარაგოსა" უდიდესი ტრადიციების მქონე კლუბია. კლუბი, რომელსაც ფანტასტიკური გულშემატკივრები ჰყავს. სამწუხაროდ, მიმდინარე სეზონში ფეხბურთელები ტრავმას ხშირად იღებენ. ბუნებრივია, ამ პირობებში გუნდის პოტენციალი მცირდება. ახლა შედარებით უკეთესი სიტუაციაა, მაგრამ სეზონის განმავლობაში ძალიან ბევრი მოთამაშე იღებდა ტრავმას. მადლობა ღმერთს, ოპტიმიზმით აღსავსე ბიჭები დამხვდნენ. ისინი იმედიანად არიან განწყობილები და პირობას მაძლევენ, რომ ყოველთვის ბეჯითად იშრომებენ.

**- ოპტიმიზმი კარგია, მაგრამ აშკარაა, რომ "სარაგოსას" სერიოზული პრობლემები აქვს. გვაინტერესებს, პირველადი დიაგნოზი თუ დაუსვით თქვენს გუნდს?**

- საქმე არც ისე ჩახლართულია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. მოდით, კონკრეტულად ვისაუბროთ. აიმარის, მათუსალემის, ხენერელოსა და კუარტესროს ტრავმების გამო "სარაგოსამ" ჩვეული სახე დაკარგა. აუცილებლად უნდა ითქვას დალესანდროს მდგომარეობის შესახებაც. საკადრო პრობლემები ამა თუ იმ მიზეზის გამო გამოკლებული ფეხბურთელების სხვა მოთამაშეების ჩანაცვლებით უნდა მოგვარდეს... თუმცა ცხოვრება გვაჩვენებს, რომ ამ თეორიას ხშირად რეალიზება არ უწერია. იმისათვის, რომ "სარაგოსამ" ძლიერება დაიბრუნოს, ამ ფეხბურთელებმა შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა გამოამჟღავნონ. თავად განსაჯეთ, რა დღეში ჩავარდება თუნდაც მადრიდის "რეალი" ერთბაშად ხუთი წამყვანი მოთამაშე რომ გამოაკლდეს. ეს ფაქტობრივად, ნახევარი გუნდია. იმედია, პრობლემები მალე მოგვარდება. რა თქმა უნდა, მხოლოდ ბედისა და ღვთის წყალობის იმედად არ ვიქნებით. ძალიან ბევრს ვიმუშავებთ, რათა "სარაგოსამ" დაკარგული პოზიციები რაც შეიძლება მალე დაიბრუნოს.

**- თანამდებობაზე დანიშვნისთანავე განაცხადეთ, რომ "სარაგოსას" რგოლების კარგად დაბალანსება სჭირდება. გუნდი ბევრ გოლს იტანს, მაგრამ თავადაც ასევე ბევრს უშვებს. როგორ ფიქრობთ, ამ მიმართულებით ყველაზე რთული სამუშაო გელით?**

- გეთანხმებით, "სარაგოსას" შირად გააქვს. გოლების გატანაზე ორი ფორვარდი და სერხიო გარსია ზრუნავენ. მათ ეს საქმე შესანიშნავად გამოსდით. დიეგო მილიტო პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია, მაგრამ სამწუხაროდ, ხშირად "სარაგოსა" უფრო მეტს უშვებს, ვიდრე იტანს. რა თქმა უნდა, ბევრი მუშაობაა საჭირო, რათა მოვლენები საპირისპირო სცენარით წარიმართოს. მომიწევს ვაღიარო, რომ გუნდი არათანაბრადაა დაბალანსებული. შეტევა გაცილებით უფრო ძლიერია. როგორც მწვრთნელი, პირობას ვდებ, რომ პრობლემის აღმოფხვრას მთელ გამოცდილებას მოვახმარ, თუმცა გავითვალისწინოთ, რომ ასეთი სერიოზული ხარვეზის გამოსწორება ერთ და ორ დღეში ვერ მოხერხდება. ამისათვის საკმაოდ დიდი დროა საჭირო. "სარაგოსას" საფეხბურთო მსოფლმხედველობისა და გემოვნების გათვალისწინებით რამდენიმე მეთოდს გამოვიყენებ. მჯერა, საუკეთესო ფორმულას მივაგნებთ და გუნდი თამაშის ხარისხს მნიშვნელოვნად გამოასწორებს.

**- როგორც ვხვდები, ყველაზე დიდი სამუშაო დაცვაში გექნებათ**

- არა მხოლოდ დაცვაში. მცველებსა და თავდამსხმელებს ყურადღებას არ მოვაკლებ. ერთი მეორის გარეშე არ არსებობს. თუ "სარაგოსას" ვარჯიშს დასწრებიხართ, აღმოაჩენდით, რომ ყველა რგოლს უდიდეს ყურადღებას ვაქცევ. მომავალშიც ასევე გავაგრძელებ. ნახევარდაცვა გუნდის ხერხემალია და ბუნებრივია, ამ მიმართულებითაც ინტენსიურად ვმუშაობ.

**- თანამედროვე ფეხბურთში საინტერესო ფილოსოფიაა გამეფებული: თუ ერთ გოლს გაიტან, არ უნდა წააგო. ხოლო თუ ორჯერ შეაგდებ, აუცილებლად უნდა მოიგო. "სარაგოსას" ხშირად ორზე მეტი გოლიც გაუტანია, მაგრამ...**

- ამ უსიამოვნო ფაქტს მეც შევეჩეხე. გასულ კვირას თამაში ფაქტობრივად, მოგებული გვქონდა, მაგრამ ბოლო წუთზე გაგვიტანეს და ორი ქულა დავკარგეთ. ჩემი აზრით, "სარაგოსას" სიბრძნე აკლია. დიახ, თუ სიბრძნე არ მოგვემატება, ყოველთვის ასე მოხდება. ბევრს ვიწვალებთ, შეტევაში ლამაზად ვითამაშებთ, მაგრამ ბოლო წუთებზე ისევ გაგვიტანენ და შრომა წყალში ჩაგვეყრება. თანამედროვე ფეხბურთი ახსენეთ და ალბათ, დამეთანხმები, რომ დღეს გოლის გატანა ძალიან რთულია. მართლაც, თუ ორჯერ დალაშქრავ მოწინააღმდეგის კარს, ისიც გასვლით შეხვედრაში გამარჯვება ხელიდან აღარ უნდა გაუშვა. "სარაგოსამ" შეხვედრის მსვლელობისას სტრატეგიის შეცვლა და განსხვავებული, უფრო პრაგმატული ტაქტიკით თამაში უნდა ისწავლოს. "რასინგთან" ბოლო წუთამდე ვიგებდით და იმის ნაცვლად, რომ საფრთხის თავიდან აცილების მიზნით მეტოქისთვის სივრცე შეგვეზღუდა, ისევ თამამად ვუტევდით. შედეგმაც არ დააყოვნა. სანტანდერელებმა მწვავე კონტრიერიში წამოიწყეს და ის გოლით დაასრულეს. რა თქმა უნდა, წარმატების უტყუარი ფორმულა არ არსებობს, მაგრამ დაუშვებელია, ამ მოტივით საჭირო დროს არასწორად ვითამაშოთ. ღრმად მწამს, "რასინგთან" შუახაზსა და დაცვაში მეტი ყურადღება რომ გამოგვეჩინა, შინ სამი ქულით დავბრუნდებოდით.

**- ხომ არ გეჩვენებათ, რომ "სარაგოსა" შინ ერთი გუნდია, სტუმრად კი მეორე?**

- ძნელი სათქმელია. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ფეხბურთელების ერთი ნაწილი "ლა რომარედაზე" უფრო კომფორტულად გრძნობს თავს. მათ მოსწონთ საკუთარი გულშემატკივრების წინაშე თამაში... მაგრამ ისეთებიც არსებობენ, რომელთათვისაც ინჩადა გარკვეულ ფსიქოლოგიურ წნეხთან ასოცირდება. ამიტომ, ისინი სტუმრად უფრო ლაღად გამოიყურებიან. ჩემ მიერ განვლილ გზას თუ გადავხედავთ, დამეთანხმებით, ყოველთვის ვცდილობდი, საშინაო და საგარეო შეხვედრები მეტისმეტად კონტრასტული არ ყოფილიყვნენ. შეუძლებელია, მხოლოდ შინ, ან პირიქით, გასვლაზე უკეთ თამაშით რაიმე წარმატებას მიაღწიო. წარმატების ამოსავალი წერტილი სტაბილურობაა.

**- ყველაზე მეტად რისი გაკეთება გეჩქარებათ?**

- მე ყველაფერი მეჩქარება (იცინის). ჩემი შეფასებით, "სარაგოსა" ძალიან ნელა თამაშობს. აუცილებელია, ფეხბურთელებმა ფიზიკური კონდიცია გაიუმჯობესონ და ბევრად უფრო მაღალ ტემპში ისპარეზონ.

**- მართალია, მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე რამდენიმე დღის დანიშნული ხართ, მაგრამ სკანდალური გადაწყვეტილების მიღება უკვე მოასწარით. "რასინგთან" მატჩში სერხიო გარსია ძირითად შემადგენლობაში არ დააყენეთ. არადა, ის გულშემატკივართა ერთ-ერთი კუმირია!**

- შესაძლოა, მაგრამ გუშინ "არსენალის" მატჩს ვუყურებდი და აღმოვაჩინე, რომ ლონდონელები ერთი ფორვარდით თამაშობდნენ. მესმის, რომ გულშემატკივრებს გაუკვირდათ სერხიო გარსიას სათადარიგოთა სკამზე დატოვება, მაგრამ ყველამ უნდა გაიგოს, რომ ამ გზით შემადგენლობის დაბალანსებას ვცდილობდი. სამწუხაროდ, ძირითად შემადგენლობაში ყოველთვის ვერ მოხვდები. გარდა ამისა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ "სარაგოსას" ძალიან ბევრი თავდამსხმელი ჰყავს. მსოფლიოში არ არსებობს გუნდი, რომელიც ძირითად შემადგენლობაში ექვს-შვიდ ფორვარდს აყენებს.

**- კი, მაგრამ სერხიო გარსიამ ბოლო 12 შეხვედრა განაპირა ნახევარმცველის პოზიციაზე ჩაატარა...**

- გეთანხმებით, მაგრამ სერხიო გარსია სულაც არ არის განაპირა ნახევარმცველი. ეს პოზიცია მას იძულების გამო შეთავაზეს. ამ ბიჭის მონდომება თავდასხმაა. სანტანდერში მძიმე შეხვედრა გველოდა და არ მსურდა, დაცვაში პრობლემები შეგვქმნოდა.

**- მომავალ უქმეებზე თქვენს მშობლიურ "ბილბაოსთან" მოგიწევთ დაპირისპირება. განგებამ ისე ინება, რომ "ლა რომარედაზე" პირველ შეხვედრას სწორედ თქვენი "ბილბაოს" წინააღმდეგ ჩაატარებთ...**

- მე ბილბაოელი ვარ. ფეხბურთელობისას "ბილბაოს" ღირსებას ვიცავდი. "სან მამესზე" მთავარი მწვრთნელის რანგშიც ვმუშაობდი. არ დავმალავ, ამ გუნდთან უდიდესი სიყვარული და სითბო მაკავშირებს, მაგრამ ახლა მე "სარაგოსას" მწვრთნელი გახლავართ და როგორც ნამდვილ პროფესიონალს მხოლოდ მისი ბედ-იღბალი მაღელვებს. მოდით, "ბილბაოზე" ხოაკინ კაპაროსმა იზრუნოს, მე კი ჩემს გუნდს უნდა მივხედო.

**- ბასკებისგან როგორ თამაშს ელით?**

- ბევრი რამ სათასო შეხვედრის შედეგზე იქნება დამოკიდებული. თუ ნახევარფინალში გავლენ, კარგ განწყობას შეიქმნიან და ლაღად ითამაშებენ. იმ შემთხვევაში, თუ "ბილბაო" გათამაშებას გამოეთიშება, სავარაუდოდ, სასოწარკვეთაში ჩავარდებიან. ეს კი ჩვენს შანსებს გაზრდის.

**- სავარაუდოა, რომ ნახევარფინალში "რასინგი" გაალწევს. სანტანდერელებმა პირველი შეხვედრა 2:0 მოიგეს. "ბილბაოს" კი პრიმერა დივიზიონურ კლუბებთან ორბურთიანი ჰანდიკაპი მისი არსებობის განმავლობაში არასოდეს ამოუქაჩავს...**

- სიმართლე გითხრათ, სანტანდერელებისა და ბილბაოელების სათასო შეხვედრა ჩვენ არანაირად არ გვეხება. გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს ის მატჩი რა შედეგით დასრულდება. "სარაგოსა" ნებისმიერი სცენარისთვის მზად უნდა იყოს. უბრალოდ, ჩვენთვის შემამსუბუქებელ გარემოებაზე მოგახსენებდით. ერთია, როცა წარმატებით ფრთაშესხმულ მოწინააღმდეგეს ებრძვი და მეორე, როცა შენს წინაშე ტკივილით შეწუხებული კლუბია.



ხავიერ ირურეტა



მესუთ იოზილი მუსიკოსი გახდა

ტრანსფერი

# იოზილი ვერდერმა იშვილა

## ბრემენელებს ეს სიამოვნება 5 მილიონი ევრო დაუჯდათ...

„შალკეს" 19 წლის ნახევარმცველი **მესუთ იოზილი**, რომელიც გელზენკირხენული კლუბის ხელმძღვანელებმა გუნდიდან მოკვეთეს, კარიერას ბრემენის „ვერდერში" გააგრძელებს. გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ბრემენულ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ბილდის" ინფორმაციით, ბრემენელებმა **ლევან კობიაშვილის** გუნდს წარმოშობით თურქი ფეხბურთელის შეძენა 5 მილიონი ევრო დაუჯდათ.

მას მერე, რაც „შალკეში" ტრანსფერზე დააყენეს, იოზილს რამდენიმე კლუბი ეპატიჟებოდა. მისთვის გაჩაღებულ ბრძოლას პირველად „შტუტგარტი" გამოეთიშა. შვაბთა მენეჯერის, **ჰორსტ ჰელდტის** თქმით, „შტუტგარტმა" „შალკესთან" შეთანხმებას ვერ მიაღწია. გუშინწინ იოზილმა „ჰანოვერსაც" უარი შეუთვალა. „წითლების" ბოსი **კრისტიან ჰოხშტეტერი**: *„მან დაინტერესებისთვის მადლობა გადაგვიხადა და გვითხრა, რომ „ჰანოვერში" გადმოსვლა არ სურს."* გუშინწინვე იოზილი „ვერდერის" ხელმძღვანელებს შეხვდა და მხარეებმა კონსენსუსს მიაღწიეს. ამრიგად, ბრემენელებმა გერმანიის ერთ-ერთი უნიჭიერესი ფეხბურთელი გადაიბირეს. კმაყოფილია „შალკეც" – გელზენკირხენელთათვის გადაგდებულ ფეხბურთელში 5 მილიონის აღება ურიგო გარიგება არ უნდა იყოს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ცნობილი ამბების გამო, მესუთს გერმანიაში სახელი აქვს გაფუჭებული. მან „შალკეს" რიგებში ბუნდესლიგის ეგიდით 30 თამაში ჩაატარა, გოლი კი არ გაუტანია...

### როი ქეროლი დერბიში ჩაირიცხა

"მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი მეკარე **როი ქეროლი** პრემიერლიგის მაჩანჩალა "დერბი ქაუნთიში" ჩაირიცხა. ჩრდილო-ირლანდიელთან კონტრაქტი ორი კვირის წინ უნდა გაფორმებულიყო, მაგრამ "რეინჯერსი" ქეროლის გაყიდვას არ ჩქარობდა. გლაზგოელები მის შემცვლელს ეძებდნენ. მათ უმეკარეოდ დარჩენა არ სურდათ. ამიტომ როგორც კი იფსვიჩელ **ნილ ალექსანდერს** გაუფორმეს ხელშეკრულება, "დერბისაც" მაშინვე მოურიგდნენ. ალექსანდერი შოტლანდიის ნაკრების მეკარეა გახლავთ.

### კასანო: სამპდორია თუ ინტერი?

"სამპდორია" **ანტონიო კასანოსთან** ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. გენუელები მზად არიან, მადრიდის "რეალს" 3.75 მილიონი გირვანქა გადაუხადონ. მათ იტალიელი თავდამსხმელის სატრანსფერო უფლებების გამოსყიდვა სურთ, მაგრამ "სამპს" სერიოზული კონკურენტი გამოჩნდა. იტალიური სააგენტოების ცნობით, კასანოს ხელში ჩაგდება მილანის "ინტერსაც" სურს. მკითხველს შევახსენებთ, რომ ანტონიო მადრიდელთა საკუთრებაა და ერთწლიანი იჯარით "სამპდორიაში" ასპარეზობს. ის საკმაოდ კარგ სეზონს ატარებს. იტალიის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა **მარჩელო ლიპიმ** "აძურის" დღევანდელ ხელმძღვანელობას კასანოს ევროპის ჩემპიონატზე წაყვანა ურჩია.

ფედერაციის თასი

# ბუდაპეშტში, მსოფლიო ჯგუფის საგზურისთვის

უნგრეთის დედაქალაქიდან კლავ უსიამოვნო სიახლენი მოდის, საქართველოს ნაკრებმა ფედერაციის თასის ევროპა-აფრიკის I ზონის მეორე მატჩიც მშრალი ანგარიშით, 0:3 წააგო. ახლა საქართველოს ნაკრებმა მასსავით აუტსაიდერ სლოვენიის ნაკრებს უნდა მოუგოს თუკი პირველ ზონაში ადგილის შენარჩუნება სურს, წინააღმდეგ შემთხვევაში ფლეი-დაუნში.თამაში მოუწევს. აქ ნაგება კი ქვედა დივიზიონში დაბრუნებას ნიშნავს.

ბუდაპეშტში საქართველოს ნაკრები ფაქტობრივად მესამე შემადგენლობით ჩავიდა (რეიტინგით საუკეთესო ექვსი ჩოგბურთელი აკლია) და, ბუნებრივია, უძლიერესი შემადგენლობით დაკომპლექტებულ შვედეთის ნაკრებთან თავიდანვე ნაკლები შანსი ჰქონდა. ნომერ მეორე კორტზე ჯერ 16 წლის **ეკა გორგოძე** და სკანდინაველთა მეორე ჩოგანი **იოჰანა ლარსონი** (283) გავიდნენ. პირველი სეტი სენსაციურად დარულდა გორგოძემ რეიტინგში 500-ზე მეტი ადგილით წინ მდგომ და სამი წლით უფროს ლარსონს 6:4 მოუგო. სამწუხაროდ, მეტის ძალა ჩვენებურს არ შერჩა - 6:4, 1:6, 1:6.

შვედეთი 1:0 დაწინაურდა და კორტზე ლიდერები გავიდნენ, **სოფია არვიდსონი** მსოფლიოს 69-ე ჩოგანია, **ოქსანა კალაშნიკოვა** კი - 643-ე. ასაკში სხვაობაც მნიშვნელოვანია, შვიდი წელიწადი. ოქსანამ იბრძოლა და თანაბარ მატჩში ორ სეტში დათმო - 4:6, 5:7. ამით მატჩის ბედი გადაწყდა. წყვილთა თანრიგში **თათია მიქაძემ** და **სოფიო ქვაცაბაიამ** იოლად დათმეს არვიდსონის და ლარსონის წყვილთან - 0:6, 4:6.

ჯგუფს მეორე მატჩში ბელარუსის ნაკრებმა 3:0 გაანადგურა სლოვენია. **დარია კუსტოვამ მასა ზეჩ პეშკირიჩი** დაამარცხა - 6:3, 6:3. ლიდერთა მატჩში **ოლგა გოვორცოვამ** სამ სეტში მოუგო **ანდრეა კლეპაჩს** - 2:6, 6:1, 6:3. წყვილთა თანრიგში **იმა ბოჰუშის** და **ტატიანა პუჩეკის** დუეტმა **ჰერცოგისა** და **ზეჩ პეშკირიჩისა** დაამარცხა - 6:1, 6:3. მოკლედ, დღეს ამ ჯგუფში ორი მნიშვნელოვანი მატჩია, დაუმარცხებლები ბელარუსი და შვედეთი ფლეი-ოფის საგზურის მფლობელს გაარკვევენ, გაუმარჯვებლები, საქართველო და სლოვენია, ფლეი-დაუნში მოთამაშე უიღბლო ნაკრებს გამოარკვევენ.



ოქსანა კალაშნიკოვა

D ჯგუფში პოლონეთის ნაკრებმა სერბეთის გუნდთანაც წააგო და ფლეი-დაუნში თამაში „გაინაღდა". არადა დები **რადვანსკები** ლამის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავები არიან ბუდაპეშტში შეკრებილთაგან. ბუნებრივია, აქ სერბებს არ ვგულისხმობთ - **ელენა იანკოვიჩმა** და **ანა ივანოვიჩმა** კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოები არიან. დღეს სერბეთის და რუმინეთის ნაკრებები გადაწყვეტენ ჯგუფში პირველ ადგილზე გამსვლელი გუნდის ვინაობას.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეკა გორგოძე

**ფედერაციის თასი, ევროპა-აფრიკის I ზონა**
30 იანვარი-2 თებერვალი, ბუდაპეშტი (უნგრეთი)

II ტური. C ჯგუფი

**საქართველო-შვედეთი 0:3**
ეკა გორგოძე - იოჰანა ლარსონი 6:4, 1:6, 1:6
ოქსანა კალაშნიკოვა-სოფია არვიდსონი 4:6, 5:7
თათია მიქაძე, სოფიო ქვაცაბაია - იოჰანა ლარსონი, სოფია არვიდსონი 0:6, 4:6.

**ბელარუსი-სლოვენია 3:0**
დარია კუსტოვა - მასა ზეჩ პეშკირიჩი 6:3, 6:3
ოლგა გოვორცოვა - ანდრეა კლეპაჩი 2:6, 6:1, 6:3.
იმა ბოჰუში, ტატიანა პუჩეკი - პოლონა ჰერცოგი, მასა ზეჩ პეშკირიჩი 6:1, 6:3

D ჯგუფი

**სერბეთი-პოლონეთი 2:1**
ანა ივანოვიჩი - ურსულა რადვანსკა 6:3, 6:1
ელენა იანკოვიჩი - აგნიეშკა რადვანსკა 6:4, 6:7, 7:5
ანა იოვანოვიჩი, ტეოდორა მირჩიჩი - ალიცია როსოლსკა, კლაუდია იანსი 3:6, 2:6

A ჯგუფი

**ჰოლანდია-პორტუგალია 3:0**
რენე რეინჰარდტი - ანა ნოგუეირა 6:0, 6:3
ალექსანდრა რუსი - ნეუსა სილვა 7:5, 6:4
ტისენი, ჰონგი - ნოგუეირა, სილვა 6:2, 6:4

**ლუქსემბურგი-ბულგარეთი 1:1**
მენდი მინელა - დია ევტიმოვა 6:3, 6:7, 6:3
ანე კრემერი - ცვეტანა პირონკოვა 6:4, 1:6, 3:6
მინელა, შული - ევტიმოვა, პირონკოვა (გვიან დასრულდა)

B ჯგუფი

**უნგრეთი-დიდი ბრიტანეთი 2:1**
გრეტა არნი - ანე კეტავონგი 6:7, 5:7
აგნეშ სავაი - კეტი ო'ბრაიენი 6:1, 6:2
სავაი, არნი - ბალტაჩა, საუზი 6:2, 6:2

**შვეიცარია - დანია 3:0**
ემანუელა გალიარდი - ჰანე იენსენი 7:5, 6:2
პატი შნაიდერი - კაროლინ ვოზნიაცკი 6:1, 7:6
გალიარდი, შნაიდერი - ვოზნიაცკი, დირბერგი 6:1, 1:6, 6:4

ჭადრაკი

# გიბრალტარზე არახამია ყოჩაღობს



ქეთევან არახამია-გრანტი

ერთი დღეც და დასრულდება დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი, რომელიც გიბრალტარში ტარდება. საერთოდ, ესპანურ საჭადრაკო ცხოვრებასწუნი არ დაედება და კვირა არ გავა, ღირებულ ტურნირთა გამართვის შესახებ არ გახდეს ცნობილი, მაგრამ გიბრალტარის საჭადრაკო ფესტივალი მათ შორისაც გამორჩეულია. უპირველესად მასობრიობით იპყრობს ყურადღებას - მთავარ ტურნირში, სადაც 204 მონაწილეა, კიდევ ოთხ ასაკობრივ ჯგუფში იმართება შეჯიბრი და მონაწილეთა რაოდენობა ათასს გვარიანად სცილდება...

მთავარ ტურნირში, ტრადიციულად ქართველი მოჭადრაკეებიც მონაწილეობენ. წელს მხოლოდ **ქეთევან არახამია-გრანტმა** და **ნანა ძაგნიძემ** ისურვეს თამაში.

ფორმატი შვეიცარულია - 10 ტური, მოსაფიქრებლად საათნახევარი, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. შეჯიბრში მართლაც სოლიდურმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. უპირველესი ფავორიტები ჩინელი დიდოსტატები არიან: პირველი ნომერია **იუ ვანკი** (2698); მეორე – **ბუ სიანკჭი** (2691) და მესამე - **ნი ჰუა** (2680). აქვეა ამერიკელთა ერთ-ერთი იმედი, იაპონური წარმოშობის **ჰიკარუ ნაკამურა** (2670); მეხუთე ნომერიც ჩინელი, **ჰაო ვანკია** (2665).

ცნობილ სახეთაგან სხვათა ჩამოთვლაც შეიძლება: 2003 წლის „აეროფლოტ-ოუფენის" და დორტმუნდის სუპერტურნირის გამარჯვებული, მოლდოველი **ვიქტორ ბოლოგანი** (2663); ბულგარეთის ნომერ მეორე მოჭადრაკე **კირილ გიორგიევი** (2662); ძლიერი უკრაინელი დიდოსტატი **ალექსანდრე არეშჩენკო** (2645); უბერებელი რუსი **ალექსანდრ ბელიავსკი** (2638); უკრაინელი ამბიციური ახალგაზრდა **ზახარ ეფიმენკო** (2638); ცნობილი პოლონელი ოსტატი **ბარტოშ სოცკო** (2635). გათურქებული რუსი **მიხეილ გურევიჩი** (2607) და სხვა მრავალი.

შთამბეჭდავია ქალთა შემადგენლობაც, რომლებიც კაცებთან ერთად თამაშობენ, მაგრამ ქალთა შორის საუკეთესო შედეგისთვის სპეციალურ პრიზსაც მიიღებენ. ყველაზე მაღალი რეიტინგი ლამაზმანებში ჩინური წარმოშობის, მაგრამ დღეს ყატარის სახელით მოასპარეზე **ჭუ ჩენს** აქვს - 2548. ჭუჩენი 2001 წლის მსოფლიო ჩემპიონია. მეორე რეიტინგი აქვს შვედ **პია კრამლინგს**, რომელიც 2003 წლის ევროპის ჩემპიონია (2524). მესამეა ჩინელი **ჭაო სიუ** (2517). აქვე არიან პოლონელი **მონიკა სოცკო** - 2479; ლიტველი **ვიქტორია ჩმილიტე** (2464); მსოფლიოს 2004 წლის ჩემპიონიდა ქალთა ჭადრაკის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურა, ბულგარელი **ანტუანეტა სტეფანოვა** (2464); პერსპექტიული და ძალიან სიმპათიური უკრაინელი, სლოვენიის სახელით მოასპარეზე **ანა მუზიჩუკი** (2460). ამ ჩამონათვალში შემდეგი ადგილი უჭირავს **ქეთევან არახამია-გრანტს** (2457); შემდეგ ინდოელი **ჰარიკა დრონოვალია** (2455), მხოლოდ ამის შემდეგაა **ნანა ძაგნიძე** (2429).

სასტარტო ცხრილი ერთია და სულ სხვაა დღევანდელი მდგომარეობა. ამ მხრივ ყველაზე უკეთ ქეთევან არახამიაა - ქალებში ხომ თითქმის ყველას ჯობს, კაცთა შორისაც საკმაოდ ღირსეული ადგილი უკავია - მეთექვსმეტეა; მას კოეფიციენტით მხოლოდ ვიქტორია ჩმილიტე უსწრებს - ლიტველს ქართველივით 6.5 ქულა აქვს და 9 ტურის შემდეგ და მეთხუთმეტე ადგილზეა. ნანა ძაგნიძე ამ მხრივ ჩამორჩება: სტარტზე ნორმალურად იასპარეზა, მაგრამ შემდეგ ზედიზედ რამდენიმე პარტია წააგო და დღეისთვის 9 ტურის შემდეგ 4 ქულა აქვს. ძაგნიძეს აქტივში მხოლოდ პირველ ტურში ფავორიტ **ბუ სიანკჭისთან** შავებით მიღწეულ ყაიმს თუ ჩავუთვლით, თორემ შემდეგ ძლიერი მეტოქეები არ შეხვედრია.

ტურნირს ჩინელი ბუ სიანკჭი 7.5 ქულით ლიდერობს. მეორე ადგილზე უკრაინელი ზახარ ეფიმენკოა, ასევე 7.5 ქულით. მესამეა ჩინელი ნი ჰუა - 7 ქულით.

კაცთა საპრიზოში არახამია ვერ ჩაერევა, მაგრამ ქალთა შორის პირველობა კი შეუძლია და იმედია ბოლო დაბრკოლებასაც გადალახავს, თუმცა ამის გაკეთება მეტად გაუჭირდება - შავებით უკრაინელ დიდოსტატს - **ალექსანდრ არეშჩენკოს** ხვდება. ჩმილიტესაც შავებით უწევს თამაში - მისი მეტოქე გურევიჩია და ალბათ თურქი დიდოსტატი მოსაგებად იბრძოლებს, რაც ქართველს შანსებს უმატებს...

**ზვიად შათირიშვილი**

# ოცნლამდელები ჩილესკენ

საქართველოს ოცნლამდელთა ნაკრები 15-27 აპრილს ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოში მსოფლიო თასის მეორე ჯგუფში იასპარეზებს. შეჯიბრში რვა გუნდი მიიღებს მონაწილეობას, რომლებიც ორ ჯგუფად იქნებიან დაყოფილნი. საქართველოს ოცნლამდელთა ნაკრები, რომელსაც **ნიკოლოზ ჭავჭავაძე** და **ლევან მაისაშვილი** წვრთნის, B ჯგუფში მოხვდა ურუგვაის, კორეისა და იამაიკის ნაკრებებთან ერთად. A ჯგუფის ბინადარნი კი რუმინეთის, ნამიბიის, ჩილესა და კუკის კუნძულების ნაკრებები იქნებიან. ჯგუფებში პირველ ადგილზე გასული გუნდები ერთმანეთს პირდაპირ ფინალში შეხვდებიან და გამარჯვებული მომავალი წლის პირველი ჯგუფის საგზურს მოიპოვებს. პირველ ჯგუფში 16 გუნდი თამაშობს.

A ჯგუფი: **ჩილე, რუმინეთი, ნამიბია, კუკის კუნძულები.**

B ჯგუფი: **საქართველო, ურუგვაი, კორეია, იამაიკა.**

**15 აპრილი**
საქართველო-იამაიკა

**19 აპრილი**
საქართველო-კორეა

**23 აპრილი**
საქართველო-ურუგვაი

**27 აპრილი**
ფინალი

## თვის მოვლენები — იანვარი

**2. კალათბურთი:** ვლადიმერ ბოისა ვლადივოსტოკის „სპარტაკიდან" ბერძნულ „არისში" გადავიდა, კონტრაქტი სეზონის ბოლომდეა.

**5. ფეხბურთი:** „კარლსრუეს" კაპიტნად არჩეულმა **ალექსანდრე იაშვილმა** მინიფეხბურთის ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი და 15 ათასი ევრო მიიღო.

**5. რაგბი:** ირაკლი მაჩხანელი 2007 წლის საუკეთესო ქართველ მორაგბედ დასახელდა.

**7. ფეხბურთი:** ლევან ყენიამ „შალკესთან" კონტრაქტი გააფორმა, რომელიც ძალაში ოქტომბერში შევა და 2012 წლის ზაფხულში დასრულდება.

**8. ფეხბურთი:** კახა ცხადაძე აზერბაიჯანული „სტანდარდის" მთავარ მწვრთნელად დანიშნეს.

**9. ფეხბურთი** საქართველოს ნაკრების ყოფილი მეკარე, 32 წლის **დავით გვარამაძე** ფეხბურთიდან წავიდა.

**15. კალათბურთი:** რუსთავში **მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის** მემორიალი დაიწყო.

**16. ფეხბურთი:** სოფიაში შემუშავდა მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის ჩვენი შესარჩევი ჯგუფის კალენდარი.

**18 კალათბურთი:** ქორქიას და საკანდელიძის მემორიალის გამარჯვებულია თბილისის „ავიამშენი". თბილისელებმა ფინალში რუსთავის „ენერჯის" მოუგეს.

**19. ფეხბურთი:** დსთ-ს თასზე რუსთავის „ოლიმპმა" 2:0 დაამარცხა ბელგრადის ოფკ.

**20. ფეხბურთი:** დსთ-ს თასზე რუსთავის „ოლიმპმა" 3:2 დაამარცხა „დორდოი-დინამო".

**20. ხელბურთი:** საქართველოს ნაკრებმა „ჩელენჯ ტროფი" მოიგო. ფინალში ჩვენმა ნაკრებმა ლუქსემბურგი 28:27 დაამარცხა.

**22. ფეხბურთი:** დსთ-ს თასზე რუსთავის „ოლიმპმა" 3:0 მოუგო „ვენტსპილსს".

**23. ფეხბურთი:** რუსთავის „ოლიმპი" დსთ-ს თასის მეოთხედფინალში ბელარუსის ბატე-სთან 1:2 დამარცხდა.

**23. ფეხბურთი:** **ზურაბ ხიზანიშვილმა** „ბლექბერნ როვერსთან" 2011 წლამდე გაახანგრძლივა კონტრაქტი.

**24. კალათბურთი:** საქართველოს თასის მფლობელი თბილისის „ავიამშენი" გახდა.

**25. ზოგადი:** კულტურისა და სპორტის მინისტრად დაინიშნა **ნიკა ვაჩეიშვილი.**

**26-27. ძიუდო:** თბილისში გაიმართა მსოფლიოს თასი, სადაც არაოფიციალურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებმა იმარჯვა. ქართველებმა სამი ოქროს მედალი მოიპოვეს - **ზაზა კედელაშვილმა, ზურაბ ზვიადაურმა** და **ლომერ ყორყოჯიანმა.**

**26-27. ჭიდაობა:** ბათუმში გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში.

**27. სუმო:** ძურიოს დივიზიონი ქართველმა **ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)** მოიგო. კოკაიმ ბაშო 9-6 ბალანსით დაასრულა.

**29-30. ბათუმში** გაიმართა საქართველოს ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, საზეიმოდ გააცილეს სპორტიდან **მუხრან ვახტანგაძე.**

**30. ჩოგბურთი:** ფედერაციის თასზე საქართველოს ნაკრებმა ბელარუსთან 0:3 წააგო.

**30. ფეხბურთი:** **დავით მუჯირი** „კრილია სოვეტოვიდან" მოსკოვის „ლოკომოტივში" გადავიდა.

**30. ტყვიის სროლა:** **ნინო სალუქვაძემ** მიუნხენის საერთაშორისო ტურნირში მეორე ადგილი დაიკავა.

**31. ფეხბურთი:** ბრიტანეთის შრომის დეპარტამენტმა **ლევან ცქიტიშვილს** „ბირმინგემ სიტიში" გადასვლის უფლება არ მისცა.

**31. ჩოგბურთი:** ფედერაციის თასზე საქართველოს ნაკრებმა შვედეთის ნაკრებთან წააგო.



ზურაბ ზვიადაური ოქროთი დაბრუნდა

# პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთი: სამივე გადახალისებულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასის მატჩისთვის მზადებას განაგრძობს. ბორჯღალოსნები საფეხბურთო სკოლა „ოლიმპის" ხელოვნურსაფარიან მოედანზე ვარჯიშობენ. ავსტრალიელი მწვრთნელის ტიმ ლეინის განკარგულებაში ჩვენი ნაკრების საკმაოდ გადახალისებული შემადგენლობაა. თუმცა, როგორც გაირკვა უკეთესი მდგომარეობა არც ჩვენ მოწინაალმდეგე გუნდებშია.



უფრო სწორად კი, ერთი მეტად საგულისხმო ტენდენცია იკვეთება. ყველა კონკურენტი გუნდი, რომელსაც კი მომდევნო მსოფლიო თასზე მოხვედრის პრეტენზია აქვს, ფაქტობრივად მთლიანად ცვლის შემადგენლობას. მაგალითად, პორტუგალიის ნაკრები, რომელიც ერთადერთია ძირითად მეტოქეებს შორის, მწვრთნელი რომ არ გამოუცვლია, თბილისში მთლიანად ექსპერიმენტული შემადგენლობით მოემგზავრება. ოცდაორ კაციან განაცხადში მხოლოდ ხუთია ისეთი, ვისაც გასულ მსოფლიო თასზე უასპარეზია.

**ტომაშ მორაეში,** რომლის სახელთანაც პირდაპირაა დაკავშირებული პორტუგალიური რაგბის ალმავლობა, როგორც ჩანს, ახალ გუნდს ქმნის. რა გამოვა და დააკმაყოფილებს თუ არა სამხრეთული ხასიათის მქონეთა ამბიციებს მორაეშის ახალი ქმნილება, მომავალი გვიჩვენებს.

პორტუგალია საქართველოს წინააღმდეგ:

**ჟუან მური** (ლივორნო), **როდრიგო აგილარი** (აგრონომია), **დიოგო ფიალიო** (კდულ), **ბერნარდო დუარტე** (აგრონომია), **ჟოაო კორეია** (დირეიტო), **ედუარდო აკოსტა** (დირეიტო), **მანუელ რიბეირო** (კდულ), **ფრანსისკო ფრაგატეირო** (კდულ), **ჟუან სევერინო** (რაგბი რეჯიო), **სებასტიანო კუნია** (ბელენენსეში), **ანტონიო დუარტო** (აგრონომია), **ტიაგო ჟირაო** (მადრიდი), **ლორენცო კადოში** (აგრონომია), **ფრანცისკო მაგალაეში** (კდულ), **პედრო კაბრალი** (კდულ), **ფრანსისკო მირა** (აგრონომია), **პედრო სილვა** (ბელენენსეში), **უგო მელო** (ბენფიკა), **გონსალო ფორო** (კდულ), **ადერიტო ესტევეში** (დირეიტო), **ვასკო გასპარი** (აგრონომია), **დიოგო მირანდა** (ბელენენსეში).

ახალი გუნდის კეთება განიზრახეს რუმინელებმაც, რომლებსაც ბორჯღალოსნები თბილისშივე დაუპირისპირდებიან 9 თებერვალს. ვალახებს ჩვენს მსგავსად სამხრეთელი ახალი მწვრთნელი ჰყავთ - ახალზელანდიელი **ელის მიკენი.** საქართველოს ნაკრებისგან განსხვავებით რუმინელებმა უკვე მოასწრეს რამდენიმე შეხვედრის გამართვა განახლებული შემადგენლობით. ჯერ ერთა თასის გათამაშებაში შინ წააგეს რუსეთის ნაკრებთან 12:22, მერე კი სტუმრად ლისაბონში დაამარცხეს მასპინძლები 23:8, რამაც ალბათ უნდა გვაფიქრებინოს, რომ პორტუგალიელებს სერიოზული პრობლემები აქვთ - ბოლო ოთხი წელიწადია, შინაურ კედლებში ამოდენა სხვაობით არავისთან წაუგიათ.

რაც შეეხება თავად რუმინელებს, მათ გასულ უქმეებზე კიდევ ერთი საკონტროლო თამაში გამართეს სტუმრად უელსში, „ნისთან" და მშრალი ანგარიშით 0:17 დამარცხდნენ. შეხვედრა ადგილობრივმა მსაჯმა განსაჯა, რომელმაც რუმინელებს სამი ყვითელი და ორი წითელი ბარათი უჩვენა.

ახლახანს კი ელის მიკენმა საქართველოში სალაშქროდ 31 მორაგბე იხმო, რომელთაგან 24 შეარჩევს და 8 თებერვალს თბილისში იახლებს:

**რუმინეთის ნაკრები**

პირველი ხაზი: **ნიკოლაე ნერე, იონ პაულიკა, მიჰაიტა ლაზარი, ფლავიუს დობრე, მიჰაი ადესკალიტეი, რადუ ბასალაუ, ბოგდან ზებეგა, მარეკ მიჰალაჩე,**

მეორე ხაზი: **ვალენტინ პოპარლანი, ალინ კოსტე, ვალენტინ ურსაკე**

მესამე ხაზი: **მიჰალ მაკოვეი, სტელიან ბურჩა, დანიელ კარპო, ვასილე რუსი, კოსტიკა მერსოიუ, კოზმინ რაცოუ.**

9: **კიპრიან კაპლესკუ, იულიან ანდრეი, ვალენტინ კალაფეტიანუ.**

10: **დანუც დუმბრავა, იონუც დიმოფტე**

12-13: **დან ვლადი, ჩაბა გალი, კატალინ დასკალუ.**

11-14: **სტეფან ჩუნტუ, ჯორჯიტა ბიჯიუ, კატალინ ფრკუ.**

15: **მარინ ალექსანდრუ, ფლორინ ვლაიკუ, მუგურელ სირბუ.**

ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის სამზარეულოშიც შევიხედოთ. რუსეთის ნაკრები, რომელსაც ქართველებისთვის კარგად ნაცნობი ფრანგი სპეციალისტი, **კლოდ სორელი** თავკაცობს, ამჟამად სამხრეთ აფრიკაში იმყოფება საწვრთნელ შეკრებაზე. რუსებმა ორი დღის წინ შეხვედრა გამართეს იოჰანესბურგის „ლაიონზის" ახალგაზრდულ გუნდთან და სასტიკად დამარცხდნენ 0:59. რუსთა 24 კაციან შემადგენლობაში მოლოდ 10 ნაცნობი გვარი აღმოვაჩინეთ, რომლებსაც ოდესმე უთამაშია ამ ქვეყნის ნაკრებში.

ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ რუსებმა საქართველოს ნაკრებთან 12 აპრილს კრასნოდარში დანიშნული შეხვედრა ციმბირში, იქაური რაგბის დედაქალაქ კრასნოიარსკში გადაიტანეს. ეს პირველი შემთხვევა იქნება ამ ორი ქვეყნის ეროვნულ გუნდებს შორის დაპირისპირებაში. აქამდე ყველა საშინაო შეხვედრა რუსებს ქართველებთან კრასნოდარში აქვთ გამართული და ყველაში მარცხი იწვნიეს. ახლა კი, როგორც ჩანს, ციმბირული სუსხისა და სიშორის იმედი აქვთ. შეგახსენებთ, რომ კრასნოიარსკში რუსებს მოგებული აქვთ რუმინეთისა და აშშ-ის ნაკრებებთან.

რუსეთის ნაკრები „ლაიონზთან" მატჩში: 15-9: **ნიკოლაი ტიმოშჩუკი, არტიომ ლუბკოვი, კონსტანტინ იაკიმოვი, იგორ გალინოვსკი, ვლადიმირ ოსტროუშკო, ალექსეი კორობეინიკოვი, ალექსანდრ იანუშკინი. 1-8: ვლადიმირ ბოტვინიკოვი, ალექსეი აბარკინი, ანდრეი იგრესტოვი, მაქსიმ კისილიოვი, ანდრეი ხვოროსტიანოვი, რინატ ტიმერბულატოვი, მიფოდიი ჩერნიხი, ანდრეი გორბუზოვი, 16-24:ალექსეი ვოლკოვი, ივან პოვესმა, ევგენი პრონენკო, ვალერი ფედჩენკო, ალექსანდრ შაკიროვი, სერგეი ბელოუსოვი, სერგეი გავრუშინი, ვიქტორ გრესევი, იგორ კლუჩნიკოვი.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუერთდი, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge; www.cdn.ge

# იარიგინი და პოდდუბნი, რუსები პეკინამდე



შირვანი მურადოვის და ჰაჯიმურატ გაცალოვის (ზემოდან) ორთაბრძოლა



გიორგი კეტოევი (ზემოდან)

ამ უქმეებზე კრასნოიარსკში დამთავრდა **ივან იარიგინის** სახელობის „ოქროს დიდი პრიზის" ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ბოლო წლებში ამ შეჯიბრებაში ქართველი ფალავნები არც მონაწილეობენ, წლეულს კი ზუსტად იმ პერიოდში საკუთარ პირველობას ატარებდნენ და სარუსეთოდ არც ეცალათ. ჩვენებისთვის თუ ევროპირველობის და ოლიმპიური გუნდისთვის შესარჩევი შეჯიბრება ქვეყნის ჩემპიონატი იყო, რუსებისთვის ასეთ დატვირთვას სწორედ იარიგინის ტურნირი ატარებდა. ისინი ჯერ 15-17 თებერვალს ვლადიკავკაზში იჭიდავებენ მსოფლიო თასზე, მერე - აპრილში, ევროპის ჩემპიონატზე, აგვისტოში კი ოლიმპიადაა...

ამ ტურნირებისთვის შემადგენლობა თანდათან შეირჩევა, პირველი ეტაპი კი იარიგინის ტურნირი გახლდათ. ვფიქრობთ, მისი შედეგები ძალიან საინტერესოა. მით უფრო, შეჯიბრებას არც სენსაციები აკლდა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ტურნირში მსოფლიოს რამდენიმე წამყვანი ნაკრები გამოდიოდა, მაგრამ მაინც რუსთა დიდი უპირატესობით წარიმართა, რაც გასაკვირი სულაც არაა.

რუსეთის „თავისუფალთა" ნაკრებს ტალანტები არ აკლია და ბოლო წლებში იმდენად ძლიერი გუნდი ჩამოაყალიბეს, ლამის ყველა ტურნირზე შვიდივე ოქროს უკონკურენტოდ იგებენ. მეტოქეთათვის უთუოდ შემაშფოთებელია, რომ ამ ტურნირზე ისევ გამოჩნდა რამდენიმე ახალგაზრდა, რომლებმაც ძალზე ტიტულოვანი და გამოცდილი ფალავნები ჩამოიცილეს გზიდან. ასე მაგალითად, 66-ში **რასულ ძუკაევმა** გაიმარჯვა, თუმცა ისიც სათქმელია, რომ აქ ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი **ირბეკ ფარნიევი** არ ჭიდაობდა. რუსეთის ნაკრების თავკაცმა **ჯამბულათ თედეევმა** ტურნირის ყველაზე დიდ მოულოდნელობად სწორედ ძუკაევი დაასახელა და აღნიშნა, რომ ყველა ახალგაზრდას მიეცემა თავის გამოჩენის შანი.

ახალი ჩემპიონი ვიხილეთ მძიმე წონაშიც - ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი ახალგაზრდებში, 20 წლის **ბახტიარ ახმედოვი**, რომელმაც ნახევარფინალში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ბილიალ მახოვი** დაამარცხა, ფინალში - დამატებით დროში კიდევ ერთი მსოფლიო ჩემპიონი **კურამაგომედ კურამაგომედოვი**. კურამაგომედოვმა წაგება მსაჯებს დააბრალა, რასაც ახმედოვმა ასეთი კომენტარით უპასუხა: *„კურამაგომედოვი ასე მიიჩნევს? ეს მისი პირადი საქმეა, მსაჯები კი ფინალში ობიექტურები იყვნენ. უბრალოდ, დღეს მე ძლიერი ვიყავი. მაგრამ მხოლოდ დღეს, რადგან მშვენივრად ვიცი, კიდევ არაერთხელ მომიწევს იმის დამტკიცება, რომ რუსეთის ნაკრებში ადგილი მეკუთვნის".*

მთავარი სენსაცია მაინც 96-ში მოხდა, სადაც ფინალში ევროპის მოქმედმა ჩემპიონმა **შირვანი მურადოვმა** პირდაპირ გააცამტვერა ოლიმპიური და მსოფლიოსა და ევროპის 3-3-გზის ჩემპიონი **ჰაჯიმურატ გაცალოვი**, რომელმაც მსოფლიოში ლამის უძლეველის სახელი დაიგდო. საყურადღებოა მათი შეხვედრის ანგარიში - 3:0 და 4:0 მურადოვის სასარგებლოდ. ბოლო სამი წლის განმავლობაში გაცალოვმა პირველი შეხვედრა წააგო, რაც თავიდან მძიმე დარტყმა აღმოჩნდა, მაგრამ დიდმა სპორტსმენმა წაგება მალევე გადალახა და უახლოესი ტურნირებისთვის შეუდგა მზადებას. *„ცხადია, შირვანი მურადოვთან წაგება მძიმედ გადავიტანე. პირველ დღეებში გამუდმებით ამ შეხვედრაზე ვფიქრობდი და ვერაფრით ვივიწყებდი. თავში გამუდმებით ის ეპიზოდები მიტრიალებდა და ვცდილობდი, გამეგო, სად შევცდი... ახლა დავწყნარდი და დავრწმუნდი - ეს წაგება კარგი გაკვეთილია. იგი ნამდვილად საჭირო მომენტში მოხდა - არც ადრე და არც - გვიან. დიდი ხანია, არ წამიგია - ევროპის 2005 წლის პირველობის შემდეგ, როცა ლუკა კურტანიძესთან დავმარცხდი, და მეგონა, სულ ასე იქნებოდა, მოგებები უსასრულოდ გავრძელდებოდა. ახლა დავრწმუნდი, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს და დავიწყე მზადება ახალი შეჯიბრებებისთვის. ორშაბათს მოსკოვში ჩამოვფრინდი, სადაც სისხლის ბიოქიმიურ ანალიზს და საერთოდ, კომპლექსურ სამედიცინო გამოკვლევას ჩავიტარებ. მინდა, ორგანიზმი დაწვრილებით გამოვიკვლიო, რადგან მზადების ასეთ რთულ პროცესში წვრილმანი და მსხვილმანი პრობლემა არ არსებობს. 1 თებერვლიდან უკვე დავიწყებ მზადებას მსოფლიო თასისთვის, რომელიც ჩემს მშობლიურ ვლადიკავკაზში ტარდება, თუმცა ჯერ დაზუსტებით ვერ ვიტყვი, ნამდვილად გამოვალ თუ არა ამ ტურნირზე - თუ სათანადოდ მომზადებას მოვასწრებ, ვიჭიდავებ"* - განაცხადა რუსულ მედიასთან საუბარში გაცალოვმა. სახელოვანმა ფალავანმა ოლიმპიადასთან დაკავშირებული გეგმებიც გაამხილა: *„თუ ოლიმპიურ გუნდში მოვხვდები, მსოფლიოს 2006 წლის გამოცდილებიდან გამომდინარე, აკლიმატიზაციის გასავლელად, პეკინში ტურნირის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე* ჩავალ. ამაში უკრაინის ნაკრების გამოცდილებაც მარწმუნებს. მაშინ გუანჯოუში ისინიც ერთი კვირით ადრე ჩავიდნენ და ოქროს მედლები ორივე სტილის ჭიდაობაში მოიპოვეს" - განაცხადა მან.

55-ის ფინალში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა **ბესიკ კუდუხოვმა** ძირითად დროშივე საკმაოდ იოლად აჯობა მსოფლიოს პრიზიორ **ჯამალ ოთარსულთანოვს** - 3:1, 3:0. 60-ში ამჯერად მსოფლიო ჩემპიონმა **ალან დუდაევმა** იმარჯვა, რომელმაც ნახევარფინალში დამატებით დროში ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი **მევლატ ბატიროვი** დაამარცხა, ფინალში კი - მისი ძმა **ადამ ბატიროვი**. 74-ის ფინალში ევროპის სამგზის და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ოლიმპიურმა პრიზიორმა **მახაჩ მურთაზალიევმა** უძლიერესი მეტოქე, ევროპისა და მსოფლიოს 6-6-გზის, აგრეთვე ოლიმპიური ჩემპიონი **ბუვაისა საიტიევი** დაამარცხა - 1:0, 3:1. თუმცა საიტიევი ბედს არ ეგუება და აცხადებს, რომ სამომავლოდ თავის გამარჯვებაში დარწმუნებულია. „მე მაქვს გამოცდილება და ვიცი, რასაც ვამბობ" - განუცხადა მან რუსულ მედიას.

**გიორგი კეტოევმა** (ქეთიშვილმა, 84) ფინალში ამჯერად უდავიდარაბოდ გაიმარჯვა **საჯიდ საჯიდოვთან**. გემახსოვრებათ, ისინი ერთმანეთს რუსეთის პირველობის ფინალშიც შეხვდნენ და მაშინაც კეტოევმა იმარჯვა, მაგრამ ის შეხვედრა მასობრივ არეულობაში გადაიზარდა - მსოფლიოსა და ევროპის 2-2-გზის ჩემპიონის, ოლიმპიურ პრიზიორ საჯიდოვის ქომაგთა დაშოშმინება მხოლოდ სპეცრაზმის დამატებითი ძალების დახმარებით მოხერხდა, თუმცა მანამ დარბაზი ნამდვილ თალპიონს დაამსგავსეს - დალეწეს ყველაფერი, რისი დამტვრევაც შეიძლებოდა. ამჯერად კეტოევმა ორივე პერიოდში უპრობლემოდ აჯობა მეტოქეს, თუმცა მას პირველივე შეხვედრაშიც არანაკლები მეტოქე ჰყავდა - ერთგზის ოლიმპიური, ორგზის მსოფლიოსა და სამგზის ევროპის ჩემპიონი ადამ საიტიევი, რომელსაც 1:1 და 4:0 მოუგო. თავის მხრივ, ამ ტურნირის ერთ-ერთი მოულოდნელობა სწორედ ძმებ საიტიევების წარუმატებლობაა. შეგახსენებთ, რომ ძმებმა რუსეთის პირველობაც წააგეს, რაც თვითონაც და მათმა მწვრთნელმა **დიმიტრი მინდიაშვილმაც** ტრავმების შემდგომი ხანმოკლე სარეაბილიტაციო პერიოდით ახსნეს და გამოთქვეს იმედი, რომ საამსეზონოდ ნაკრებში დაიბრუნებდნენ ადგილს.

იარიგინის ტურნირამდე ერთი კვირით ადრე მოსკოვში იგივე რანგის, ოღონდ **ივან პოდდუბნის** სახელობის ტურნირი გაიმართა „ანტიკურ" ჭიდაობაში, რომელიც იქაურთათვის ასევე ევროპისა და ოლიმპიადის შესარჩევი იყო. უცხოელები აქაც მონაწილეობდნენ, თუმცა მედლები აქაც მასპინძლებმა დახვეტეს. მათ ერთადერთი ოქრო დაუთმეს სტუმრებს - 74-ში უკრაინელმა მსოფლიო ჩემპიონმა **ვლადიმირ შაცკიხმა** გაიმარჯვა. მთლიანობაში, ნაკრების თავკაცი **გოგი კოლუაშვილი** თავისი გუნდის გამოსვლით კმაყოფილია და ამბობს, რომ ბიჭებმა შესაძლებლობების 60% გამოავლინეს, რადგან სეზონის დასაწყისია და ჯერ ფორმაში არ არიან. *„ჩვენი მთავარი ამოცანაა, გუნდი ისე მოვამზადოთ, რომ ფორმის პიკში აგვისტოში, ოლიმპიადაზე იყვნენ."* - აღნიშნა კოლუაშვილმა. იქვე მან მჩატე წონების მწვრთნელები შეაქო, რომლებსაც ტალანტები არ ელევათ და ახალი სახეები ამ ტურნირზეც გამოჩნდნენ - 60-ის ჩემპიონი **ასლან აბდულინი** და 66-ში გამარჯვებული **სეირან სიმონიანი**, რომელმაც ფინალში გამოცდილ **სერგეი კოვალენკოს** აჯობა. ახალი სახეა 84-ის ჩემპიონი ოლეგ შოკალოვიც. 55-ში მსოფლიოს პრიზიორმა **ზაურ მანკიევმა** იმარჯვა, 96-ის ფინალში კი **ასლანბეკ ხუშტოვმა** ასევე მსოფლიოს პრიზიორ **ვასილ ტეპლოუხოვს** მოუგო.

კოლუაშვილმა შეგირდებიდან ყველაზე მეტად მძიმე წონაში გამარჯვებული მსოფლიოს ორგზის, ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი **ხასან ბაროევი** აქო. „მან ბრწყინვალედ იჭიდავა და მსოფლიოში ერთ-ერთი უმთავრესი მეტოქე, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი, კუბელი მიჯაინ ლოპესი დაამარცხა. მაგრამ ამაზე უფრო მნიშვნელოვანი ამ შეხვედრაში მის მიერ ნაჩვენები ჭიდაობის შემტევი სტილია" - თქვა მწვრთნელმა.

და რაც შეეხება 74-ს, აქ მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიური ჩემპიონი **ვარტარეს სამურგაშევი** მესამეზე გავიდა, რაც კოლუაშვილზე დამაკმაყოფილებელ შედეგად შეაფასა.

ირაკლი თავაძე

## თარიღი

**ნინო სალუქვაძე.** დაიბადა 01.02.1969, თბილისი. ტყვიის სროლა. 1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი სპორტული პისტოლეტით და მეორე პრიზიორი პნევმატური პისტოლეტით სროლაში. კიდევ ოთხი ოლიმპიადის მონაწილე: 1992, ბარსელონა (სპორტული პისტოლეტით სროლაში - V ადგილი, პნევმატური - X); 1996, ატლანტა (სპორტულით - VII, პნევმატური - V); 2000, სიდნეი (ფინალში ვერ მოხვდა); 2004, ათენი (სპორტულით - VIII, პნევმატური - X). მსოფლიოს ჩემპიონი პირად პირველობაში (1989) და ექვსგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1986, 87, 89, 90 - სპორტული + პნევმატური, 91), მეორე (2002) და მესამე (1986) პრიზიორი პირად შეჯიბრებაში. მსოფლიოს სუპერთასის შვიდგზის მფლობელი (1989, 90, 93, 99, 2005). ევროპის ხუთგზის ჩემპიონი პირად და გუნდურ ჩათვლაში (1989, 90, 93), ორგზის მეორე (2005) და ორგზის მესამე (1999, 2003) პრიზიორი. დამყარებული აქვს ოცამდე მსოფლიო რეკორდი. საქართველოს ორგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი (1988, 99). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II და III ხარისხის ორდენების კავალერი.

# ქუკა და ზაზა


ფატმირ ქუკა და ზაზა ფაჩულია

ერთი კვირის წინ ზაზა ფაჩულიამ გაზეთ „ჰუპს ვორლდთან“ პირად მწვრთნელ ფატმირ ქუკაზე ისაუბრა. ეს სპეციალისტი თურქეთში ჩასულ 15 წლის ზაზას სტამბოლის „ულქერში“ დახვდა და მას შემდეგ ქართველის გვერდშია. თუ გაინტერესებთ, როგორ ახასიათებს ფატმირი შეგირდს, შეგიძლიათ მის მონოლოგს გაეცნოთ.

- წარმოშობით ალბანელი ვარ. 1990 წელს თურქულ „ანკარაში“ სამუშაოდ გადავედი. 1996 წელს სტამბოლის „ულქერმა“ მიმიწვია და სწორედ ამ კლუბში, 1997 წელს გავიცანი ფაჩულია. მაშინ „ულქერის“ ტექნიკურ დირექტორი და იუნიორთა გუნდის მწვრთნელი ვიყავი. ერთ-ერთი მათგანი მეც გახლდით, ვინც მაღალი, ნიჭიერი ახალგაზრდის საქართველოდან ჩამოყვანა გადაწყვიტა. თანატოლთა შორის ზაზა ისეთი მაღალი და ჩასხმული იყო, როგორც შაკილ ონილი. პირველივე შეხვედრისას გავიფიქრე - ოო, ამ ბიჭთან სერიოზულად მუშაობა შეიძლება, პოტენციალი დიდი აქვს-მეთქი.

კვირის თავზე შევიკრიბეთ მე, გენერალური მენეჯერი, „ულქერის“ მთავარი მწვრთნელი და ერთზე შევთანხმდით - ზაზა პირველი გუნდისთვის უნდა მოგვემზადებინა. მას „ულქერის“ მაისური მალევე უნდა მოერგო. კარგად მახსოვს, იმ დღეს ვთქვი, თუ ფაჩულია ვარჯიშს არ დაიზარებდა, NBA-ში მოხვდებოდა. მართლაც, იუნიორებში ერთწლიანი შეყოვნების შემდეგ ზაზა მთავარ გუნდში გადავიყვანეთ. თავიდან დიდი დილემის წინაშე აღმოვჩნდით - თუ მოგება გვინდოდა, შედარებით გამოცდილ კალათბურთელებს უნდა დავყრდნობოდით. მაგრამ, თუ პერსპექტივაზე ვიფიქრებდით, ზაზასთვის სათამაშო დრო აუცილებლად უნდა მიგვეცა.

ამასობაში, ფაჩულიას ძალიან დავუახლოვდი და ისე ვეპყრობოდი, როგორც საკუთარ შვილს. სამწუხაროდ, სწორედ იმ პერიოდში გარდაეცვალა ფაჩულიას მამა და უცხო ქვეყანაში მარტოდმარტო ცხოვრება ძალიან უჭირდა. მეც მამა ვარ, ზაზაზე რამდენიმე წლით უფროსი შვილი მყავს და წარმოდგენილი მქონდა, რა მდგომარეობაში იყო იგი თურქეთში ცხოვრებისას. სწორედ ამიტომ ყველანაირად ვცდილობდი მის დახმარებას.

ჩემდა გასახარად, ფაჩულია სწორედ ისეთი გამოდგა, როგორიც თავიდან მეგონა - შესანიშნავი მოსწავლე და შრომისმოყვარე. არასოდეს იღლება, მუდმივად თამაშის გაუმჯობესებაზე ზრუნავს. ამან შედეგი მალევე გამოიღო - მან ერთ დღეს დამირეკა და მითხრა: NBA-ს დრაფტისწინა ვარჯიშზე ამერიკაში მიწვევენო.

2003 წელს იგი „ორლანდო მეჯიქმა“ დრაფტზე 42-ე ნომრად აიყვანა. პირველ წელს ცოტას ათამაშებდნენ, რის გამოც ძალიან ღელავდა. მე კი ვუთხარი: ეს ის დროა, როცა საკუთარ თავზე უნდა იმუშაო და შენი მინუსები პლუსებად აქციო-მეთქი. ზაზამ დამიჯერა და საბოლოოდ ნორმალური სეზონი გამოუვიდა. „ორლანდოს“ ყოველი მატჩის შემდეგ ვარჯიშზე ვრჩებოდით და ინდივიდუალურად ვავარჯიშებდი. მისგან ერთხელაც არ გამიგია - მოდი ახლა დავისვენოთო, პირიქით მეტს ითხოვდა.

„მეჯიქთან“ ერთად პირველი სეზონი რომ დაასრულა, ვარჯიში არ შეგვიწყვეტია - ორლანდოს პლაჟზე ყოველ დილას სირბილში ვვარჯიშობდით, ხოლო შუადღისას - ან ბურთის სროლაზე, ან სიმძიმეებს ვწევდით. არ ვიცოდით ფაჩულია „მეჯიქში“ დაბრუნდებოდა თუ არა, მაგრამ ვიცოდით, რომ თამაში უნდა დაეხვეწა. იმ ზაფხულს საქართველოს ნაკრებთან ერთად იტალიაში ითამაშა და პირველივე მატჩში 25 ქულა და 15 მოხსნა გააკეთა. ეს ჩვენი შრომის შედეგი იყო.

ამერიკაში ზაზამ მეორე სეზონი „მილუოკიში“ დაიწყო. იქაც ძველებური შემართებით ვარჯიშობდა. სიახლე კი ის იყო, რომ ყოველი მატჩის შემდეგ ვიდეოფირებს ვათვალიერებდით და სადაც ნაკლს ვიპოვნიდით, გამოუსწორებლად არ ვტოვებდით. ახლაც დიდ ყურადღებას ვუთმობთ მის მინუსებს. ფაჩულია მგრძნობიარე პიროვნებაა და თუ რამე ეწყინა, ძალიან განიცდის. ზოგჯერ მწვრთნელის უყურადღებობა სწყინს, ბრაზდება და ერთიორად მონდომებით ვარჯიშობს.

რა აქვს დასახვეწი? ზაზა ჯერ ახალგაზრდაა და გამოცდილება აკლია. ახალგაზრდული ასაკის გამო შეცდომებს ხშირად უშვებს. ამიტომ თამაში და პრაქტიკა სჭირდება. ამერიკის კოლეჯის კალათბურთელებს NBA-მდე უამრავი მატჩის ჩატარება უწევთ და გამოცდილებასაც საკმარისად იღებენ. ევროპაში კი სეზონში შეიძლება სულაც 15-20 მატჩის ჩატარება მოუწიოთ.

ბოლო დროს ფაჩულიას ერთდროულად რამდენიმე ტრავმის გადატანა მოუწია. მსგავსი შემთხვევა მას აქამდე არ ჰქონია. ტრავმების მიუხედავად, მას ყოველთვის სურს თამაში, მაგრამ უწევს ექიმების რჩევებისთვის ყურის დაგდება.

ჩემი შეგირდი ამერიკაში ყოფნისას თავს საუკეთესოდ სწორედ ატლანტაში გრძნობს. მას „ჰოქსი“ ძალიან უყვარს და გუნდის თითო წაგებას ძალიან განიცდის. მატჩების შემდეგ ხშირად იხსენებს ისეთ ეპიზოდს, როცა ბურთი ვერ მოხსნა - ის ბურთი არ უნდა დამეთმოო. შემდეგ ჯერზე გამოვასწორებო.

მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

# ოხ, ეს ველური დასავლეთი

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტა ჰოქსმა“ ამერიკის დასავლეთ სანაპიროზე ერთკვირიანი მოგზაურობა ლოს ანჯელესში „კლიპერსთან“ წაგებით დაასრულა - 88:95.

შეგახსენებთ, რომ „ჰოქსმა“ დასავლური ვოიაჟი 23 იანვარს დენვერიდან დაიწყო და მას შემდეგ ხუთი მატჩის ჩატარება მოასწრო. ჯორჯიელთა სამწუხაროდ „ატლანტამ“ ხუთიდან მხოლოდ ერთი შეხვედრის მოგება მოახერხა, „სიეტლი“ 99:90 დაამარცხა.

ლოს ანჯელესიდან ატლანტაში დაბრუნებული ქორები მომდევნო მატჩს 2 თებერვალს შინ გამართავენ, „ნიუ ჯერსის“ უმასპინძლებენ. ამ შეხვედრას კიდევ სამი საშინაო თამაში მოჰყვება და „ჰოქსმა“ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა დასავლეთში დაკარგული ქულები ატლანტაში ამოიღოს. „კლიპერსთან“ წაგების შედეგად ზაზას თანაგუნდელებს 18 მოგების წილ 24 წაგება მოუგროვდათ და ფლეი ოფში მოხვედრა თუ სურთ, მდგომარეობის გამოსწორებაზე ახლავე უნდა იფიქრონ.

შეიძლება იკითხოთ, „ჰოქსზე“ ამდენს საუბრობთ და ზაზაზე არაფერს ამბობთო. სამწუხაროდ ქართველ ცენტრზე სათქმელი ბევრი არაფერია. მან თამაშიდან ერთადერთი ორქულიანი ააცილა, თითო ჩაჭრა-დაფარება და 4 მოხსნა გაიფორმა. თუმცაღა, მონაგარის გათვალისწინებით ზაზაზე აუგის თქმა მაინც არ შეიძლება - მან მოედანზე მხოლოდ 10 წუთი გაატარა.

ატლანტელთაგან 21 ქულითა და 10 მოხსნით ჯოშ სმიტი გამოირჩა, ხოლო მატჩის საუკეთესო კალათბურთელი მასპინძელთა ახალბედა თორნტონი იყო - 33 წუთში 33 ქულა.




# ჟურნალისტები ნიუ ჯერსიში აგზავნიან

ცნობილი ინტერნეტგამოცემა ESPN-ის ჟურნალისტი ჯონ ჰოლინგერი „ნიუ ჯერსის“ **ლიდერის ჯეისონ** კიდის ირგვლივ საინტერესოდ მსჯელობს და ბოლოს საქმე მისი „ატლანტაში“ გადასვლამდე მიჰყავს. სანაცვლოდ „ნეთსში“ **ზაზა ფაჩულიას, ჯო ჯონსონსა** და **ჯოშ სმიტს** აგზავნის.

ეს პოპულარული გამოცემის ჟურნალისტის ნააზრევია და შეიძლება ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული, მაგრამ რადგან საქმე ქართველ მეფარეს ეხება, ვფიქრობთ ჰოლინგერის ნააზრევის გაცნობა ჩვენს მკითხველსაც დააინტერესებს.

- ჯეისონ კიდი „ნიუ ჯერსიდან“ წასვლას აპირებს. მას კონტრაქტებს სთავაზობენ „დალასი“, „კლივლენდი“, „დენვერი“ და „ლეიკერსი“, მაგრამ კიდი აჩქარებას არ აპირებს. მას ისეთი კლუბი სჭირდება, სადაც თავის ლიდერულ თვისებებს მოედანზეც გამოავლენს და გასახდელშიც ყველა მას მოუსმენს. ასეთი გუნდი „ატლანტაა“. ჯორჯიელთა გენერალური მენეჯერი **ბილი ნაითი** კიდის კალიბრის მოთამაშის გადაყვანაზე საუბრობს კიდეც, მაგრამ ჯერჯერობით „ჰოქსში“ NBA-ს ერთი კაშკაშა ვარსკვლავიც არ ირიცხება. თუ ნაითი კიდის გადაბირებას შეეცდება, თამამად შეეძლება „ნიუ ჯერსის“ სანაცვლოდ სმიტი, ჯონსონი და ფაჩულია შესთავაზოს. ამ კალათბურთელებისადმი ინტერესს არა მხოლოდ „ნეთსი“, არამედ სხვა გუნდებიც იჩენენ.

NBA. დიდი ტრანსფერის მოლოდინში

# სად წავა კიდი?



ჯეისონ კიდი

სად გააგრძელებს კარიერას თანამედროვეობის უდიდესი (დიახ, **სტივ ნეშისადმი** პატივისცემის მიუხედავად) გამთამაშებელი **ჯეისონ კიდი**? კალათბირთელი მაქსიმუმ ამ სეზონის ბოლომდე თუ ითამაშებს თავის ამჟამინდელ კლუბში, "ნიუ ჯერსი ნეტსში", თუმცა ყველაზე რეალური ვარიანტი მაინც ამავე სეზონში რომელიმე სხვა გუნდში გადასვლაა.

კიდმა "ნიუ ჯერსიდან" წასვლის სურვილი ჯერ კიდევ შარშან გამოთქვა, როდესაც "ლეიკერსში" უნდოდა გადასვლა, მაგრამ კალიფორნიელებმა ასაკოვან ფლეიმეიქერში ახალგაზრდა ცენტრის, **ენდი ბინუმის** გაცვლა არ მოისურვეს.

ჯეისონმა ორი დღის წინ კიდევ ერთი და ჩვენი ამერიკელი კოლეგების აზრით, საბოლოო ულტიმატუმი წაუყენა ისტრუზერფორდელთა ბოსებს. კიდი ან გუნდის საპლეიოფოდ გაძლიერებას, ან "ნეტსიდან" გაშვებას ითხოვს. იმის გათვალისწინებით, რომ "ნეტსის" ხელმძღვანელებს აქცენტი შემადგენლობის გაახალგაზრდავებაზე აქვს გადატანილი, კიდმა ერთი-ორი ვარსკვლავის დამატებაზე ცივი უარი მიიღო, რითაც კიდევ უფრო რეალური გახადა "ნიუ ჯერსიდან" აბარგების პერსპექტივა.

კიდი წლიურად 19 მილიონ დოლარს იღებს და თუ გავითვალისწინებთ, რომ ზელიგის გუნდებს სახელფასო ლიმიტი 65 მილიონამდე აქვთ დაწესებული, გამოდის, რომ ჯეისონი, **ვინს კარტერი** (15.3 მილიონი) და **რიჩარდ ჯეფერსონი** (12.2) გუნდის მთლიანი სახელფასო ბიუჯეტის უდიდეს წილს იღებენ. ჯეფერსონი გუნდში ყოველ მიზეზ გარეშე დარჩება, კარტერმა კი ახლახანს გაახანგრძლივა ხელშეკრულება, ასე რომ, თუ ვინმეს გაუშვებენ, ეს ისევ და ისევ კიდი იქნება. ის კიდი, რომელსაც ასაკის მატების მიუხედავად, რეგრესი არანაირად არ ეტყობა და ჯეისონი ლიგის საუკეთესო მეპასეებში მხოლოდ ნეშს თუ ჩამოუვარდება და თავისი გუნდის საუკეთესო მომხსნელიცაა (!).

გადავხედოთ იმ გუნდებს, რომლებსაც ჯეისონის აყვანის (თავისთავად, მხოლოდ გაცვლის შედეგად) ყველაზე რეალური შანსი აქვთ.

### 1. დალასი

**გაცვლაში მონაწილეობას მიიღებენ: ჯეისონ ტერი** (8.9 მილიონი დოლარი), **დევეინ ჯორჯი** (2.1), **დესაგანა დიოპი** (2.1).

შარშან, როდესაც კიდის "ლეიკერსში" გადასვლა ჩაიშალა, ჯეისონს ეგრევე "მავერიქსის" გადარეული მფლობელი, მილიარდერი **მარკ კიუბანი** დაუკავშირდა და კიდში **დევეინ ჯორჯი**, ცენტრი **ერიკ დემპიე** და **ჯეისონ ტერი** შესთავაზა. ტეხასელთა ბოლო ამანათში ერთადერთი ცვლილებაა – დემპიეს ნაცვლად, რომელიც ნელ-ნელა ათამაშდა, "დალასი" კიდში ცენტრ **დესაგანა დიოპს** იძლევა, რომელიც დემპიეზე გაცილებით ძლიერი დამცველია. ამ მოთამაშეებში "ნიუ ჯერსისთვის" პრობლემატური იქნებ მხოლოდ ტერი იყოს, რომელიც უკვე 30 წლისაა და წლიურადაც საკმაოდ ბევრს იღებს.

### 2. დენვერი

**გაცვლაში მონაწილეობას მიიღებენ: ნენე** (8.8), **ლინას კლეიზა** (1.1), **ჯეი. არ. სმიტი** (2.1).

**ნენეზე** "ნაგეტსში" თავის დროზე ისეთ იმედებს ამყარებდნენ, რომ ბრაზილიელ ფორვარდს ლამის **კარლ მელოუნად** მიიჩნევდნენ. მელოუნამდე კი არა, ამ ახალგაზრდას ბევრ სხვა, უფრო სუსტ მოთამაშემდეც უსაშველოდ დიდი მანძილი აშორებს და ამის გამო, კოლორადოელები კიდის ამანათში ნენეს დიდი სიამოვნებით მოახვედრებენ. კიდი "დენვერის" უსწრაფეს შეტევას კიდევ უფრო სახიფათოს გახდის, ხოლო **კლეიზა და სმიტი** კი შედარებით სუსტ აღმოსავლეთში გაილაღებენ და მეტის გაკეთების შანსი მიეცემათ. თუ ტრანსფერი რეალობად იქცევა, "დენვერს" **ალენ აივერსონის, კარმელო ენტონისა** და კიდის სახით ლიგაში უძლიერესი შემტევი ტრიო ეყოლება. თანაც, ჯეისონი ჯერ კიდევ "ნეტსში" დაძმაკაცებულ **კენიონ მარტინსაც** მეორედ შეუამხანაგდება.

### 3. ატლანტა

**გაცვლაში მონაწილეობას მიიღებენ: ჯოშ სმიტი** (2.2), **ტაირონ ლიუ** (3.5), **შელდენ უილიამსი** (3.1).

ამ შემთხვევაში "ჰოქსმა" იქნებ **ზაზა ფაჩულიაც** მოიშველიოს კიდის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ უფრო რეალური მაინც ის ამანათია, რომელიც ზემოთ გვაქვს მოხსენიებული. **ჯოშ სმიტი** "ატლანტის" ერთ-ერთი ლიდერი კი არის, მაგრამ მოთამაშე, რომელიც ერთადერთია მთელ ლიგაში, ვინც საშუალოდ 18 ქულას, 8 მოხსნას, 3 პასსა და 3 დაფარებას აგროვებს, "ჰოქსს" ახალი კონტრაქტის პირობებზე ვერ მოურიგდა და 5-წლიან, 45-მილიონიან ხელშეკრულებაზე უარი განაცხადა. ამასთან ერთად, ჯოშს ურთიერთობა გაუფუჭდა მთავარ მწვრთნელ **მაიკ ვუდსონთან**. ასე რომ, ტრანსფერი საკმაოდ რეალურია.

### 4. ორლანდო

**გაცვლაში მონაწილეობას მიიღებენ: ჯამეერ ნელსონი** (1.2), **ჰედო თურქოღლუ** (6.4).

"მეჯიქი" წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი აღმოჩენაა და **ჰედოც** კარიერაში საუკეთესო სეზონს ატარებს, თუმცა "ორლანდოს" ბოსები თავად დაუკავშირდნენ "ნეტსს" და კიდში ეს ორი მოთამაშე შესთავაზეს. თურქი ფორვარდი ერთ მატჩში საშუალოდ 19.3 ქულას, 6.0 მოხსნასა და 4.2 შედეგიან გადაცემას უყრის თავს, თუმცა გუნდის გენერალური მენეჯერი **ოტის სმიტი** მაინც კიდითაა აღფრთოვანებული და ყველაფერს აკეთებს მის ხელში ჩასაგდებად. Kიდის დამატების შემთხვევაში, **რაშარდ ლიუისითა და დუაიტ ჰოვარდით**, "მეჯიქი" ჩემპიონობის ფავორიტებში შევა.

### 5. კლივლენდი

**გაცვლაში მონაწილეობას მიიღებენ: დრიუ გუდენი** (6.5), **ლარი ჰიუზი** (12.2).

**დრიუ გუდენი** "ნეტსისთვის" მისწრება იქნება, რადგან გუნდს არ ჰყავს მაღალი მოთამაშე, რომელიც ათზე მეტ ქულასა და 7-8 მოხსნას დააგროვებს. კი, დრიუ ზარმაცია დაცვაში და ხანდახან მწვრთნელებთან კონფლიქტებიც აქვს, თუმცა მისი სახით "ნიუ ჯერსი" მაინც დიდ ძალას მიიღებს, რასაც ვერ ვიტყვით **ლარი ჰიუზზე**, რომელიც თან საკმაოდ ძვირადღირებულია და ამასთან ერთად, საშინლად ისვრის ბურთს თამაშიდან (წელს სროლების მხოლოდ 34.9 პროცენტი აქვს გამოყენებული).

აქვე გეტყვით, რომ კიდის სავარაუდო ტრანსფერთან მიმართებაში, ასევე განიხილება "პორტლენდის", "შარლოტის" და "კლიპერსის" ვარიანტებიც.

**ზურაბ თალაკვაძე**

## NBA. თებერვლის კალენდარი

**1 თებერვალი**
ინდიანა-ჰიუსტონი
ფილადელფია-ორლანდო
ვაშინგტონი-იუტა
ტორონტო-ლეიკერსი
მაიამი-ნიუ ჯერსი
მინესოტა-კლიპერსი
საკრამენტო-ნიუ ორლეანი
გოლდენ სტეიტი-შარლოტი
პორტლენდი-ნიუ იორკი

**2 თებერვალი**
ატლანტა-ნიუ ჯერსი
ინდიანა-ორლანდო
კლივლენდი-კლიპერსი
მემფისი-იუტა
მილუოკი-ჰიუსტონი
დენვერი-შარლოტი
საკრამენტო-ჩიკაგო
სიეტლი-ნიუ იორკი

**3 თებერვალი**
ვაშინგტონი-ლეიკერსი
დეტროიტი-დალასი

**4 თებერვალი**
ატლანტა-ფილადელფია
ორლანდო-დალასი
მაიამი-ტორონტო
ნიუ იორკი-კლიპერსი
მინესოტა-ჰიუსტონი
ფინიქსი-შარლოტი
იუტა-ნიუ ორლეანი
პორტლენდი-დენვერი
სიეტლი-ჩიკაგო

**5 თებერვალი**
კლივლენდი-ბოსტონი
ინდიანა-სან ანტონიო
ფილადელფია-ვაშინგტონი
ნიუ ჯერსი-ლეიკერსი
მემფისი-მილუოკი

**6 თებერვალი**
ატლანტა-ლეიკერსი
ორლანდო-ნიუ ჯერსი
ვაშინგტონი-სან ანტონიო
ბოსტონი-კლიპერსი
დეტროიტი-მაიამი
ნიუ იორკი-ინდიანა
დალასი-მილუოკი
დენვერი-იუტა
ფინიქსი-ნიუ ორლეანი
პორტლენდი-ჩიკაგო
საკრამენტო-სიეტლი

**7 თებერვალი**
ფილადელფია-მაიამი
ჰიუსტონი-კლივლენდი
გოლდენ სტეიტი-ჩიკაგო

**8 თებერვალი**
ორლანდო-ლეიკერსი
ტორონტო-კლიპერსი
შარლოტი-ნიუ ჯერსი
ატლანტა-კლივლენდი
ნიუ იორკი-სან ანტონიო
დეტროიტი-პორტლენდი
მინესოტა-ბოსტონი
დალასი-მემფისი
ფინიქსი-სიეტლი
საკრამენტო-იუტა
დენვერი-ვაშინგტონი

**9 თებერვალი**
ინდიანა-პორტლენდი
ფილადელფია-კლიპერსი
ნიუ ორლეანი-მემფისი
ჰიუსტონი-ატლანტა
მილუოკი-ნიუ იორკი
იუტა-ჩიკაგო
გოლდენ სტეიტი-საკრამენტო

**10 თებერვალი**
კლივლენდი-დენვერი
მაიამი-ლეიკერსი
დეტროიტი-შარლოტი
ნიუ ჯერსი-დალასი
მინესოტა-ტორონტო
ბოსტონი-სან ანტონიო
ფინიქსი-ვაშინგტონი

**11 თებერვალი**
ორლანდო-კლივლენდი
ფილადელფია-დალასი
ტორონტო-სან ანტონიო
შარლოტი-ლეიკერსი
მილუოკი-კლიპერსი
ჰიუსტონი-პორტლენდი
გოლდენ სტეიტი-ვაშინგტონი

**12 თებერვალი**
ატლანტა-დეტროიტი
ინდიანა-ბოსტონი
მაიამი-დენვერი
ნიუ ჯერსი-მინესოტა
მემფისი-საკრამენტო
ჩიკაგო-ნიუ ორლეანი

**13 თებერვალი**
კლივლენდი-სან ანტონიო
ორლანდო-დენვერი
ფილადელფია-მემფისი
ტორონტო-ნიუ ჯერსი
შარლოტი-ატლანტა
ბოსტონი-ნიუ იორკი
დეტროიტი-ინდიანა
მილუოკი-ნიუ ორლეანი
მინესოტა-ლეიკერსი
დალასი-პორტლენდი
ჰიუსტონი-საკრამენტო
გოლდენ სტეიტი-ფინიქსი
სიეტლი-იუტა
კლიპერსი-ვაშინგტონი

**14 თებერვალი**
ჩიკაგო-მაიამი
ფინიქსი-დალასი

**17 იანვარი**
ALL STARS 2008

**19 თებერვალი**
კლივლენდი-ჰიუსტონი
ვაშინგტონი-ნიუ იორკი
დეტროიტი-ორლანდო
მინესოტა-ფილადელფია
სან ანტონიო-შარლოტი
დენვერი-ბოსტონი
იუტა-გოლდენ სტეიტი
პორტლენდი-საკრამენტო
სიეტლი-მემფისი
ლეიკერსი-ატლანტა

**20 თებერვალი**
ინდიანა-კლივლენდი
ტორონტო-ორლანდო
ნიუ ჯერსი-ჩიკაგო
ნიუ ორლეანი-დალასი
მილუოკი-დეტროიტი
ფინიქსი-ლეიკერსი
საკრამენტო-ატლანტა
გოლდენ სტეიტი-ბოსტონი
კლიპერსი-მემფისი
ფილადელფია-ნიუ იორკი

**21 თებერვალი**
მინესოტა-სან ანტონიო
ჰიუსტონი-მაიამი
პორტლენდი-სიეტლი

**22 თებერვალი**
ინდიანა-ნიუ ჯერსი
[illegible]-ფილადელფია
შარლოტი-საკრამენტო
კლივლენდი-ვაშინგტონი
ნიუ იორკი-ტორონტო
ნიუ ორლეანი-ჰიუსტონი
ჩიკაგო-დენვერი
დეტროიტი-მილუოკი
მემფისი-დალასი
გოლდენ სტეიტი-ატლანტა
კლიპერსი-იუტა
ფინიქსი-ბოსტონი
სიეტლი-პორტლენდი

**23 თებერვალი**
ვაშინგტონი-შარლოტი
მაიამი-ფილადელფია
ნიუ ჯერსი-ინდიანა
მილუოკი-დენვერი
სან ანტონიო-ნიუ ორლეანი
იუტა-ატლანტა
კლიპერსი-ლეიკერსი

**24 თებერვალი**
პორტლენდი-ბოსტონი
ჰიუსტონი-ჩიკაგო
მინესოტა-დალასი
ფინიქსი-დეტროიტი
სიეტლი-ლეიკერსი
კლივლენდი-მემფისი
ტორონტო-ნიუ იორკი
ორლანდო-საკრამენტო

**25 თებერვალი**
ინდიანა-ტორონტო
ნიუ ორლეანი-ვაშინგტონი
დალასი-ჩიკაგო
სან ანტონიო-ატლანტა
დენვერი-დეტროიტი
კლიპერსი-ბოსტონი

**26 თებერვალი**
მაიამი-საკრამენტო
ნიუ ჯერსი-ორლანდო
მილუოკი-კლივლენდი
მინესოტა-იუტა
მემფისი-ფინიქსი
ჰიუსტონი-ვაშინგტონი
გოლდენ სტეიტი-სიეტლი
ლეიკერსი-პორტლენდი

**27 თებერვალი**
ატლანტა-საკრამენტო
ინდიანა-ჩიკაგო
ფილადელფია-ორლანდო
ტორონტო-მინესოტა
ბოსტონი-კლივლენდი
ნიუ იორკი-შარლოტი
ნიუ ორლეანი-ფინიქსი
იუტა-დეტროიტი
სიეტლი-დენვერი
კლიპერსი-პორტლენდი

**28 თებერვალი**
ნიუ ჯერსი-მილუოკი
სან ანტონიო-დალასი
ლეიკერსი-მაიამი

**29 თებერვალი**
ტორონტო-ინდიანა
ატლანტა-ნიუ იორკი
ბოსტონი-შარლოტი
კლივლენდი-მინესოტა
ნიუ ორლეანი-იუტა
ჩიკაგო-ვაშინგტონი
დალასი-საკრამენტო
ჰიუსტონი-მემფისი
დენვერი-კლიპერსი
გოლდენ სტეიტი-ფილადელფია
პორტლენდი-ლეიკერსი
სიეტლი-მაიამი

ჩოგბურთი

## მარეი დევისის თასს გამოაკლდა

გუშინდელ ნომერში დევისის თასის მერვედფინალური ეტაპის მონაწილეთა ოფიციალური განაცხადები გაგაცანით, მაგრამ ერთ-ერთი გუნდის შემადგენლობამ გუშინ განიცადა ცვლილება. თავისი ლიდერის გარეშე დარჩა ბრიტანეთის ნაკრები - ამ გუნდს არგენტინაში ვერ გაჰყვება **ენდი მარეი**.

ამ დანაკლისის შემდეგ, ბრიტანეთს არგენტინის დამარცხების მინიმალური შანსი რჩება, მით უმეტეს, რომ სამხრეთამერიკელები თავიანთ საყვარელ საფარზე - თიხნარზე ითამაშებენ. შეგახსენებთ, რომ ბრიტანელები ოთხწლიანი შესვენების შემდეგ მოხვდნენ დევისის თასის მსოფლიო ჯგუფში.

მარეის უარი მარჯვენა მუხლის ტრავმით არის გამოწვეული. ჩოგბურთელს ეშინია, მომქანცველ თამაშებში ეს დაზიანება კიდევ უფრო არ გაიმიზეზოს. *"ძალიან ნაწყენი ვარ. მიყვარს ჩემი ქვეყნის სახელით თამაში, მაგრამ ამჯერად ამის საშუალება არ მეძლევა"*, - განაცხადა ენდიმ.

არგენტინისა და ბრიტანეთის მატჩი, ისევე როგორც სხვა მერვედფინალები 8-10 თებერვალს გაიმართება.

ჰოკეი

## ფანოფი კალგარიში რჩება

"კალგარი ფლეიმზის" ხელმძღვანელობამ, როგორც იქნა მიაღწია შეთანხმებას თავის ნამყვან მცველთან, **დიონ ფანოფთან**, რომელიც ამ ზაფხულს თავისუფალი აგენტი ხდება.

მომავალი ხელშეკრულების ვადა არ დასახელებულა. არაოფიციალური ინფორმაციით, კონტრაქტს ხელი უახლოეს მომავალში მოეწერება და ფანოფის წლიური ხელფასი 6.5 მილიონი დოლარი იქნება.

ავტოსპორტი

## დაკარი 2008 მაინც ჩატარდება?

როგორც ცნობილია, წელს არ გაიმართა საქვეყნოდ ცნობილი რალი-რეიდი "დაკარი". რბოლის ორგანიზატორებმა მავრიტანიის ტერიტორიაზე მოსალოდნელი ტერაქტების გამო გააუქმეს წლევანდელი რალი-რეიდი.

გერმანული ვებ-გვერდი Motorsport Total იუწყება, რომ "დაკარის" ორგანიზატორი, კომპანია A.S.O. მაინც აპირებს წელს, ერთგვარი "მანუგეშებელი" რალი-რეიდის ჩატარებას, რომელიც აღმოსავლეთი ევროპის ტერიტორიაზე გაივლის. თუ ეს ინფორმაცია სარწმუნოა, რბოლა 19 აპრილს აიღებს სტარტს და 26 აპრილს დასრულდება. მრბოლელებს უნგრეთისა და რუმინეთის ტერიტორიაზე მოუწევთ ასპარეზობა. Motorsport Total-ის ცნობით, ორგანიზატორებმა უკვე გაუგზავნეს მიწვევები ყველა იმ გუნდს, რომლებიც წლევანდელ "დაკარიში" აპირებდნენ მონაწილეობის მიღებას.

ამ სიახლესთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი ჯერ არ გავრცელებულა.

## NBA. რეგულარული

**იუტა-ნიუ იორკი 100:89**
26:18, 25:22, 29:28, 20:21

**იუტა:** დ. უილიამსი (22 ქ. 12 პ. 2 ჩ), ბუზერი (17 ქ. 9 მ), მილსეპი (15 ქ. 5 მ. 2 დ), ოქური (12 ქ. 11 მ. 3 ჩ), კირილენკო (11 ქ. 4 მ. 3 ჩ), რ. ბრიუერი (10 ქ. 4 მ. 3 პ. 2 ჩ. 2 დ).

**ნიუ იორკი:** ჯ. კროუფორდი (26 ქ. 9 პ. 3 მ), ზ. რენდოლფი (23 ქ. 8 მ. 2 ჩ. 2 პ), ლი (14 ქ. 12 მ), ჯეფრიზი (10 ქ. 5 მ).

**ორლანდო-მაიამი 107:91**
30:25, 33:27, 20:24, 24:15

**ორლანდო:** თურქოღლუ (27 ქ. 12 მ. 5 პ), რ. ლიუისი (19 ქ. 8 მ), დ. ჰოვარდი (16 ქ. 13 მ. 4 დ), მ. ევანსი (13 ქ. 4 მ).

**მაიამი:** რ. დევისი (21 ქ. 5 მ. 4 პ), ლ. ჯექსონი (14 ქ. 6 მ), ქვინი (14 ქ), დ. რაიტი (12 ქ. 8 მ), ჯეისონ უილიამსი (11 ქ. 8 პ. 2 ჩ), ბლაუნტი (10 ქ. 2 ჩ).

**მინესოტა-ჩიკაგო 83:67**
8:14, 25:20, 30:18, 20:15

**მინესოტა:** ე. ჯეფერსონი (26 ქ. 20 მ. 2 დ), გომესი (25 ქ. 10 მ. 3 ჩ), ტელფეირი (7 ქ. 10 პ).

**ჩიკაგო:** ჰაინრიხი (14 ქ. 9 პ), სეფოლოშა (14 ქ. 8 მ. 4 დ), ნოა (10 ქ. 8 მ), ბ. უოლასი (5 ქ. 8 მ. 3 ჩ. 2 დ).

**ტორონტო-ვაშინგტონი 122:83**
28:23, 33:18, 34:23, 27:19

**ტორონტო:** ბარნიანი (19 ქ. 3 პ), ბოში (16 ქ. 4 მ. 3 დ), ე. პარკერი (15 ქ. 2 ჩ), დიქსონი (12 ქ. 5 პ. 4 ჩ), კალდერონი (11 ქ. 11 პ), დელფინო (11 ქ. 4 მ. 3 პ), ნესტეროვიჩი (9 ქ. 8 მ).

**ვაშინგტონი:** სტივენსონი (16 ქ. 5 მ. 4 პ), რ. მეისონი (14 ქ), ბლატჩე (12 ქ. 7 მ. 3 ჩ), ჯეიმისონი (11 ქ. 4 მ).

**საკრამენტო-შარლოტი 105:91**
28:27, 27:25, 29:16, 21:23

**საკრამენტო:** ბ. მილერი (22 ქ. 21 მ. 5 პ. 3 დ), კევინ მარტინი (22 ქ. 5 მ. 4 პ), არტესტი (21 ქ. 5 მ. 3 პ. 3 ჩ), მური (11 ქ. 8 მ. 4 დ), ბიბი (10 ქ. 7 პ).

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (25 ქ. 6 მ. 5 პ. 3 ჩ), ფელტონი (16 ქ. 7 პ. 3 ჩ), ოკაფორი (13 ქ. 15 მ), ჯ. რიჩარდსონი (11 ქ. 5 მ. 3 დ. 2 ჩ).

**კლიპერსი-ატლანტა 95:88**
20:21, 28:20, 26:20, 21:27

**კლიპერსი:** ტორნტონი (33 ქ. 2 დ), ტიმ ტომასი (14 ქ. 9 მ. 4 პ. 2 ჩ), კასელი (14 ქ. 5 პ. 4 მ), როსი (12 ქ. 5 მ), მობლი (12 ქ. 5 მ. 5 პ).

**ატლანტა:** ჯოშ სმიტი (21 ქ. 10 მ. 8 პ. 3 ჩ), ჯო ჯონსონი (17 ქ. 5 მ. 4 პ), ჰორფორდი (14 ქ. 10 მ), ჩილდრესი (14 ქ. 4 მ. 3 დ. 2 ჩ. 2 პ), მერვინ უილიამსი (11 ქ), ზაზა ფაჩულია (უქულოდ, 4 მ. 1 ჩ. 1 დ).

**პორტლენდი-კლივლენდი 83:84**
29:20, 19:22, 20:20, 15:22

**პორტლენდი:** როი (16 ქ. 8 პ. 7 მ), ოლდრიჯი (16 ქ. 9 მ), ტ. აუთლო (13 ქ), ს. ბლეიკი (10 ქ. 4 მ. 4 პ), პრჟიბილა (9 ქ. 9 მ. 4 დ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (37 ქ. 14 მ. 4 პ. 2 ჩ. 2 დ), ილგაუსკასი (7 ქ. 13 მ. 3 პ. 2 ჩ).

**მემფისი-დენვერი 102:106**
29:22, 23:32, 26:19, 24:33

**მემფისი:** გეი (30 ქ. 10 მ. 3 პ. 2 ჩ), მ. მილერი (22 ქ. 9 მ. 3 პ), ლოური (19 ქ. 4 მ. 2 ჩ), მილიჩიჩი (14 ქ. 16 მ. 5 დ).

**დენვერი:** აივერსონი (32 ქ. 12 პ. 4 ჩ), ე. კარტერი (18 ქ. 5 მ. 4 პ. 2 ჩ), კლეიზა (15 ქ), კემბი (13 ქ. 19 მ. 5 დ. 2 ჩ), ნახერა (11 ქ).

**ნიუ ორლეანი-გ. სტეიტი 103:116**
26:32, 28:26, 31:32, 18:26

**ნიუ ორლეანი:** პოლი (28 ქ. 12 პ. 2 ჩ), დევიდ უესტი (24 ქ. 13 მ. 5 დ. 4 პ), სტოიაკოვიჩი (20 ქ. 10 მ. 2 პ), ჩენდლერი (11 ქ. 14 მ), პარგო (11 ქ. 6 პ. 2 ჩ).

**გოლდენ სტეიტი:** ს. ჯექსონი (26 ქ. 3 პ), ბ. დევისი (23 ქ. 9 პ), მ. ბარნსი (17 ქ. 6 მ. 2 დ), მ. ელისი (16 ქ. 9 მ. 7 პ), ბიედრინსი (14 ქ. 7 მ. 2 დ), ე. ჰარინგტონი (13 ქ. 5 მ).

**ფილადელფია-მილუოკი 112:69**
27:18, 24:14, 26:15, 35:22

**ფილადელფია:** იგუოდალა (18 ქ. 6 მ. 5 პ. 2 ჩ. 2 დ), ტ. იანგი (14 ქ. 8 მ), ა. მილერი (14 ქ. 7 პ), რ. ევანსი (13 ქ. 9 მ), დალემბერი (12 ქ. 6 მ), კარნი (12 ქ. 5 მ).

**მილუოკი:** აივი (17 ქ. 6 მ), მო უილიამსი (14 ქ), ვილიანოვა (10 ქ. 5 მ).

# ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ატლანტა-პიტსბურგი 4:1**

2:0, 0:0, 2:1

გოლები: 1:0 ჰოლიკი-9 (ტორბურნი-4, ბულტონი-3), 2:0 კოვალჩუკი-38 (მაკარტი-5, მარიან ჰოსა-24), 3:0 პერენი-9, 4:0 სლეიტერი-1 (რეკი-20), 4:1 რაიან უიტნი-9 (კრისტენსენი-10, ტელბოტი-7).

**ფლორიდა-ბაფალო 0:1**

0:0, 0:1, 0:0

გოლი: 0:1 ვანეკი-14 (პომინვილი-30, დ. რუა-21).

**დეტროიტი-ფინიქსი 3:2**

1:1, 0:1, 2:0

გოლები: 1:0 ზეტერბერგი-29 (დაცუკი-42, ლიდსტრიომი-42), 1:1 ჰანჯალი-6 (ვინიკი-9), 1:2 ჟოვანოვსკი-7 (ერბატა-18, რაინპრეხტი-20), 2:2 ჰოლმსტრიომი-20 (ლიდსტრიომი-43, დაცუკი-43), 3:2 ლიდსტრიომი-6 (ჩელიოსი-7, დაცუკი-44).

**მინესოტა-ანაჰაიმი 5:1**

0:0, 4:1, 1:0

გოლები: 1:0 როლსტონი-18 (ბუშარი-33, ბელანჟე-21), 2:0 გაბორიკი-26 (ბერიში-11, კარნი-5), 3:0 მ. კოივუ-8 (დემიტრა-20, სკოულა-6), 3:1 პერი-27 (კუნიტცი-17, შნაიდერი-18), 4:1 ბუშარი-11 (როლსტონი-19), 5:1 შეპარდი-4 (ბერნსი-19, დემიტრა-21).

**კოლორადო-ჩიკაგო 6:3**

3:0, 1:1, 2:2

გოლები: 1:0 ჰეიდუკი-18 (ჰენსიკი-3), 2:0 სვატოსი-21 (არნასონი-12, ვოლსკი-17), 3:0 რიჩარდსონი-2 (გიტი-10, ბ. კლარკი-13), 3:1 ლანგი-17 (ვიშნიევსკი-8, ჰავლატი-12), 4:1 ბრუნეტი-11 (ჰეიდუკი-19, სვატოსი-5), 5:1 არნასონი-5 (ლაილსი-17, ლეოპოლდი-4), 6:1 სვატოსი-22 (არნასონი-13, ვოლსკი-18), 6:2 ი. პერო-5, 6:3 ი. პერო-6 (ბერიში-4, სოპელი-13).

**კალგარი-სან ხოსე 5:4**

0:1, 3:0, 2:3

გოლები: 0:1 მარლო-9 (ოზოლინში-10, ნაბოკოვი-1), 1:1 ნოლანი-10 (ტანგეი-28, კონროი-17), 2:1 უ. პრიმო-1 (ბოიდი-4), 3:1 ფანოფი-7 (ა. ოკუანი-17, იგინლა-32), 4:1 ნოლანი-11, 4:2 პლიჰალი-1 (ბერნიე-9, ოზოლინში-11), 5:2 ნოლანი-12 (ტანგეი-29, კონროი-18), 5:3 რისმილერი-6 (გრირი-9), 5:4 ჩიჩუ-10 (მ. მიხალეკი-16, რიონიკი-10).

### ტურის მოვლენები

- "ატლანტამ" შეწყვიტა ხუთმატჩიანი წაგებათა სერია.

- "ტრეშერზის" ბომბარდირმა **ილია კოვალჩუკმა** 38-ე გოლი გაიტანა სეზონში. მანამდე, რეგულარულის ერთ-ერთ საუკეთესო სნაიპერს 5 მატჩი ვერ გაჰქონდა გოლი და ბოლო ოთხ მატჩში ქულაც ვერ მოიხვეჭა.

- კოვალჩუკმა მეორე პერიოდში **იარკკო რუუტუსთან** ორთაბრძოლისას მუხლის ტრავმა მიიღო და შესაძლოა ხანგრძლივი დროით გამოაკლდეს თავის გუნდს.

■ ■ ■

- "ბაფალოს" გამარჯვება რიცხობრივ უპირატესობაში გატანილმა ერთადერთმა შაიბამ მოუტანა. ამ გოლამდე, "სეიბრზმა" ზედიზედ 39-ჯერ (!) ვერ შეძლო ზედმეტი ჰოკეისტის გათამაშება (ეს უიღბლო სერია 22 დეკემბერს დაიწყო).

- "ბაფალოს" მეკარემ **რაიან მილერმა** 32 დარტყმა მოიგერია და სეზონში მეორე შატაუტი შეასრულა (პირველი 11 ოქტომბერს, "ატლანტასთან" მატჩში). გაცილებით მეტი სამუშაო ჰქონდა "ფლორიდას" გოლკიპერს, **ტომაშ ვოკოუნს** - მან 40 დარტყმა მოიგერია.

- "ფლორიდას" ფორვარდმა **სტივენ უეისმა** NHL-ში მე-300 მატჩი ჩაატარა.

■ ■ ■

- რეგულარული ჩემპიონატის ლიდერმა, "დეტროიტ რედ უინგზმა" ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგო.

- ამ სეზონში "ფინიქსმა" მეოთხედ წააგო "დეტროიტთან" ისე, რომ მატჩის მსვლელობისას უგებდა მეტოქეს.

■ ■ ■

- "მინესოტამ" ბოლო 4 მატჩში მესამედ, ხოლო 9 შეხვედრაში კი, მეექვსედ მოიგო.

- სტენლის თასის მფლობელმა "ანაჰაიმმა" ზედიზედ მეოთხე მატჩი წააგო. ამ სერიამდე გუნდს, ზედიზედ ექვსი მოგება ჰქონდა.

- ბოლო ტურებში ცუდ ფორმაში იმყოფებოდა "ანაჰაიმის" მეკარე **ჟან-სებასტიან ჟიგერი**. მან ბოლო ოთხი თამაში წააგო და ამ მატჩებში საშუალოდ 4.77 შაიბა გაუშვა.

- ამ სეზონში "ანაჰაიმმა" 21-ე მატჩი წააგო, ერთით მეტი, ვიდრე მთლიანად გასულ ჩემპიონატში.

■ ■ ■

- "კოლორადომ" სამი ლიდერის - **პოლ შჩასტნის, რაიან სმიტისა** და **ჯო საკიკის** გარეშე ითამაშა.

- "ჩიკაგოს" მეკარემ **ნიკოლაი ხაბიბულინს** 26 დეკემბრის შემდეგ არ მოუგია მატჩი.

■ ■ ■

- "კალგარის" ვეტერანმა **ოუენ ნოლანმა** 1999 წლის 4 ოქტომბრის შემდეგ, პირველი ჰეთ-თრიკი შეასრულა. ფორვარდმა კარიერაში 11-ედ გაიტანა მატჩში სამი გოლი.

- ნოლანს სეზონში მხოლოდ 12 გოლი აქვს, თუმცა ბოლო ექვს მატჩში 5 შაიბა გაიტანა.

- "კალგარიმ" ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო.

- "ფლეიმზის" ბომბარდირი და კაპიტანი **ჯერომ იგინლა** რვა შეხვედრაა ვერ იტანს გოლს.



## NHL. თებერვლის კალენდარი

**1 თებერვალი**
- ნიუ ჯერსი-რეინჯერსი
- ატლანტა-ბაფალო
- ფლორიდა-ვანკუვერი
- დეტროიტი-კოლორადო
- სენტ ლუისი-ანაჰაიმი
- ედმონტონი-დალასი

**2 თებერვალი**
- მონრეალი-აილენდერსი
- ბოსტონი-დეტროიტი
- ტორონტო-ოტავა
- ნიუ ჯერსი-ლოს ანჯელესი
- ფილადელფია-ანაჰაიმი
- ვაშინგტონი-ატლანტა
- კოლამბუსი-მინესოტა
- პიტსბურგი-კაროლინა
- ტამპა ბეი-ფლორიდა
- ნეშვილი-ფინიქსი
- სენტ ლუისი-კოლორადო
- კალგარი-დალასი
- სან ხოსე-ჩიკაგო

**3 თებერვალი**
- მონრეალი-რეინჯერსი

**4 თებერვალი**
- ნიუ ჯერსი-პიტსბურგი
- კოლორადო-ფინიქსი
- ედმონტონი-კალგარი

**5 თებერვალი**
- ბოსტონი-ბაფალო
- აილენდერსი-ანაჰაიმი
- რეინჯერსი-ლოს ანჯელესი
- ატლანტა-ფილადელფია
- კოლამბუსი-ვაშინგტონი
- ტორონტო-ფლორიდა
- მონრეალი-ოტავა
- ნეშვილი-კაროლინა
- მინესოტა-დეტროიტი
- სენტ ლუისი-ტამპა ბეი
- დალასი-ვანკუვერი
- კალგარი-ფინიქსი

**6 თებერვალი**
- ბაფალო-ნიუ ჯერსი
- ფილადელფია-ვაშინგტონი
- ედმონტონი-ჩიკაგო
- სან ხოსე-კოლორადო

**7 თებერვალი**
- რეინჯერსი-ანაჰაიმი
- ატლანტა-ვანკუვერი
- მონრეალი-ტორონტო
- ოტავა-ფლორიდა
- პიტსბურგი-აილენდერსი
- [illegible]

**8 თებერვალი**
- ნიუ ჯერსი-ანაჰაიმი
- ვაშინგტონი-კაროლინა
- ბაფალო-ბოსტონი
- სან ხოსე-კოლამბუსი

**9 თებერვალი**
- ფილადელფია-რეინჯერსი
- პიტსბურგი-ლოს ანჯელესი
- ტორონტო-დეტროიტი
- მინესოტა-აილენდერსი
- კალგარი-ედმონტონი
- ბოსტონი-ფლორიდა
- ოტავა-მონრეალი
- ნიუ ჯერსი-კაროლინა
- ატლანტა-ტამპა ბეი
- დალასი-სენტ ლუისი
- ვანკუვერი-კოლორადო
- სან ხოსე-ნეშვილი

**10 თებერვალი**
- პიტსბურგი-ფილადელფია
- ვაშინგტონი-რეინჯერსი
- დეტროიტი-ანაჰაიმი
- სენტ ლუისი-მინესოტა
- კოლამბუსი-ლოს ანჯელესი
- ბაფალო-ფლორიდა
- ფინიქსი-ნეშვილი
- ვანკუვერი-ჩიკაგო

**11 თებერვალი**
- დალასი-ფინიქსი

12 თებერვალი
- ბოსტონი-კაროლინა
- აილენდერსი-ფილადელფია
- ოტავა-ბაფალო
- ტამპა ბეი-მონრეალი
- ნეშვილი-დეტროიტი
- სენტ ლუისი-ლოს ანჯელესი
- კოლორადო-ანაჰაიმი
- ედმონტონი-მინესოტა
- სან ხოსე-კალგარი

**13 თებერვალი**
- ბაფალო-ტორონტო
- ნიუ ჯერსი-ოტავა
- ატლანტა-ვაშინგტონი
- კოლამბუსი-ჩიკაგო
- პიტსბურგი-ბოსტონი
- ფლორიდა-მონრეალი

**14 თებერვალი**
- ფილადელფია-ტამპა ბეი
- კაროლინა-პიტსბურგი
- ტორონტო-აილენდერსი
- ნეშვილი-ჩიკაგო
- კოლორადო-სენტ ლუისი
- ფინიქსი-დალასი
- ვანკუვერი-მინესოტა

**15 თებერვალი**
- ნიუ ჯერსი-ატლანტა
- ფლორიდა-ვაშინგტონი
- დეტროიტი-კოლამბუსი
- ანაჰაიმი-დალასი
- ლოს ანჯელესი-კალგარი

**16 თებერვალი**
- რეინჯერსი-ბაფალო
- ტორონტო-ბოსტონი
- მონრეალი-ფილადელფია
- ოტავა-ნიუ ჯერსი
- აილენდერსი-ატლანტა
- კაროლინა-ფლორიდა
- ტამპა ბეი-ვაშინგტონი
- ნეშვილი-სენტ ლუისი
- ფინიქსი-ლოს ანჯელესი
- ვანკუვერი-ედმონტონი

**17 თებერვალი**
- ჩიკაგო-კოლორადო
- დალასი-დეტროიტი
- ბაფალო-პიტსბურგი
- რეინჯერსი-სან ხოსე
- სენტ ლუისი-კოლამბუსი
- ფილადელფია-მონრეალი
- ანაჰაიმი-კალგარი
- მინესოტა-ნეშვილი

**18 თებერვალი**
- ნიუ ჯერსი-კაროლინა
- აილენდერსი-სან ხოსე
- კოლორადო-დეტროიტი
- ლოს ანჯელესი-ფინიქსი

**19 თებერვალი**
- კაროლინა-ბოსტონი
- ტორონტო-კოლამბუსი
- მონრეალი-რეინჯერსი
- ოტავა-ფილადელფია
- პიტსბურგი-ფლორიდა
- ნეშვილი-ედმონტონი
- მინესოტა-ვანკუვერი
- სენტ ლუისი-ჩიკაგო
- ფინიქსი-კალგარი

**20 თებერვალი**
- ბაფალო-ტამპა ბეი
- ნიუ ჯერსი-სან ხოსე
- ვაშინგტონი-აილენდერსი
- ჩიკაგო-მინესოტა
- დალასი-კალგარი
- ანაჰაიმი-კოლორადო

**21 თებერვალი**
- აილენდერსი-ტამპა ბეი
- ფილადელფია-სან ხოსე
- კაროლინა-ატლანტა
- ტორონტო-ბაფალო
- მონრეალი-პიტსბურგი
- ოტავა-კოლამბუსი
- ფლორიდა-ბოსტონი
- ნეშვილი-ვანკუვერი
- [illegible]

**22 თებერვალი**
- [illegible]
- ფინიქსი-კოლორადო
- ანაჰაიმი-სენტ ლუისი

**23 თებერვალი**
- ნიუ ჯერსი-აილენდერსი
- პიტსბურგი-ოტავა
- ლოს ანჯელესი-ჩიკაგო
- კაროლინა-ვაშინგტონი
- ბაფალო-რეინჯერსი
- ტორონტო-ატლანტა
- მონრეალი-კოლამბუსი
- ფილადელფია-ფლორიდა
- ტამპა ბეი-ბოსტონი
- ნეშვილი-დალასი
- ვანკუვერი-დეტროიტი

**24 თებერვალი**
- მინესოტა-კალგარი
- პიტსბურგი-სან ხოსე
- ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი
- რეინჯერსი-ფლორიდა
- ანაჰაიმი-ჩიკაგო
- ედმონტონი-კოლორადო
- ფინიქსი-სენტ ლუისი

**25 თებერვალი**
- ბაფალო-ფილადელფია
- ოტავა-ტორონტო

**26 თებერვალი**
- ბოსტონი-ოტავა
- აილენდერსი-პიტსბურგი
- ვაშინგტონი-მინესოტა
- კაროლინა-ნიუ ჯერსი
- მონრეალი-ატლანტა
- სენტ ლუისი-დალასი
- კალგარი-კოლორადო
- ედმონტონი-დეტროიტი

**27 თებერვალი**
- ბაფალო-ნეშვილი
- კოლამბუსი-სან ხოსე
- ტამპა ბეი-მინესოტა
- ფლორიდა-ტორონტო
- ჩიკაგო-ფინიქსი
- ვანკუვერი-კოლორადო

**28 თებერვალი**
- ბოსტონი-პიტსბურგი
- ფილადელფია-ოტავა
- კაროლინა-რეინჯერსი
- ატლანტა-აილენდერსი
- სენტ ლუისი-ფინიქსი
- დალასი-ჩიკაგო
- ედმონტონი-ლოს ანჯელესი

**29 თებერვალი**
- ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი
- ბაფალო-მონრეალი
- ფლორიდა-მინესოტა
- [illegible]

# TV სპორტი

## 1 თებერვალი. პარასკევი

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 უიქენდის მატჩების ანონსი.
13:25 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-ვილიარეალი.
15:15 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედ-პორტსმუთი.
17:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:20 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-ალკმაარი.
20:10 ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ლივერპული.
22:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:25 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:25 გერმანიის ჩემპიონატი. ჰანზა-ბაიერნი (LIVE).
01:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:40 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.

### SPORT 1 (უკრაინა)

08:30 ბილია. ჩემპიონთა თამაშები.
09:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. XIV ტური. ფენერბაჰჩე-პარტიზანი.
11:50 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
12:20 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. XIV ტური. არისი-მაკაბი.
13:55 ბილია. ჩემპიონთა თამაშები.
14:25 ფეხბურთი. Barca TV.
14:32 ფეხბურთი. ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-ვილიარეალი.
16:18 სპორტკლუბი.
16:50 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
17:15 ფეხბურთი. Barca TV.
17:22 ფეხბურთი. პირველი არხის თასი. ფინალი. შახტარი-დინამო (კ).
19:07 ფეხბურთი. Barca TV.
19:13 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-რეინჯერსი.
21:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
21:15 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:40 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტურის მიმოხილვა.
22:10 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:25 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
22:52 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:15 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:30 გერმანიის ჩემპიონატი. ჰანზა-ბაიერნი (LIVE).
01:25 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
01:40 პროფესიული კრივი. რინგ-საიდი.
02:43 ფეხბურთი. Barca TV.
02:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
03:47 სპორტის ისტორია.
04:01 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
04:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-კოლორადო (LIVE).
07:08 ფეხბურთი. Barca TV.
07:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. XIV ტური. არისი-მაკაბი.
08:48 სპორტის ისტორია.

### EUROSPORT

11:30 ციგაობა. ევროპის ჩემპიონატი. ტურინი. იტალია.
12:00 ციგაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ობერჰოფი. გერმანია.
13:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. იუნიორები. მამაკაცები. ესტაფეტა. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
14:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
16:30 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. იუნიორები. მამაკაცები. ესტაფეტა. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
18:00 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. იუნიორები. მამაკაცები. ესტაფეტა. რუპოლდინგი. გერმანია.
19:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. იუნიორები. მამაკაცები. ესტაფეტა. რუპოლდინგი. გერმანია.
22:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
23:30 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ნორვეგიის გრან-პრი.
00:30 ტიმბერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია.
01:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. მიმოხილვა.
02:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
02:15 ექსტრემალური სპორტი.
02:45 რესტლინგი.
03:30 ბიატლონი. მსოფლიო ჩემპიონატი. იუნიორები. მამაკაცები. ესტაფეტა. რუპოლდინგი. გერმანია.

### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
14:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მარსელი. საფრანგეთი.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
18:00 ფეხბურთი. ამხანაგური ტურნირი. ფინალი. ესპანეთი.
19:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მონტე კარლო.
20:00 ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. მარსელი. საფრანგეთი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასი. ავსტრია.
22:00 ფრისტაილი. მსოფლიო თასი. საფრანგეთი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
23:15 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. VIII ტური. პერპინიანი-მონტობანი (LIVE).
01:15 ფეხბურთი. ამხანაგური ტურნირი. ფინალი. ესპანეთი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
03:15 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### აფრიკის თასი

#### D ჯგუფი

**სენეგალი-ს. აფრიკა 1:1**

სენეგალი: კუნდული, ლ. დიატა, ს. დიავარა, ა. ფეიე, ი. ფეიე, ბა, დიოპი, სალი, ა. კამარა, დ. კამარა, ნიანგი.

ს. აფრიკა: ჯოზეფი, მასილელა, მუნი, მორისი, დიკგაჩოი, მოდისე, ა. მოკოენა, ჩაბალალა, ვან ჰეერდენი, მორირი, ზუმა.

გოლები: 0:1 ვან ჰეერდენი (14), 1:1 ა. კამარა (37)

მაყურებელი: 9 000

**ტუნისი-ანგოლა 0:0**

ტუნისი: ქასრაუი, ბენ ფრეჯი, ჰაგი, ჟაიდი (74. ფელჰი), მიკარი, მნარი, ნაფთი, ზაიემი (67. ბენ დიფალაჰი), ზუაგი, შერმიტი, ჟემაა (80. შიხაუი).

ანგოლა: ლამა, აიროსა (60. ლოკო), კალი, რუი მარკეში, აშა, ჟილბერტო, მაკანგა, მენდონკა, ზე კალანგა, ალბერტო მანუშო, მაურიტო (59. მატეუში).

მაყურებელი: 14 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტუნისი | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| 2. ანგოლა | 3 | 1 | 2 | 0 | 4-2 | 5 |
| 3. სენეგალი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-6 | 2 |
| 4. ს. აფრიკა | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |

### ინგლისი

#### კონფერენსი

| | |
|---|---|
| ალტრინჩემი-უოკინგი | 2:2 |

### ესპანეთის თასი

#### 1/4 ფინალი. II მატჩები

| | |
|---|---|
| ბილბაო-რასინგი | 3:3 (0:2) |
| ბარსელონა-ვილიარეალი | 1:0 (0:0) |

### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| იორდანია-სინგაპური | 2:1 |
| საამიროები-ერაყი | 0:1 |
| რაპიდ-ვიენი | 5:1 |
| მიდტიულანდი-ატალანტა | 0:1 |
| ლოკომოტივი-ცსკა (მ) | 0:0, პენ. 2:3 |
| შახტარი-დინამო (კ) | 1:1, პენ. 2:3 |

## კალათბურთი

### ევროლიგა

| | |
|---|---|
| ბამბერგი-ბარსელონა | 65:69 |
| რეალი-პანათინაიკოსი | 95:87 (ო) |
| რომა-რუანი | 67:74 |
| ფენერბაჰჩე-პარტიზანი | 86:91 |
| არისი-მაკაბი | 94:101 (ო) |
| მილანი-ლე მანი | 63:83 |
| უნიკახა-ეფესი | 87:77 |
| ციბონა-ლეტუვოს რიტასი | 79:86 |

## ჰოკეი

### გერმანია

| | |
|---|---|
| ჰამბურგი-კრეფელდი | 5:6 |

### ფინეთი

| | |
|---|---|
| კაიპა-პელიკანსი | 2:2, დ.დ. 3:2 |
| საიპა-კერპეტი | 1:3 |
| ტაპარა-იუვესკიულა | 1:0 |
| ჰპკ-აიფკ | 2:2, პენ. 2:3 |
| ესპუ-ილვესი | 2:5 |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| კლადნო-ბუდეიოვიცე | 1:4 |

### შვედეთი

| | |
|---|---|
| აიკ-იურგორდენი | 5:1 |
| ბრიუნესი-მოდო | 2:4 |
| ლინჩოპინგი-ფროლუნდა | 2:2, დ.დ. 3:2 |
| სიოდერტალე-მორა | 2:2, დ.დ. 3:2 |
| ტიმრე-ფერიესტადი | 2:3 |
| ჰვ 71-ლულეა | 4:4, დ.დ. 5:4 |

## ჩოგბურთი

### ATP. ვინია დელ მარი

| | |
|---|---|
| როიტმანი-ვენტურა | 6:4, 3:6, 6:7 |
| ფონინი-მარერო | 6:4, 6:7, 6:3 |
| ორნა-ბერლოკი | 6:7, 6:3, 6:7 |

### ATP. ვროცლავი

| | |
|---|---|
| ბოლელი-მონკური | 7:5, 6:1 |
| ვლიეგენი-დე ვოესტი | 6:7, 6:3, 6:4 |
| შტეპანეკი-რეინოლდსი | 6:4, 7:6 |
| სტახოვსკი-იანოვიჩი | 6:3, 6:4 |
| მელცერი-გოლუბევი | 7:5, 7:6 |

ფორმულა 1

## კიდევ ერთი ინდური გუნდი?

ინდოეთის ტელესაკომუნიკაციო კომპანია Spice Group-ის წარმომადგენლებმა ოფიციალურად დაადასტურეს, რომ კრიზისში მყოფი იაპონური საჯინიბოს, "სუპერ აგურის" შეძენა სურთ. კომპანიის მფლობელების მიზანია, ფორმულა 1-ში დააბრუნონ ინდოელი პილოტი **ნარაიან კართიკეიანი.**

ინდური პრესის ინფორმაციით, კონსორციუმი, რომელშიც Spice Group შედის, იაპონურ მხარეს სიმბოლურ თანხას - 1 დოლარს შესთავაზებს. ამასთან, ინდოელები თავის თავზე იღებენ გუნდის 47-მილიონიანი ვალის დაფარვას. ისინი იმის გარანტიასაც იძლევიან, რომ **აგური სუძუკი** საჯინიბოს ხელმძღვანელად დარჩება.

Spice Group-ის აღმასრულებელი დირექტორი **ანდალიბ სეჰგალი** აცხადებს, რომ მხარეებს შეთანხმებისთვის ჯერ არ მიუღწევიათ. *"ჩვენ ორ გუნდთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს, ერთ-ერთი "სუპერ აგური" გახლავთ"*, - ამბობს სეჰგალი.

შეგახსენებთ, რომ წლევანდელ სეზონში დებიუტი ექნება ინდურ გუნდს - "ფორს ინდია", რომლის მფლობელია ინდოელი ბიზნესმენი **ვიჯაია მალია.**

## შუმისა და ბეკერის სახელობის კოშკები

საემიროების დედაქალაქ დუბაიში 29-სართულიანი კოშკი აშენდება, რომელსაც ფორმულა 1-ში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის, გერმანელი **მიხაელ შუმახერის** სახელი მიენიჭება. შუმი თავად ესწრებოდა მომავალი შენობის ფუნდამენტის ჩაყრის საზეიმო ცერემონიას.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა დუბაიში ამა თუ იმ შენობას ცნობილი სპორტსმენის სახელს არქმევენ. ამ ქალაქში უკვე არის ერთი კოშკი, რომელიც ასევე ლეგენდარული პილოტის, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ავსტრიელის **ნიკი ლაუდას** სახელს ატარებს. გარდა ამისა, სამ კვირაში დაიწყება კიდევ ერთი კოშკის მშენებლობა, რომელსაც მომავალში ლეგენდარული გერმანელი ჩოგბურთელის, **ბორის ბეკერის** საპატივცემულოდ მონათლავენ.

კალათბურთი

## სონიქსში ოკლაჰომაში გადავა?

NBA-ის კლუბ "სიეტლ სუპერსონიქსის" ქალაქ ოკლაჰომაში გადაბარგების საკითხს ივნისში განიხილავენ. თავდაპირველად, კლუბის მფლობელმა **ლეიტონ ბენეტმა** სასამართლოში მოითხოვა, რომ ამ საკითხის გარშემო მსჯელობა მარტში დაწყებულიყო, მაგრამ მოსამართლემ სხდომა 16 ივნისისთვის გადაიტანა.

შეგახსენებთ, "სუპერსონიქსის" მფლობელი ოკლაჰომაშია დაბადებული და ამის გამო, ის მაქსიმალურად მოკლე ვადაში ცდილობს გუნდი სიეტლიდან მშობლიურ ქალაქში გადაიყვანოს და 2008-09 წლების სეზონი ოკლაჰომაში დაიწყოს.

## რედიკს ორლანდოში არ უნდა

"ორლანდო მეჯიქის" მცველის, **ჯეი ჯეი რედიკის** აგენტმა კლუბის ხელმძღვანელობას მისი კლიენტის სხვა გუნდში გაშვება სთხოვა. კალათბურთელის მიზანია ისეთ გუნდში გააგრძელოს კარიერა, სადაც მას მეტი სათამაშო დრო ექნება. ამ სეზონში, რედიკი მოედანზე საშუალოდ 8 წუთს ატარებს.

*"უფრო მო ევანსსა და კეიტ ბოგანსს ვენდობი, რომლებიც უკეთესად მოქმედებენ დაცვაში და ფარქვეშ, ეს კი ის არის, რაც მე მჭირდება"*, - აცხადებს "ორლანდოს" მთავარი მწვრთნელი **სტენ ვან განდი.**

## დემონ სტაუდმაიერი სპურსში გადადის

როგორც ვიტყობინებოდით, რამდენიმე დღის წინ, "მემფის გრიზლისის" რიგები დატოვა გამოცდილმა მცველმა **დემონ სტაუდმაიერმა.** გუშინ, 12-წლიანი სტაჟის მქონე ვეტერანი თავისუფალი აგენტი გახდა, რადგან მისმა ან ყოფილმა კლუბმა კალათბურთელის კონტრაქტი გამოისყიდა. ახლა კი, ცნობილი ხდება, რომ დღეს, შესაძლოა სტაუდმაიერს ხელშეკრულება გაუფორმოს NBA-ის მოქმედმა ჩემპიონმა "სან ანტონიო სპურსმა".

სტაუდმაიერით "ბოსტონ სელტიქსიც" იყო დაინტერესებული, მაგრამ ბოლო მომენტში, თავად კალათბურთელმა "სან ანტონიოს" ვარიანტი აირჩია. მით უმეტეს" რომ "სპურსის" მთავარმა მწვრთნელმა **გრეგ პოპოვიჩმაც** ისურვა სტაუდმაიერის თავისი გუნდის რიგებში ხილვა.

## ბელკმენი უხეშობისთვის დაისაჯა

"ნიუ იორკ ნიქსის" თავდამსხმელმა **რენალდო ბელკმენმა** დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა "იუტა ჯაზთან" რეგულარულის მორიგი ტურის მატჩი.

NBA-ის სადისციპლინო კომიტეტმა ერთი შეხვედრით დასაჯა ფორვარდი, რომელმაც "ლოს ანჯელეს ლეიკერსთან" მატჩში, სახეში იდაყვი ჩაარტყა კალიფორნიელთა ლეგიონერს, **საშა ვუიაჩიჩს.**





ფორმულა 1. ინტერვიუ კიმი რაიკონენთან

# ნამდვილი ჩემპიონი მე ვარ და არა ლუისი

**ახლოვდება ფორმულა 1-ის ახალი სეზონი. გუნდები უკვე დიდი ხანია შეუდგნენ სატესტო სერიებს და ახალ მანქანებს ცდიან. წინა ნომრებში მომავალი სეზონის ორი ფავორიტის, ფერნანდო ალონსოსა ("რენო") და ლუის ჰემილტონის ("მაკლარენი") ინტერვიუები შემოგთავაზეთ. ახლა ჯერი მოქმედ მსოფლიო ჩემპიონ კიმი რაიკონენზეა. საინტერესოა ფინელი პილოტის ფიქრები "ფერარის" ახალ ბოლიდზე და მომავალ ჩემპიონატზე.**

**- თქვენი ტრიუმფიდან რამდენიმე თვე გავიდა. რამდენად შეცვალა ცხოვრება მსოფლიო ჩემპიონის ტიტულმა?**

- ამიერიდან ველარავინ მეტყვის: "ტრასაზე კარგად გამოიყურები, მაგრამ ჩემპიონი როდის გახდები?" ნებისმიერ შემთხვევაში, კარგია, როცა ტიტულის მფლობელი ხარ და მისი დაცვა გიწევს. ისე კი, სიმართლე გითხრათ, ჩემთვის სულერთია - ტიტულზე მონადირე ვარ თუ მისი დამცველი.

**- მიუხედავად იმისა, რომ 2007 წლის ტრიუმფატორი თქვენ გახდით, ფინეთის საუკეთესო სპორტსმენად სხვა დაასახელეს. გარდა ამისა, ინგლისელებმა წლის მრბოლელად ლუის ჰემილტონი აირჩიეს...**

- ჩემთვის აბსოლუტურად სულერთია, რომ ინგლისელებმა თავიანთ რჩეულად ჰემილტონი დაასახელეს. ნამდვილი ჩემპიონი მე ვარ და არა ლუისი.

**- იცით თუ არა, რომ მესამე პილოტი ხართ ისტორიაში, ვინც "ფერარიში" მისვლის შემდეგ, პირველივე რბოლა მოიგო? პირველად ეს ხუან-მანუელ ფანხიომ შეძლო 1956 წელს ბუენოს აირესში, შემდეგ ნაიჯელ მენსელმა - 1989 წელს რიო-დე-ჟანეიროში და ბოლოს, რაიკონენმა შარშან, მელბურნის ტრასაზე.**

- ამის შესახებ არ ვიცოდი. ვაღიარებ, რომ კარგად არ ვიცნობ ჩვენი სპორტის ისტორიას.

**- კარგით, მაშინ სხვა საკითხზე გადავიდეთ. რა იტყვით თქვენს ყოფილ შეფზე, "მაკლარენის" სპორტულ დირექტორ რონ დენისზე, რომელიც შარშან ჯაშუშურ სკანდალში გაეხვა, ბოლოს კი, სპორტული იმედგაცრუებაც ელოდა?**

- სხვებზე საუბარი და სხვის საქმეებში ჩარევა არ მიყვარს. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მის მიმართ ანტიპატია არ გამაჩნია.

**- ერთხელ, თქვენმა "ფერერის" შეფმა ჟან ტოდტმა განაცხადა, რომ რონ დენისი არ განეკუთვნება ისეთი ადამიანების რიცხვს, რომლებსაც გუნდში ლიდერის ფუნქციების შესრულება შეუძლიათ. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

- ყველას აქვს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, თუმცა ჟანს ჩემთან ამის შესახებ არ უსაუბრია.

**- "ფერარის" ახალ ბოლიდზე შეგეკითხებით. როგორ წარიმართა პირველი ტესტები? მართალია ის მოსაზრება, რომ კარგი პილოტი მანქანის პირველი გაცნობისთანავე აკეთებს დასკვნას - ვარგისია თუ არა ის?**

- ამ შემთხვევაში ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მართალია, ახალი მანქანით ბევრი წრე არ გამივლია, მაგრამ გაცნობისგან მიღებული შთაბეჭდილებებით კმაყოფილი დავრჩი.

**- ახალ სეზონში ტრექშნ-კონტროლი და სხვა ის მოწყობილობები, რომლებიც მრბოლელის ნაცვლად ბევრ სამუშაოს ასრულებდნენ, გაუქმებულია. გრძნობთ თუ არა ამ მხრივ სხვაობას?**

- რთულ სიტუაციებში, მაგალითად წვიმის დროს, ბოლიდის კონტროლირება უფრო რთული გახდა.

**- თქვენი თანაგუნდელი ფელიპე მასა აცხადებს, რომ ახლა გაცილებით რთულია მანქანის მართვა. ბრაზილიელი თვლის, რომ გასწრება იოლი იქნება, მაგრამ შეცდომები მოიმატებს. მასას გამოთვლებით, მხოლოდ ტესტების პირველ ორი კვირის განმავლობაში, საერთო ჯამში 34 ავარია მოხდა.**

- სავსებით შესაძლებელია, მაგრამ ტესტებიც სწორედ იმისთვის არსებობს, რომ სიახლეს შეეგუო.

**- პროფკავშირების ერთ-ერთი ლიდერი, დევიდ ქულთარდი თვლის, რომ წვიმის დროს, რბოლა საერთოდ უნდა აიკრძალოს, ამაზე ლეგენდარულმა ნიკი ლაუდამ განაცხადა: "ისინი ჭკუიდან შეიშალნენ. ადრე ელექტრომოწყობილობების გარეშე გამოვდიოდით ტრასაზე, მაგრამ არ ვწუწუნებდით. მე მგონი დღევანდელმა თაობამ მძღოლის კურსებზე უნდა იაროს". რას იტყვით ამაზე?**

- ეს მუდმივი საკამათო საკითხია: ავტოსპორტი სულ უფრო და უფრო სახიფათო ხდება. მაგრამ, თუ ვინმეს რისკი გადაჭარბებულად ეჩვენება, ამ საქმეს უნდა შეეშვას.

■ ■ ■

**- როგორ არის "ფერარისთან" თქვენი კონტრაქტის საქმე?**

- ის კიდევ ორი სეზონი იმოქმედებს: 2008 და 2009 წლებში, მაგრამ თუ ჩემი სურვილი იქნება, დღესვე შემიძლია ახალი ხელშეკრულება გავაფორმო - "ფერარისთან" ან რომელიმე სხვა გუნდთან. ვნახოთ, რას მოგვიტანს მომავალი. იმედი მაქვს, ფორმულა 1-ში კიდევ დიდი ხანი დავრჩები და თუ გამომივიდა, მთელს დარჩენილ კარიერას იტალიურ გუნდს მივუძღვნი.

**- გასული წლის ბოლო რბოლაში მასას წინ რომ არ გაეშვით, შეიძლება ჩემპიონი ვერც კი გამხდარიყავით. რაზე ისაუბრეთ ფინიშის შემდეგ? დაპირდით ვალის დაბრუნებას?**

- არ მინდა სამსჯავროზე გამოვიტანო ჩვენი პირადი საუბრები. მაშინ მართლა დიდხანს ველაპარაკებოდით ერთმანეთს. უზომოდ დიდ ბედნიერებას ვგრძნობდი.

**- შეადარეთ ერთმანეთს თქვენი დღევანდელი და წინა გუნდები.**

- "ფერარიში" არავინ კმაყოფილდება მიღწეულით. ყველანი შესაძლებლობების ზღვარზე მუშაობენ.

**- გუნდის შეფი ჟან ტოდტის ნაცვლად, სტეფანო დომენიკალი იქნება. როგორ შეხვდით ამ ცვლილებას?**

- ჩემთვის ბევრი არაფერი შეცვლილა. სტეფანო დიდი ხანია "ფერარიშია", ბევრ ადგილას უმუშავია და შარშან, მასთან მჭიდრო თანამშრომლობა მქონდა. ამიტომაც პრობლემები არ უნდა წარმოიშვას.

**- ფელიპე მასას თუ არ ჩავთვლით, ვის მიიჩნევთ ახალ სეზონში თქვენს მთავარ კონკურენტად?**

- ვფიქრობ, ძველ პოზიციებს დაიბრუნებს "რენო". შესაძლოა, კონკურენცია "BMW-ზაუბერმაც" გაგვიწიოს. მაგრამ, ყველაზე სახიფათო მეტოქე, რა თქმა უნდა, "მაკლარენი" იქნება.

**- როგორია "ფერარის" სტრატეგია 2008 წელს? თქვენ გუნდის პირველი ნომერი იქნებით და მასა - მეორე?**

- ჩემს ბოლიდზე აქამდე არასოდეს ყოფილა ციფრი - 1. ასეთი პირობითობები არ მაინტერესებს.

**- წლევანდელი სეზონი შარშანდელზე იოლი იქნება თუ რთული?**

- ყველა ასპექტში იოლი უნდა იყოს. მთავარია პირველ ეტაპზე, ავსტრალიაში კარგი სტარტი ავიღოთ და სტაბილურად გავიაროთ სეზონის პირველი ნახევარი. სწორედ ეს ვერ შევძელით შარშანდელ სეზონში, თუმცა პირველი რბოლის მოგება მოვახერხე. არ ვისურვებდი მაშინდელი შეცდომების გამეორებას.

**- აღიარეთ, რა უფრო მოგწონთ: ბოლიდის მართვა თუ თქვენი პროფესიის ტექნიკური ასპექტები?**

- რა თქმა უნდა, ახალი დროის შვილი ვარ და მეც ვგიჟდები სხვადასხვა რთულ "სათამაშოებზე". და ეს ჰობი ძალიან მშველის. მაგრამ იმისთვის, რომ ინჟინრებს კარგი რჩევა მისცე, ტექნიკურად ზედმიწევნით უნდა იყო განათლებული. მნიშვნელოვანია ინფორმაციების გაცვლა, რათა შენი ბოლიდი გააუმჯობესო. სწორედ ამით ვართ დაკავებულნი.


ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა, 0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა